საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.geworld.ge

№44 (468)

5 – 11 დეკემბერი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

geworld@inbox.ru

16 **პროვოკაცია ქერჩის სრუტეში და საქართველოს ინტერესები**

4 **ამას ელოდა, მოესწრო!**

«ნაპოლეონის შემდეგ პირველი ფრანგი, რომელიც სხვა ქვეყანას მართავს»



**არჩევა ვერ მოასწრო, უკვე დასაცინად გაგვიხადა საქმე**

ესაა მაგის დიპლომატობა? 5
საერთაშორისო საქმეებში გამოცდილება?



ისღა დაგვრჩენია, იმედი ვიქონიოთ, რომ ისიც ნაპოლეონივით არ დაამთავრებს



მიხეილ კრიშინი:
**დამიძახეთ და ჩამოვალ**

**თავისუფლება სულს ისე მობეზრდა, ცოცხები, ცოცხები, ცოცხები ჩქარა!** 9

**«კოჭების-მხვრეტელი» გვარამია და «ტერორისტი» არასამთავრობოები** 6



**რა უნდა შეცვალოს «ქართულმა ოცნებამ»** 3



**დაპირებები და მათი შესრულების გზები** 2

გია ხუხაშვილი:
**ქალბატონს შეუძინეს, შეუსყიდეს თანამდებობა და აჩუქეს. მართალია, 8 მარტი არ იყო, მაგრამ საჩუქარს ქალს ყოველთვის ჩუქნიან ხოლმე...** 10

**«ის, რაც იყო ფილარეტის, მაკარისა და ონოფრესი, ახლა ჩემია»** 15



მწარე სინამდვილე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ადგილებზე გუბერნატორებმა თუ მერებმა ძალიან კარგად იციან მოსახლეობის ყოფა. იმაზე კარგად, ვიდრე გგონიათ (თუ არ იციან, მაშინ რას მიკეთებენ?), მაგრამ იმის გამო, რომ თქვენი რისხვა არ დაიმსახურონ, სიმართლეს გიმალავენ და არ ამბობენ, რომ დასახმარებლად მისულ ადამიანებს 50 ლარს თუ გადაუგდებენ სოციალური ფონდიდან, კმაყოფილი არიან. არც იმას გეუბნებიან, რომ დამლაგებლის ადგილი სანატრელი აქვს ასობით ადამიანს და დამლაგებლად მიღებაც კი რამდენიმე ბარიერის გადალახვას მოითხოვს.**

# დაპირებები და მათი შესრულების გზები

**შეიძლება ითქვას, წელზე ფეხის დადგმითა და წვალებით „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ამომრჩეველმა ნაციონალებს უთხრა უარი, თორემ როგორ გაიმარჯვებდა სალომე ზურაბიშვილი, მაგასაც ვნახავდით. მეორე ტური მმართველ გუნდს დიდ თანხად, ნერვებად და ისეთი დაპირებების გაცემად დაუჯდა, რომელსაც სხვა დროს არ გასცემდა. სწორედ ამიტომ იყო, არჩევნების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ივანიშვილმა რომ თქვა, ქართველმა ხალხმა თავისი არჩევანი გააკეთა, ახლა ჩემი ჯერიაო. საინტერესო ის არის, რას გულისხმობს „თავის ჯერში“ ბატონი ბიძინა. თუ მას ჰგონია, რომ 2-3 კაცის გათავისუფლებით ან დანიშვნით პრობლემას მოევლება, ძალიან ცდება. ცდება იმიტომ, რომ რეალურად სწორედ ამ არჩევნებმა აჩვენა, რა დღეშია მოსახლეობა და როგორ უჭირს იმ ადამიანებს, რომლებსაც ხელისუფლება თანადგომას ლამის მუხლმოდრეკილი სთხოვდა.**



ყველაზე ხმაურიანი ამბით დავიწყოთ — გაერთიანებულმა ოპოზიციამ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ერთი ამბავი ატეხა, გარდაბანში „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს ხუთ კილო ხახვსა და კარტოფილს ურიგებსო. აჩვენეს უზარმაზარი რიგიც, სადაც ადამიანები ერთმანეთზე გადადიოდნენ ხახვისა და კარტოფილის გამო. შემდეგ იყო სამეგრელო, სადაც დევნილებს კარტოფილთან ერთად ფქვილი და შაქარი დაურიგეს. ხელისუფლებამ თუ ოპოზიციამ კარგად იცის, რომ ამომრჩევლისკენ მიმავალი გზა კუჭზე გადის და თანაც როგორ — 5-5 კილო კარტოფილი და ხახვი რეალურად 10 ლარზე მეტი არ ღირს და ათი ლარის სანაცვლოდ ადამიანები მზად არიან, ხმა გაყიდონ და გაყიდონ იმიტომ, რომ ხუთი დღე ან დიდი-დიდი ერთი კვირა სახლში საკვები ჰქონდეთ.

ახლა ხვდებით, ბატონო ბიძინა, რასთან გვაქვს საქმე?! მოსახლეობას, შეიძლება ითქვას, ნაკლებად აინტერესებს, ვინ იქნება სათავეში, მათთვის მთავარი უკვე ფიზიკური გადარჩენისთვის ბრძოლაა. ათი ლარის ღირებულების პროდუქტზე ხალხი ერთმანეთს რომ გადაუვლის, რიგს რომ დააყენებს, იქ, ცუდად კი არა, კატასტროფულად არის საქმე. ყველაზე კარგად უკვე თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ის ჭარბი ნდობა, რომელიც მართლა გქონდათ, შაგრენის ტყავივით პატარავდება. პირველ რიგში ეს იმ გარემოცვის დამსახურებაა, რომელსაც ბრმად ენდეთ და ყოველ ჯერზე, როცა ამბობდით, რომ შეგეშალათ, ეს ნდობა იკლებდა. შეგეშალათ **მარგველაშვილი, კვირიკაშვილი, ქუმსიშვილი, ალავიძე...** და ამ შეშლას ის მოჰყვა, რომ ქვეყანა წინ კი არ წავიდა, ჯერ ერთ ადგილზე დადგა გაჯიუტებული ვირივით და მერე უკან სვლა დაიწყო. რამდენიც უნდა ვამტკიცოთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ეკონომიკურ ზრდას ადასტურებენ, რომ მთლიანმა შიდა პროდუქტმა მოიმატა, რომ მოსახლეობა ასეთი მდიდარი არასდროს ყოფილა (ფინანსთა მინისტრის სიტყვებია), ფაქტია, რომ ხალხს შია...(მაშ, სად არის ეს ყბადაღებული „ეკონომიკური წინსვლა“? თუ ეს საქართველოსა და ხალხზე არ არის ნათქვამი და მარტო „კვირიკაშვილებზე“, „ქუმსიშვილებზე“ და მათნაირებზეა?). დიახ ბატონო ბიძინა, შია და თან ისე შია, სათქმელად ისიც კი აღარ აქვს, ასფალტი ვჭამოთო?!

ახლა იმაზეც ვთქვათ, ამომრჩეველს არჩევნების წინ ვალების განულებას რომ დაპირდით. 600 ათასი კაცი ახალ წელს ვალების გარეშე შეხვდებაო, რომ დააანონსეთ, ძალიან, ძალიან იმოქმედა ხალხზე, მაგრამ ვაი, რომ ეგეც ტყუილი გამოვიდეს და ახლავე აგიხსნით რატომაც. როგორც ადრე თქვით ტარიფების გაიაფებაზე, არასწორად დათვალეს და ტყუილი დაპირების გაცემა გამომივიდაო, ისევ არასწორად დათვალეს და თქვენ ისევ ტყუილი გათქმევინეს. უკვე ტყუილია ის, რომ ვებ-გვერდი, სადაც საკუთარი თავის გადამოწმება შეეძლებათ მოქალაქეებს, 3 დეკემბერს ჩაეშვებოდა ხმარებაში. ხდება ხანდახან ასე, მაგრამ ტყუილია ვებ-გვერდის გაშვების გადადების მიზეზი, საფინანსო ორგანიზაციებმა ვერ მოგვაწოდეს გაშავებული ხალხის სიაო. ე.წ. შავი სია ყველა საფინანსო ორგანიზაციასა თუ კომერციულ ბანკს ცალკე აქვს და მის გადმოგზავნას ზუსტად ხუთი წუთი უნდა. **იცით, ძაღლის თავი სად არის დამარხული? — გაშავებული ადამიანების რაოდენობაში. რეალურად იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც ორი ათასი ლარი აქვთ აღებული და გაშავებული არიან, ასი ათასსაც ვერ აჭარბებს. ჰოდა, ახლა იმას ფიქრობენ, ნახევარი მილიონი „გაშავებული“ ადამიანი საიდან მოიყვანონ და ამას ისევ ვერ გეუბნებიან, რადგან თავიდანვე მოგატყუეს.** თქვენ კი მშვიდად ელოდებით, როდის გაბედნიერდება თქვენ მიერ დაანონსებული 600 ათასი ოჯახი, მაშინ, როცა რეალურად, თქვენი ნათქვამის მხოლოდ მეხუთედია სიმართლე. ასე, მეხუთედი სიმართლით, მოვედით აქამდე, ბატონო ბიძინა, და რაც მთავარია, თუ ატყობთ, ყველა მნიშვნელოვანი და მასშტაბური დაპირება, რომლებიც შემდეგ არ სრულდება, სწორედ თქვენგან ისმის. ამიტომ გაქვთ ხოლმე გაოცებული სახე, როცა ხვდებით, რომ ნდობის მანდატი თვალსა და ხელს შუა გელევათ და ერთი შეხედვით ვერ ხვდებით, რატომ.

**ისევ თქვენ მიერ შერჩეულ გუნდს დავუბრუნდეთ. წელიწადის ბოლო თვემ დაიწყო ათვლა. ამ დროს კი ბიუჯეტში ორ მილიარდ ლარზე მეტია დარჩენილი და ეს მაშინ, როცა ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტები ფინანსების არქონის გამო გაყინულია.** ჰო, სწორედ მაშინ, როცა ხალხი თუ ოპოზიცია ამ მიმართულებით გააქტიურებას ითხოვს, თქვენი შერჩეული მინისტრების პასუხი ასეთია: „ბიუჯეტში ფული არ არის და ამიტომ ვერაფერს ვერ შევცვლით“. გნებავთ, იმასაც გეტყვით, **წელს, შარშან, შარშანწინ და იმის წინ რატომ მოხდა, რომ წლის ბოლო თვეს ბიუჯეტში ჭარბი ფული შემორჩა?! მიზეზი ძალიან მარტივი და ბანალურია — საახალწლოდ საჯარო სექტორში დასაქმებული მაღალი თანამდებობის პირები პრემიასა და დანამატს ერთად იღებენ, ამას ხელფასი მიუმატეთ და ნახავთ, რომ მაგალითად, მუნიციპალიტეტების მერები თუ საკრებულოს თავმჯდომარეები ახალ წელს, სულ ცოტა, ათი ათას ლარს იჯიბავენ. მაღალჩინოსნების მისაღები პრემია-დანამატების თანხა კი სწორედ იმ მორჩენილი ფულიდან მიდის, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ხან ინფრასტრუქტურულ პროექტს დააკლეს და ხან სოციალურ უზრუნველყოფას.**

> **წელს, შარშან, შარშანწინ და იმის წინ რატომ მოხდა, რომ წლის ბოლო თვეს ბიუჯეტში ჭარბი ფული შემორჩა?! მიზეზი ძალიან მარტივი და ბანალურია — საახალწლოდ საჯარო სექტორში დასაქმებული მაღალი თანამდებობის პირები პრემიასა და დანამატს ერთად იღებენ, ამას ხელფასი მიუმატეთ და ნახავთ, რომ მაგალითად, მუნიციპალიტეტების მერები თუ საკრებულოს თავმჯდომარეები ზედ ახალ წელს, სულ. ცოტა, ათი ათას ლარს იჯიბავენ. მაღალჩინოსნების მისაღები პრემია-დანამატების თანხა კი სწორედ იმ მორჩენილი ფულიდან მიდის, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ხან ინფრასტრუქტურულ პროექტს დააკლეს და ხან სოციალურ უზრუნველყოფას**



ახლა არ თქვათ, მინისტრები მე არ შემირჩევია, ადრე კვირიკაშვილს ვენდე, ახლა კი — მამუკა ბახტაძესო. კვირიკაშვილიც და ბახტაძეც თქვენ შეარჩიეთ და მათ საქციელსა და გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებლობაც თქვენზეა, მოსახლეობა პასუხს თქვენ გთხოვთ და ლოგიკურადაც — 2012 წელს ამომრჩეველს ნაციონალები სახლში კონსერვატორების, რესპუბლიკელების, თავისუფალი დემოკრატებისა თუ ეროვნული ფორუმის ხათრით არ გაუშვია. ხალხმა თქვენ აგირჩიათ, თქვენ გენდოთ და მას შემდეგ, აგერ ექვსი წელიწადია, იმედი ყოველდღიურად უცრუვდება, რადგან, ისევ ვიმეორებთ, თქვენ მიერ გაცემული გრანდიოზული დაპირებებიდან ერთიც არ შესრულებულა.

**დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ადგილებზე გუბერნატორებმა თუ მერებმა ძალიან კარგად იციან მოსახლეობის ყოფა. იმაზე კარგად, ვიდრე გგონიათ (თუ არ იციან, მაშინ რას მიკეთებენ?), მაგრამ იმის გამო, რომ თქვენი რისხვა არ დაიმსახურონ, სიმართლეს გიმალავენ და არ ამბობენ, რომ დასახმარებლად მისულ ადამიანებს 50 ლარს თუ გადაუგდებენ სოციალური ფონდიდან, კმაყოფილი არიან.** არც იმას გეუბნებიან, რომ დამლაგებლის ადგილი სანატრელი აქვს ასობით ადამიანს და დამლაგებლად მიღებაც კი რამდენიმე ბარიერის გადალახვას მოითხოვს. იმ ბარიერის, რასაც პარტიული კუთვნილება, ოჯახში ხმების რაოდენობა და ზოგადად, ვინმეს ახლობლობა ჰქვია. ახლა ბევრი იტყვის, წინა ხელისუფლება უარესად იქცეოდაო და მართალიც იქნება, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ისინი უარესად იქცეოდნენ, ხალხმა სახლში გაუშვა.

ამიტომ ვამბობთ, რომ მხოლოდ რამდენიმე კაცის ცვლილებით ხალხი კმაყოფილი ვერ და არ იქნება. გნებავთ, ყველა დატოვეთ და გნებავთ, ყველა გაუშვით, ადამიანებმა თუ საკუთარ კუჭზე (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) არ იგრძნეს უკეთესობა, არაფერს არ დაიჯერებენ. მარგველაშვილმა თქვა ადრე: ადამიანების ეკონომიკურ მდგომარეობას ყველაზე ნათლად მაცივარი ასახავს, ის, ვის რა უდევს მაცივარშიო, და ისიც უნდა იცოდეთ, ბატონო ბიძინა, მაცივარი ზამთარში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს გამორთული აქვს, ელექტროენერგია რომ დაზოგოს და ის მცირე პროდუქტი, რაც აქვს, აივანზე უდევს. ეს არის მწარე რეალობა და არა ის, რასაც თქვენი გარემოცვა გიხატავთ. ყველაზე სწორი დასკვნა კი იმ ავადსახსენებელი 5-5 კილო კარტოფილითა და ხახვით უნდა გამოიტანოთ, რომელსაც დამშეული ხალხი დაერია. და ეს იმ მუნიციპალიტეტში, სადაც, წესით, ხახვი და კარტოფილი არ ჭირს, მაგრამ... აქ, ხახვსა და კარტოფილზე კი არა, საჭმელზეა საუბარი, იმ საჭმელზე, რომელიც მოსახლეობას არ აქვს.

**ბესო ბარბაქაძე**

**იმის ალბათობა, რომ „ქართული ოცნება“ შეეცდება ილუზიების შექმნას, საკმაოდ მაღალია, თუმცა გამორიცხული არაა, მომხდარიდან გამომდინარე, ამომრჩევლებთან ურთიერთობაში იმაზე გაცილებით ფრთხილად იმოქმედოს, ვიდრე ადრე, ხოლო „ნაცმოძრაობას“ რამდენიმე მტკივნეული დარტყმა მიაყენოს. 2019 წლის პირველ კვარტალში ჩვენ ვნახავთ, მოახდინა თუ არა მმართველმა პარტიამ ადეკვატური რეაგირება პირველი ტურის „ყვითელ ბარათზე“ თუ ჩათვალა, რომ პრობლემა „გადააგორა“ და შეუძლია ცხოვრება ძველებურად განაგრძოს.**

პანოპტიკუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო დღეებში მოქალაქეების დიდი ნაწილი მედიაში, სოცქსელებში თუ კერძო საუბრებში გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას: ხელისუფლება ვალდებულია, გაატაროს სასწრაფო რეფორმები, რადგან იმ ამომრჩევლებს, რომლებმაც მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილს გაამარჯვებინეს, სწორედ ეს სურთ. საინტერესოა, რა ცვლილებებს გულისხმობენ ისინი და როგორ შეიძლება უპასუხოს „ქართულმა ოცნებამ“ ამ მოწოდებებს.**

# რა უნდა შეცვალოს «ქართულმა ოცნებამ»



პირველ ტურთან შედარებით, ზურაბიშვილმა ნახევარ მილიონზე მეტი ხმა მიიღო. ექსპერტები ცდილობენ, გაშიფრონ, ვისგან შედგებოდა ეს არმია და ამომრჩეველთა სამ ძირითად ჯგუფს გამოყოფენ — სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს („ანტიმიშისტებს“), რადიკალ კონსერვატორებს და, ასე ვთქვათ, „მერკანტილურებს“, ე. ი. მათ, ვინც ვალების ჩამოწერამ და სხვა ბონუსებმა მიიმხრო. ცხადია, ეს დაყოფა პირობითია, თუნდაც იმიტომ, რომ ადამიანი შეიძლება ერთდროულად ორ ჯგუფში შედიოდეს, მაგრამ საჭიროა იმ მოთხოვნების დასახარისხებლად, რომელსაც ისინი ხელისუფლებას უყენებენ.

ნაციონალები ამ თემას არ უღრმავდებიან, რადგან მათი პოსტსაარჩევნო მითოლოგიის მიხედვით, ზურაბიშვილის ამომრჩეველი კარტოფილსა და ხახვზე გაიყიდა და იმ ვიდეოკადრების გავრცელება, რომელზეც კარგად ჩანს, როგორ არიგებდა სააკაშვილის ხელისუფლება კარტოფილს 2012-ში, მათ დამოკიდებულებას არ ცვლის. ეს მიდგომა მათთვის ერთგვარი ტკივილგამაყუჩებლის როლს ასრულებს, რომლის მიღება დიდი დოზით საშიშია. 2012-ში მათ დაარწმუნეს საკუთარი თავი, რომ არჩევნები „ციხის კადრებმა“ წააგებინა, რამაც მოგვიანებით არასწორ პოლიტიკურ დასკვნებამდე მიიყვანა და ახლა აქცენტი ვალების ჩამოწერასა და კარტოფილის დარიგებაზე გადააქვთ. თუმცა, ალბათ, ეს სააკაშვილის და „ნაცმოძრაობის“ პრობლემაა და არა საზოგადოების.

**რა სურთ სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს? — ძველი რეჟიმის რესტავრაციის საფრთხის 100%-ით განეიტრალება, „პორტირებული“ „ნაციონალების“ დაწინაურებაზე უარის თქმა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდის სამართლებრივი შეფასება, დამრბევთა, მწამებელთა და სხვა დანაშაულებია ჩამდენთა დასჯა, უსამართლოდ წართმეული ქონების დაბრუნება, „ნაცმოძრაობასთან“ ურთიერთობის სტილის შეცვლა (მათი აზრით, ხელისუფლება არ უნდა ეპყრობოდეს ნაციონალებს, როგორც ლეგიტიმური პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს, არამედ დაახლოებით ისე, როგორც ომის შემდგომ იტალიასა და გერმანიაში ფაშისტებს და ნაცისტებს ეპყრობოდნენ).** „ანტიმიშისტების“ ნაწილი უფრო შორს მიდის და მოითხოვს სისტემურ რეფორმებს, რომელიც რადიკალურად შეცვლის სასამართლოებს და სამართალდამცავ ორგანოებს და დააშორებს მათ ძველი რეჟიმის მიერ მინიჭებულ რეპრესიულ, ანტიდემოკრატიულ როლს — შეიძლება ითქვას, რომ ისინი **„სისტემურ დენაციფიკაციაზე“** საუბრობენ.

ჩამოთვლილიდან „ქართული ოცნებისთვის“ ყველაზე მარტივია საკადრო პოლიტიკის კორექტირება. საგულისხმოა, რომ ამ თემას შეეხო ბიძინა ივანიშვილიც თავის გახმაურებულ მიმართვაში პირველი ტურის შემდეგ: „სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა, რომელიც დაეფუძნება გამოცდილ ადამიანებს და მუდმივად მოიზიდავს ახალ კადრებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ახალგაზრდები უნდა ჩაერთონ ქვეყნის მართვასა და პოლიტიკის შემუშავებაში“. „პორტირებულები“ ამ კონტექსტში არ უხსენებია, თუმცა ივანიშვილმა მშვენივრად იცის, რომ მისი ამომრჩევლებისთვის ეს მტკივნეული თემაა. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში „ქართული ოცნება“ აღარ გამოიყვანს ავანსცენაზე **ვანო ზარდიაშვილისა** და **ლევან მურუსიძის** მსგავს პირებს, არამედ სადმე აღმასრულებელი ხელისუფლების ლაბირინთებში დაასაქმებს. ამ პოლიტიკის გატარება შეიძლება გაუჭირდეს ზოგიერთ რეგიონში, სადაც „პორტირებულები“ პარტიულ და სახელისუფლებო სტრუქტურებში მის მთავარ დასაყრდენს წარმოადგენენ. თუმცა მთლიანობაში ეს შესაძლებელია, ისევე, როგორც უარის თქმა აშკარად არაკომპეტენტური პირების დაწინაურებაზე. ასეთი იყო, მაგალითად, **ალექსანდრე ჯეჯელავა.** სხვათა შორის, მას ძველი ხელისუფლებაც მოსწონდა — 2012-ში მან თავის ბლოგში „ციხის კადრებთან“ დაკავშირებული მოვლენების „გაპრავება“ სცადა, მაშინ, როდესაც ამის გაკეთება ორდენოსან „ნაციონალებსაც“ კი რცხვენოდათ. როგორ მოხვდა ეს ადამიანი მინისტრის პოსტზე? რატომ? რისთვის?

რაც შეეხება „ნაცმოძრაობასთან“ ურთიერთობის სხვა ასპექტებს, „ქართულ ოცნებას“ „ანტიმიშისტებისთვის“ სასურველი ნაბიჯების გადადგმა, სავარაუდოდ, გაუჭირდება. მას დასავლეთის ნეგატიური რეაქციის ეშინია და „ნიურნბერგის პროცესს“ დიდი ალბათობით ვერ მოაწყობს — ამის რესურსი სადღაც 2013-14 წლების მიჯნაზე დაკარგა. მან შეიძლება საჩვენებლად გაასამართლოს რამდენიმე ზონდერი და მათი ხელმძღვანელი საშუალო რგოლიდან, მაგრამ ეს, ალბათ, არავის დააკმაყოფილებს. ქონების დაბრუნებისთვის კი, პოლიტიკურის გარდა, წმინდა იურიდიული ბარიერებიც არსებობს.

**ცვლილებებს ამ მიმართულებით, ალბათ, კოსმეტიკური ხასიათი ექნება. „ქართული ოცნება“, სავარაუდოდ, „ბარტყების გადაგდების ტაქტიკას“ მიმართავს.**

სისტემური რეფორმები „ნაცმოძრაობის“ პრობლემას, ერთის შეხედვით, პირდაპირ არ უკავშირდება, მაგრამ ის საკმაოდ საინტერესო, გარკვეულწილად ტრაგიკულ დილემას წარმოშობს. თუ რეფორმა შეამცირებს „ქართული ოცნების“ გავლენას სახელმწიფო ინსტიტუტებზე, ამით შეიძლება „ნაციონალებმა“ ისარგებლონ. ავტორიტარული კონტროლი, ერთის მხრივ, ძალიან ცუდია და ხელისუფლებას საზოგადოებასთან ურთიერთობაში უამრავ პრობლემას უქმნის, მაგრამ, მეორეს მხრივ, მისი უსაფრთხოების გარანტიაა და საჭიროების შემთხვევაში - „ნაცმოძრაობის“ დათრგუნვის საშუალება. ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, ივანიშვილმა მისი დაკარგვა და შესაბამისად, რადიკალური რეფორმების გატარება მოინდომოს.

**რა სურთ (დამატებით) რადიკალ კონსერვატორებს? — ულტრალიბერალურ ინიციატივებზე (გეი-ქორწინებების, მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაცია და ა.შ.) უარის თქმა, საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება, რელიგიური გრძნობების დაცვა, პროტექციონისტული მიდგომა საქართველოს მოქალაქეების მიმართ (უცხოელებზე მიწის გაყიდვის პრობლემა და სხვა), სკოლასა და საზოგადოებაში ტრადიციული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა.** აქ „ქართული ოცნება“, ერთი შეხედვით, ნაკლებად შეზღუდულია, მაგალითად, ის წავიდა გარკვეულ (შესაძლოა, დროებით) დათმობებზე მსუბუქი ნარკოტიკების მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილს სურდა გასვლა ლეგალური მარიხუანის მზარდ გლობალურ ბაზარზე და ამ საქმეში გარკვეული რესურსი ჩადო. მაგრამ „ქართულ ოცნებას“ ჯერ კიდევ 2011 წლიდან ეშინია, რომ კონსერვატიულ პოზიციებზე გადასვლის შემთხვევაში, დასავლეთი აქტიურად დაუჭერს მხარს მის ლიბერალ ოპონენტებს, რაც მისთვის ცუდად დამთავრდება. სავარაუდოდ, სწორედ ამან განაპირობა „ოცნების“ პოლიტიკის ეტაპობრივი „ლიბერალიზაცია“ განხილულ პერიოდში. ამიტომ რადიკალი კონსერვატორებისთვის სასურველ ცვლილებებს დიდი ალბათობით მხოლოდ ნაწილობრივი ან დროებითი ხასიათი ექნება. ანალოგიური დამოკიდებულება აქვს მმართველ პარტიას რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიმართაც, რომელსაც მისი ამომრჩევლების ნაწილი მოითხოვს. მას ეშინია, რომ დასავლეთი „დასჯის“ ამ მიმართულებით თუნდაც ერთი ნაბიჯი რომ გადადგას.

**რა სურთ ე.წ. მერკანტილურებს?** აქ ყველაფერი მარტივია, ისინი ხელისუფლებისაგან ახალ ბონუსებს მოითხოვენ. 1958 წელს გამოცემულ წიგნში „ჩამორჩენილი საზოგადოებების მორალური ბაზისი“ (ის სამხრეთ იტალიას მიეძღვნა) ამერიკელი სოციოლოგი **ედვარდ ბანფილდი** წერდა, რომ ასეთ საზოგადოებებში ამომრჩეველი „ბიულეტენს მოკლევადიან პერსპექტივაში მატერიალური ამონაგების მიღებისთვის იყენებს. მან შეიძლება ჩათვალოს, რომ საქმე ეხება მის გრძელვადიან, კლასობრივ ან საზოგადოებრივ ინტერესს, მაგრამ ეს არ იმოქმედებს მის არჩევანზე, თუ ოჯახის კონკრეტული მატერიალური ინტერესით იხელმძღვანელებს. ამომრჩეველი პარტიების დაპირებებს ნაკლებად ენდობა და ხმას აძლევს იმ სარგებელს, რომელიც უკვე მიიღო (ცხადია, იმ პირობით, რომ ის მომავალში გაიზრდება)“.

ვიდრე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, ამ ფაქტორის მნიშვნელობა კვლავინდებურად დიდი იქნება. მეტიც, ის შეიძლება გაიზარდოს მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა მეორე ტურის წინ „ვალების დაფარვის“ სპეცოპერაცია განახორციელა — 2020-ში ამ კატეგორიის ამომრჩეველი გაცილებით მეტს მოითხოვს. ამ გზას, საბოლოო ჯამში, ისედაც სუსტი დემოკრატიული სისტემის დეგრადაციამდე მივყავართ. პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით, ივანიშვილმა სწორი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ პოლიტიკურით — საკმაოდ საშიში პრეცედენტი შექმნა.

სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკის აღორძინება ყველა კატეგორიის ამომრჩევლის საერთო და „მარადიული“ მოთხოვნაა. მას ხელს, ეკონომიკური ფაქტორების გარდა, თანამედროვე ქართული ელიტის პარაზიტული ბუნება უშლის. აქ მნიშვნელოვანია ერთი ნიუანსის აღნიშვნა— ჩვეულებრივი პარაზიტებისგან განსხვავებით, პარაზიტოიდები თანდათან კლავენ ორგანიზმს, რომლის ხარჯზე იკვებებიან და იზრდებიან. სხვათა შორის, „უცხო“ **რიდლი სკოტის** ცნობილი ფილმიდან პარაზიტოიდია, ისევე როგორც დღევანდელი ქართული ელიტა — ის სულ უფრო ასუსტებს ორგანიზმს (ქვეყანას), რომელიც მას კვებავს. ინსტინქტებიდან გამომდინარე, ცდილობს, ბოლომდე გაძარცვოს მოსახლეობა, საარსებო მინიმუმიც კი არ დაუტოვოს და არ ფიქრობს იმაზე, რა მოხდება ამის შემდეგ.

ზომები, რომელსაც **ბახტაძის** მთავრობა ჭარბვალიანობის გამო მიმართავს, სავარაუდოდ, არ არის მხოლოდ პიარი — საშუალო დონის ეკონომისტიც კი მიხვდება, რომ დღევანდელი მდგომარეობა უდიდეს პოლიტიკურ რისკებს უკავშირდება და საფრთხეს საზოგადოების მაღალ ფენასაც უქმნის. მაგრამ დაგვიანებული და არსებითად პალიატიური ჩარევა ამ შემთხვევაში არასაკმარისია, აუცილებელია რადიკალური ნაბიჯები, სახელისუფლო სტრუქტურების წმენდა, ოლიგარქიული კაპიტალის მადის შეზღუდვა, რაც ერთობ ძნელი წარმოსადგენია ოლიგარქიულ სისტემაში. ამ მოსამზადებელი სამუშაოების გარეშე ეკონომიკური რეფორმა განწირულია.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, იმის ალბათობა, რომ „ქართული ოცნება“ შეეცდება ილუზიების შექმნას, საკმაოდ მაღალია. თუმცა გამორიცხული არაა, მომხდარიდან გამომდინარე, ამომრჩევლებთან ურთიერთობაში გაცილებით ფრთხილად იმოქმედოს, ვიდრე ადრე, ხოლო „ნაცმოძრაობას“ რამდენიმე მტკივნეული დარტყმა მიაყენოს. 2019 წლის პირველ კვარტალში ჩვენ ვნახავთ, მოახდინა თუ არა მმართველმა პარტიამ ადეკვატური რეაგირება პირველი ტურის „ყვითელ ბარათზე“ თუ ჩათვალა, რომ პრობლემა „გადააგორა“ და შეუძლია ცხოვრება ძველებურად განაგრძოს.

**ლუკა ნემსაძე**

**რა სურთ სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს? — ძველი რეჟიმის რესტავრაციის საფრთხის 100%-ით განეიტრალება, «პორტირებული» ნაციონალების დაწინაურებაზე უარის თქმა, სააკაშვილის მმართველობის პერიოდის სამართლებრივი შეფასება, დამრბევთა, მწამებელთა და სხვა დანაშაულების ჩამდენთა დასჯა, უსამართლოდ წართმეული ქონების დაბრუნება, «ნაცმოძრაობასთან» ურთიერთობის სტილის შეცვლა (მათი აზრით, ხელისუფლება არ უნდა ეპყრობოდეს ნაციონალებს, როგორც ლეგიტიმური პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს, არამედ დაახლოებით ისე, როგორც ომის შემდგომ იტალიასა და გერმანიაში ფაშისტებსა და ნაცისტებს ეპყრობოდნენ)**

ამ დღეს ელოდა, მოესწრო...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სალომე ზურაბიშვილს მიულოცეს იტალიის, პოლონეთის, საფრანგეთის, ბელარუსის, ყაზახეთისა და სხვა ქვეყნების პრეზიდენტებმა, აგრეთვე, აშშ-ის, რუსეთისა და ევროკავშირის მაღალჩინოსნებმა, მაგრამ ყველაზე მეტად გაუხარდათ ფრანგებს — საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა სალომე ზურაბიშვილს მისალოცი წერილი გამოუგზავნა.

# «ნაპოლეონის შემდეგ პირველი ფრანგი, რომელიც სხვა ქვეყანას მართავს»

**დიდი ვნებათაღელვის შემდეგ, როგორც იქნა, დასრულდა პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მმართველი პარტიის მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა საკმაო უპირატესობით გაიმარჯვა. ცესკოს 2 დეკემბრის მონაცემებით, ზურაბიშვილმა მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების 59,52% (1 147 687 ხმა), ხოლო ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ — 40,48% (780 674 ხმა). არჩევნებში გამარჯვებისთანავე სალომე ზურაბიშვილს მიულოცეს იტალიის, პოლონეთის, საფრანგეთის, ბელარუსის, ყაზახეთისა და სხვა ქვეყნების პრეზიდენტებმა, აგრეთვე, აშშ-ის, რუსეთისა და ევროკავშირის მაღალჩინოსნებმა, მაგრამ ყველაზე მეტად გაუხარდათ ფრანგებს — საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა სალომე ზურაბიშვილს მისალოცი წერილი გამოუგზავნა.**




„მსურს საფრანგეთისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მოგილოცოთ საქართველოს მეთაურის პოსტზე არჩევა. ეს მოხდა იმ საარჩევნო პროცესის შედეგად, რომელმაც ქართველი ხალხის დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულება აჩვენა. გულწრფელად გისურვებთ წარმატებას თქვენი მანდატის შესრულებისას. ამ შემთხვევით ვსარგებლობ, რათა ხაზი გავუსვა ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების ხარისხსა და ხანგრძლივობას, რაც თქვენთვის ასე ძვირფასია და რასაც თქვენ ასე უწყობდით ხელს, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდება. გარწმუნებთ, რომ საფრანგეთი მტკიცედ განწყობილია, განაგრძოს მოქმედება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემით საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ვიმედოვნებ, შეგხვდებით ჩვენი მომავალი კავშირების გასაძლიერებლად. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი პატივისცემა, ქალბატონო პრეზიდენტო!“ — ნათქვამია საფრანგეთის პრეზიდენტის წერილში.

ემანუელ მაკრონის წერილს მოჰყვა **საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება:**

„საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურიდან ერთი თვის შემდეგ დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს პრეზიდენტად იქნა არჩეული. საფრანგეთი მას გულწრფელად ულოცავს და უსურვებს სრულ წარმატებას მისი მოვალეობების შესრულებისას. საფრანგეთი მზად არის, იმუშაოს ქალბატონ ზურაბიშვილთან, რათა გავაძლიეროთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები. ახალ პრეზიდენტს შეუძლია ჩვენი მტკიცე განწყობის იმედი ჰქონდეს, რომ ვიმოქმედებთ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ“, — ნათქვამია საფრანგეთის საგარეო უწყების განცხადებაში.

არ დააყოვნა **ფრანგულმა მედიამაც:**

„ფრანგი საქართველოს სათავეში“ — ასე გამოეხმაურა ფრანგული ტელეარხი LCI საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებას:

„ყოფილმა ფრანგმა დიპლომატმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციური პარტიების კოალიციის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე დაამარცხა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, მან ამომრჩეველთა ხმების 59,6% მიიღო. საფრანგეთში ქართველი ემიგრანტების ოჯახში დაბადებული სალომე ზურაბიშვილი 2003 წელს საფრანგეთის ელჩად დაინიშნა საქართველოში, ხოლო 2004 წელს საქართველოს მოქალაქეობა მიიღო და მიხეილ სააკაშვილის მთავრობას შეუერთდა. საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიისას მას აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ თქვა, 2008 წელს საქართველო რუსულ პროვოკაციას წამოეგო, შეცდომა დაუშვა და ომი ამიტომ დაიწყოო. სალომე ზურაბიშვილს მოწინააღმდეგები ქართული ენის ცუდად ფლობის გამოც აკრიტიკებდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოსტი წარმომადგენლობითია, ვინაიდან აღმასრულებელი უფლებამოსილების უდიდესი ნაწილი პრემიერმინისტრის ხელშია“, — იუწყება ტელეარხი.



ემანუელ მაკრონი

ფრანგმა ჟურნალისტმა **ვენსან ერვუემ** კი რადიოსადგურ **Europe-1**-ის ეთერში პარალელი გაავლო ნაპოლეონ ბონაპარტესა და სალომე ზურაბიშვილს შორის:

**საქართველოს ახალი პრეზიდენტი ჰყავს და ის ფრანგია. ნაპოლეონის შემდეგ ის პირველი ფრანგია, რომელიც სხვა ქვეყანას მართავს“.**

„სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტად აირჩიეს ნახევრად აღმოსავლურ და სრულად „მაჩოისტურ“ ქვეყანაში. **ბრავო სალომე ზურაბიშვილს — დედას და ბებიას, უმაღლესი კატეგორიის სახელმწიფო მოღვაწეს, 30 წლის გამოცდილების მქონე დიპლომატს!** საქართველო ქვეყანაა მისი წინაპრებისა, რომლებიც ბოლშევიკების მიერ იდევნებოდნენ. რა შესანიშნავი რევანშია! ამ დილით ჩვენ, ყველანი, ცოტათი ქართველები ვართ! საქართველოს პრეზიდენტის პოსტი საპატიოა საპარლამენტო მმართველობის პირობებში. ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც მართავს ქვეყანას ყოველგვარი თანამდებობის გარეშე, ის აირჩია და პრეზიდენტად აარჩევინა. სალომე ზურაბიშვილს თავისი ხასიათი აქვს და მხოლოდ „გამოფენების გახსნას“ არ აპირებს. მისი ამბიციაა, საქართველო ევროპაში დაამკვიდროს. რუსეთის მიმართ ზურაბიშვილი ამბობს, რომ საჭიროა, არ წამოეგოს პროვოკაციებზე“, — განაცხადა ჟურნალისტმა.

## «ვიმედოვნებ, შეგხვდებით ჩვენი მომავალი კავშირების გასაძლიერებლად. გთხოვთ, მიიღოთ ჩემი პატივისცემა, ქალბატონო პრეზიდენტო!» — ნათქვამია საფრანგეთის პრეზიდენტის წერილში




## «ფრანგი საქართველოს სათავეში» — ასე გამოეხმაურა ფრანგული ტელეარხი LCI საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებას




ვენსან ერვუე

## «ბრავო სალომე ზურაბიშვილს — დედას და ბებიას, უმაღლესი კატეგორიის სახელმწიფო მოღვაწეს, 30 წლის გამოცდილების მქონე დიპლომატს!»

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S.** **საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს გამოეხმაურნენ სხვა უცხოური მედიასაშუალებებიც. „მოსკოვსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის ბალანსირების მომხრე კანდიდატმა პროდასავლური ორიენტაციის მეტოქე დაამარცხა“, — ასე შეაფასა სალომე ზურაბიშვილის გამარჯვება ბრიტანულმა „როიტერსმა“. ტელეკომპანია „ბი-ბი-სიმ“, პოლიტიკური ორიენტაციის გარდა, აქცენტი ახალი პრეზიდენტის სქესზე გააკეთა და აღნიშნა, რომ ქვეყნის სათავეში ქალი-პრეზიდენტი პირველად მოვიდა.**

**P.P.S.** ისღა დაგვრჩენია, მცირედი იმედი ვიქონიოთ, რომ ესეც ნაპოლეონივით არ დაამთავრებს...

**იქნებ აგვიხსნას ქალბატონმა ზურაბიშვილმა, სად ნახა ნატოს დამყარებული მშვიდობა და უსაფრთხოება — იუგოსლავიაში? ლიბიაში? ავღანეთში? ერაყში? სირიაში? თუ სად? სადაც ნატომ ფეხი დაადგა, რომ იტყვიან, ბალახი აღარ ამოდის, სისხლისღვრა, ნგრევა, ქაოსი, შიმშილი, გაპარტახება და ათასი სხვა უბედურება ყველა იმ ქვეყნის თანამგზავრია, რომლებშიც ნატომ „დემოკრატია“ დაამყარა.**

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არჩევა ვერ მოასწრო, უკვე დასატინად გაგვიხადა საქმე

## ესაა მაგის დიპლომატობა? საერთაშორისო საქმეებში გამოცდილება?

**საქართველოს ახლახან არჩეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ რუსეთთან მეგობრობის დრო ჯერ არ დამდგარა. ზურაბიშვილის სიტყვებზე 30 ნოემბერს კომენტარი გააკეთა რუსეთის ფედერაციის საბჭოს საინფორმაციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე ალექსეი პუშკოვმა.**

სენატორის აზრით, ზურაბიშვილი ტყუილუბრალოდ მიიჩნევს, რომ ამ დროის განსაზღვრა თბილისს შეუძლია.

**„რუსეთი აწყობს ურთიერთობების ახალ სისტემას მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან და საქართველო ასეთი ხელმძღვანელობით პრიორიტეტი, ალბათ, ვერ გახდება“**, — დაწერა პუშკოვმა სოციალურ ქსელში.

უფრო ადრე საქართველოს არჩეულმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამ მომენტისთვის მზად არ არის მოსკოვთან თანამშრომლობისთვის. მან აღნიშნა, რომ თბილისის დიალოგი რუსეთის ფედერაციის დედაქალაქთან „უნდა გაიმართოს საქართველოს პარტნიორების წინამძღოლობითა და მხარდაჭერით“.

ზურაბიშვილი თავისი განცხადებებით უკვე ქმნის კონფლიქტის პოტენციურ საშიშროებას, როცა სხვის კომპეტენციებში იჭრება. მკითხველსაც და მასაც შევახსენებთ, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების და მაშასადამე, რუსეთთან მეგობრობა-თანამშრომლობის საკითხის განსაზღვრა პარლამენტის პრეროგატივაა, ხოლო მისი რეალიზაცია — აღმასრულებელი ხელისუფლების. ზურაბიშვილი არც ერთია და არც მეორე, მაგრამ ორივეს ფუნქციებს კი ითავსებს, ცდილობს, რომ შეითავსოს.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია თვით პუშკოვის სიტყვები, რომ რუსეთი ააწყობს ურთიერთობების ახალ სისტემას სხვა ქვეყნებთან. რატომ უნდა ზურაბიშვილს და კიდევ სხვებს ჩვენს მთავრობაში, რომ ამ სისტემის გარეთ დავრჩეთ? უფიქრიათ კი ამის კატასტროფულ შედეგებზე?

„იმ კონფიგურაციაში, რომელიც ახლაა, რუსეთის აგრესიული განწყობის გათვალისწინებით, შეუძლებელია რუსეთთან მარტოდ დარჩენა“.

„ამიტომაც ჩვენ უფრო ახლოს უნდა ვიყოთ ჩვენს პარტნიორებთან და ისინი ჩვენს გვერდით და ზურგს უკან უნდა იყვნენ. მომავალში დიალოგი უნდა ვაწარმოოთ, მაგრამ ეს მარტო არ უნდა გავაკეთოთ. ეს საერთო დიალოგის ნაწილი უნდა იყოს. თუ ეს მოხდება, ეს ჩვენი პარტნიორების მხარდაჭერით უნდა მოხდეს. ჩვენ უნდა შევიმუშავოთ ჩვენი პოზიცია და შევათანხმოთ ის ევროპელ პარტნიორებთან. თუ ჩვენი პარტნიორები რუსეთთან დიალოგისკენ სვლას დაიწყებენ, ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ საქართველო განზე არ დატოვეს, რომ საქართველოს პრინციპები — სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა ამ მოლაპარაკებების ნაწილია და საიმედოდ დაცული იქნება“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

**„ვიდრე რუსეთი ისე იქცევა, როგორც ახლა, არ მგონია, ჩვენ შეგვეძლოს პირდაპირ ახალ თანამშრომლობაზე გადასვლა“.**

„იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდება ოკუპაციის ხაზზე, სადაც ხალხს იტაცებენ და ეს ხაზი ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში გადმოდის; იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იქცევა რუსეთი უკრაინასთან მიმართებაში, არ მგონია, რომ ყველაფერი ეს იმას ნიშნავდეს, რომ ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ ახლა თანამშრომლობაზე გადავიდეთ“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. მისივე თქმით, „საქართველოს პროევროპული პოზიცია უკავია და იმ შემთხვევაში, თუ დასავლელი პარტნიორები ევროპისა და ამერიკის სახით რუსეთთან დიალოგს დაიწყებენ, საქართველო განზე არ დარჩება“, — განაცხადა ზურაბიშვილმა „ბი-ბი-სის“ რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში.

თუ სხვისი წინამძღოლობა სჭირდება ზურაბიშვილს, თვითონ რისი მაქნისი პრეზიდენტია?! ან, კიდევ, თუ სხვის ზურგს ეფარება, მასთან რატომღა ილაპარაკებენ?

**ქალბატონი ზურაბიშვილი ან ბრმა და ყრუა, ან ჩვენ ვგონივართ ასეთები.** კიდევ ვინ, რამდენჯერ, რა ენაზე უნდა გვითხრას, რომ ჩვენი გულისთვის რუსეთთან კონფლიქტში არ ჩაერთვება? თავისი სამშობლოს პრეზიდენტის — **მაკრონის** ნათქვამიც ვერ გაიგო, სანქტ-პეტერბურგში რომ უთხრა **ვლადიმერ პუტინს:** „საფრანგეთი აღიარებს რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონას იმ საზღვრებში, რომლებსაც თვითონ რუსეთი დააწესებს“? ჩვენი თუ არ ესმის, ანგელა მერკელისაც ვერ გაიგო, რომელიც უკვე პირდაპირი ტექსტით ამბობს, რომ ეროვნული სუვერენიტეტი ანაქრონიზმია და ნაციონალურმა სახელმწიფოებმა ყველა უფლებამოსილება ევროკავშირს უნდა გადასცენ? ამ ქალბატონს, ჩანს, არ ესმის ანბანური ჭეშმარიტება — ქვეყნები, რომლებსაც ის საამებლად „ჩვენს ევროპელ პარტნიორებს“ უწოდებს, ღრმა კრიზისში არიან და მხოლოდ იმას ცდილობენ, როგორმე სხვის ხარჯზე მოაგვარონ საკუთარი პრობლემები, მათ შორის — ჩვენი სახელით ივაჭრონ რუსეთთან და ბოლოს ჩვენ იმპერატიულად მოგვთხოვენ მათთვის და მხოლოდ მათთვის სასარგებლო გადაწყვეტილების შესრულებას. ადრე ვთქვით ჩვენს გაზეთში რამდენჯერმე და კიდევ გავიმეორებთ: გახმაურებული ფაქტია, როგორ ევაჭრებოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს რაღაც თემაზე და სანაცვლოდ როგორ ჰპირდებოდა: საქართველოში რამე არ გინდათ? ბრაიზას დავავალებ და ყველაფერს გააკეთებინებს ქართველებს.



აი კიდევ ერთი ამონარიდი „ბი-ბი-სი“-სთვის მიცემული ინტერვიუდან:

**„ქართველი ხალხი ხედავს, რომ უსაფრთხოების იმ დონეს, რომელსაც ნატო უზრუნველყოფს, ალტერნატივა არ აქვს.** ჟურნალისტის კითხვას, ხომ არ ფიქრობს, რომ ქართველი ხალხი ნატოში ინტეგრაციის დაპირებებისგან დაიღალა, სალომე ზურაბიშვილმა უპასუხა: „არა, ასე არ არის. თუმცა არა ნატოსგან, მაგრამ საქართველომ მიიღო ასოცირების ხელშეკრულება და ჩვენ ამის კონკრეტულ შედეგებს ყოველდღიურობაში ვხედავთ. ქართველმა ხალხმა იცის, მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრები არ ვართ, უსაფრთხოების იმ დონეს, რომლის უზრუნველყოფა ნატოს შეუძლია, ალტერნატივა არ აქვს“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ქართველ ხალხს იმ აზრისკენ უბიძგებს, რომ უფრო მეტი ნატო გვჭირდება და არა ნაკლები. „ასე რომ, არ ვფიქრობ, რომ საქართველოს მოქალაქეები იმ ევროპელებს მიეკუთვნებიან, ვინც ევროპით იმედგაცრუებულია. პირიქით, ისინი იმედოვნებენ, რომ უფრო დაუახლოვდებიან ევროპას“,— დასძინა სალომე ზურაბიშვილმა.

**იქნებ აგვიხსნას ქალბატონმა ზურაბიშვილმა, სად ნახა ნატოს დამყარებული მშვიდობა და უსაფრთხოება —** იუგოსლავიაში? ლიბიაში? ავღანეთში? ერაყში? სირიაში? თუ სად? სადაც ნატომ ფეხი დაადგა, რომ იტყვიან, ბალახი აღარ ამოდის, სისხლისღვრა, ნგრევა, ქაოსი, შიმშილი, გაპარტახება და ათასი სხვა უბედურება ყველა იმ ქვეყნის თანამგზავრია, რომლებშიც ნატომ „დემოკრატია“ დაამყარა. ეს უნდა ამ ქალს ჩვენთვის? და რატომ ჰგონია, რომ ქართველები სულელები ვართ და კარგის და ცუდის გარჩევა არ ვიცით? ვიზალიბერალიზაციის გარდა, ასოცირების ხელშეკრულების ერთ სიკეთეს მაინც თუ დაგვისახელებს? ევროპაში ტურისტად წასვლა კარგია, მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ეს ევროპელებმა საკუთარი სიკეთისთვის გააკეთეს და არა ჩვენთვის. როგორც ჩვენ გვიხარია, ბევრი ტურისტი რომ ჩამოდის საქართველოში და აქ ფულს ხარჯავს, იმავე მოტივით ხელმძღვანელობდნენ ევროჩინოვნიკები — ცოტა იქნება თუ ბევრი, ქართველი ტურისტი მათთვის მხოლოდ და მხოლოდ შემოსავლის წყაროა, მეტი არაფერი.

რაც შეეხება „რუსეთის აგრესიას“ უკრაინაში: მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის ლიდერი თავიდან ასაცილებელი კომენტარით შემოიფარგლა, რომ სასურველია, ინციდენტის დეტალური შესწავლა და შეფასებების მერე გაკეთება. ყველაზე პირდაპირი ანგელა მერკელი იყო, როცა უკრაინის ხელისუფლებას მოუწოდა, ჭკვიანურად გაეანალიზებინა მომხდარი. დიპლომატიურიდან ყოფით ენაზე რომ ვთარგმნოთ, მერკელის ნათქვამი ასეთია: „თქვენ ცოტა ჭკვიანად იყავით!“ იმიტომ, რომ ყველამ დაინახა, ეს იყო პოროშენკოს პროვოკაცია; ყველამ დაინახა, ზურაბიშვილმა — ვერა. უფრო სწორად, დაინახა, მაგრამ პროვოკატორის მხარეს დგომა არჩია.

მოამზადა
**ნოდარ გავაშელმა**

**ქალბატონი ზურაბიშვილი ან ბრმა და ყრუა, ან ჩვენ ვგონივართ ასეთები. კიდევ ვინ, რამდენჯერ, რა ენაზე უნდა გვითხრას, რომ ჩვენი გულისთვის რუსეთთან კონფლიქტში არ ჩაერთვება? თავისი სამშობლოს პრეზიდენტის — მაკრონის ნათქვამიც ვერ გაიგო, სანქტ-პეტერბურგში რომ უთხრა ვლადიმერ პუტინს: «საფრანგეთი აღიარებს რუსეთის განსაკუთრებული ინტერესების ზონას იმ საზღვრებში, რომლებსაც თვითონ რუსეთი დააწესებს»?**

ევროპა

## ანგელა მერკელი: ქვეყნებმა ეროვნული სუვერენიტეტი ევროკავშირს უნდა გადასცენ

**გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი (და საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონიც) თვლის, რომ ევროკავშირის მთავარი მიზანი საკუთარი უფლებამოსილების გაფართოებაა და ამისათვის ევროპის ქვეყნები დათმობებზე უნდა წავიდნენ, — იუწყება გერმანული გაზეთი Die Welt.**

„ეროვნული სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაუთმონ საკუთარი სუვერენიტეტი ევროკავშირს და ამის თაობაზე გადაწყვეტილებები ეროვნულმა პარლამენტებმა მიიღონ. მათ ეს მკაცრად ორგანიზებული ფორმით უნდა გააკეთონ“, — ბრძანა მერკელმა ა.წ. 20 ნოემბერს, როცა სიტყვით გამოდიოდა კონრად ადენაუერის ფონდის შეკრებაზე. ამ შეკრების თემა იყო „პარლამენტარიზმი გლობალიზაციასა და ეროვნულ სუვერენიტეტს შორის“.

რამდენიმე დღით ადრე მერკელს გამოსვლა ჰქონდა ბუნდესტაგში, რომლის დროსაც მკაცრად დაგმო ეროვნული მისწრაფებები და უშურველად აქო ყოველგვარი შეღავათები მიგრანტებისთვის.



ფულს სუნი არ ასდის
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნიკა გვარამიამ ეთერში ხმამაღლა განაცხადა: ადამიანებს კოჭებს დავუხვრეტ და მაგასაც არ ვაკმარებო. და ეს მაშინ, როცა იგივე გვარამია კატეგორიულად ითხოვს სამართალდამცავი ორგანოებისგან იმ ადამიანების დაკავებას, რომლებიც თურმე მუქარის შემცველ შეტყობინებებს უგზავნიან. გამოდის, მუქარის შემცველი შეტყობინებების გაგზავნა უნდა დაისაჯოს, მაგრამ, როცა ტელევიზიით აცხადებ, რომ ვილაცეებს თურმე კოჭებს დაუხვრეტ და ამას არ აკმარებ, ეს არა.**

# «კოჭებისმხვრეტელი» გვარამია და «ტერორისტი» არასამთავრობოები

## ნიკა გვარამია ამბობს, რომ რუსეთი უნდა ალიგავოს პირისაგან მიწისა და ყველა, ვისაც ჩრდილოელ მეზობელთან რაიმე აკავშირებს, მოღალატეა. ამ დროს თვითონ რუსული ფულით ცხოვრობს და ნებივრობს...

**საქართველოში არსებული უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციის ფონზე, კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია რომ შევქმნა და მე და ეს ორგანიზაცია რუსეთმა დაგვაფინანსოს, ანუ გრანტები, რომლებსაც დღეს არსებული არასამთავრობოები ევროპიდან და ამერიკიდან იღებენ, რუსეთიდან რომ წამოვიდეს, გამომაცხადებენ თუ არა ქვეყნის მოღალატედ?**

ძალიან დიდი ალბათობით, ქვეყნის მოღალატედ გამოცხადება კი არა, ლინჩის წესით გასამართლება არ ამცდებოდა და ამ ყველაფერს სათავეში სწორედ ის არასამთავრობოები ჩაუდგებიან, ახლა მშვიდად რომ ნაბავენ თვალებს და ობიექტურობაზე აქვთ პრეტენზია. ეს იმის მიუხედავად, რომ ორივე შემთხვევაში ფული საზღვრებს გარედან შემოვა, მაგრამ ქართული არასამთავრობოების რეალობა ასეთია — ევროპულ და ამერიკულ ფულს სუნი არ აქვს, რუსული ფული კი ყარს! ყველაფერი ძალიან ჰგავს იმას, რომ არასამთავრობოებსა და მათ დამფინანსებლებს არანაირად არ სურთ, ქართულ რეალობაში შემოვიდეს ახალი ძალა, რადგან, მათივე მონაცემებით, არსებობს ძალიან დიდი შანსი იმისა, რომ ამ ძალას ბევრი ამოუდგება მხარში და, რაც მთავარია, არსებობს შანსი იმისა, რომ ამ ძალამ ობიექტური შეფასებები და დასკვნები აკეთოს.

თუ გახსოვთ, „ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის პერიოდში მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას ჩაიდენდა ხელისუფლება, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე ამერიკა და ევროპა ერთ ხმაში ამბობდნენ: წინ მივიწევთ და ქართული დემოკრატია სანიმუშოა არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპაშიცო. ეგ კი არა, სახალხო დამცველიც სწორედ იმ ტონალობაში მღეროდა, რომელსაც ნაციონალები შეუკვეთავდნენ და ეს გამოჩნდა კიდეც, როცა სახალხო დამცველმა **გიორგი ტუღუშმა** ნაციონალების მინისტრთა კაბინეტში გადაინაცვლა. (შენიშვნისათვის: სწორედ ტუღუში იყო სახალხო დამცველი მაშინ, ჩვენი რედაქცია რომ დაარბიეს, მაგრამ ამ ვაჟბატონს კრინტიც არ დაუძრავს, ვითომც არაფერი არ მომხდარა).

ახლა საპრეზიდენტო არჩევნებზე ვთქვათ. ეგრეთ წოდებულმა გაერთიანებულმა ოპოზიციამ, რეალურად კი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებში მარცხი აღიარა და **მიხეილ სააკაშვილის** მოწოდებას დაუმორჩილებლობაზე გაემიჯნა. თუმცა, როგორც კი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა განაცხადა, — მმართველმა გუნდმა ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენაო, მაშინვე კვერი დაუკრა: მართლები ხართო, და აქციაც დააანონსეს. პარალელურად, მუდმივად იმას იმეორებდნენ, რომ არჩევნებში ხმა მათ რვაასი ათასმა ამომრჩეველმა დაუჭირა და ეს ადამიანები ქუჩაში გამოვიდოდნენ. რა თქმა უნდა, კვირას რვაასი ათასი ადამიანი არ მისულა ნაციონალების მხარდასაჭერად და, იმის მიუხედავად, რომ წინა დღით გაერთიანებულმა ოპოზიციამ დუღილის ტემპერატურის აწევა სცადა, რეალურად არაფერი გამოუვიდა და ხალხის იმ რაოდენობით, რომლითაც ისინი კვირას წარდგნენ, გამორიცხულია, გადატრიალება-გადმოტრიალებაზე იფიქრონ.

ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების ფონზე ოპოზიცია ხვდება, რომ რიგითი მოქალაქეები არც ისეთი ტოლერანტები არიან, როგორც მოქმედი ხელისუფლება. მართალია, ძირითადად ადამიანების მოკლე პოლიტიკური მეხსიერების იმედად არიან საქართველოში, მაგრამ იმდენად მძიმე ცხრა წელი გადაიტანა ამომრჩეველმა, მეხსიერებიდან ვერ შლის. ამიტომ ისინი რადიკალიზმს ერიდებიან, მაგრამ რადიკალურები არიან ევროპელ თუ ამერიკელ პარტნიორებთან და სთხოვენ, 2020 წლისთვის ხელისუფლებაში დაბრუნება „გაუმწვანონ“.

იცით, საინტერესო რა არის? როგორც კი შანსი მიეცემა, პრაქტიკულად ყველა არასამთავრობო და ყველა ტელევიზია აცხადებს, რომ რუსეთიდან წამოსულ ფულს ხელი არავინ არ უნდა მოჰკიდოს, რისთვისაც არ უნდა იყოს ეს ფული გადმორიცხული. რა თქმა უნდა, ამ დროს არავინ ახსენებს იმას, რომ დაახლოებით მილიონი ქართველი რუსეთში შოულობს სარჩოს, თავსაც ირჩენს და ერთ ამდენს აქაც არჩენს, მაგრამ...

**ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ხმალამოღებული იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ და მისთვის ნებისმიერი ადამიანი, რომელიც რუსეთთან რაიმე ფორმით არის დაკავშირებული, მოღალატეა. ამ დროს ოფიციალურად, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ამ ტელეკომპანიის სოლიდური წილის მფლობელი პარლამენტარ კობა ნაყოფიას ვაჟი — ნიკოლოზ ნაყოფიაა. ამ უკანასკნელს კი ბიზნესი რუსეთში აქვს, რუსეთის მოქალაქეა და იქ ნაშოვნი ფულით აფინანსებს ტელევიზიასაც და ხელფასებსაც სწორედ რუსეთში ნაშოვნი ფულით უხდის.** რა გამოდის? მაგალითად, **ნიკა გვარამია,** რომელიც ამბობს, რომ რუსეთი უნდა ალიგავოს პირისაგან მიწისა და ყველა, ვისაც ჩრდილოელ მეზობელთან რაიმე აკავშირებს, მოღალატეა, ამ დროს თვითონ რუსული ფულით ცხოვრობს და ნებივრობს...

მაგრამ საკმარისია, რომელიმე რუსულმა კომპანიამ საქართველოში ოფისი გახსნას და იქ ვინმემ მუშაობა დაიწყოს, მაშინვე სამშობლოს მტერი ხდება.

სხვათა შორის, ეს ორმაგი სტანდარტი ძალიან კარგად მუშაობს ევროპელი და ამერიკელი პარტნიორებისთვის. უფრო ზუსტად, ევროპელებსა და ამერიკელებს ეს ორმაგი სტანდარტი ხელს აძლევთ, და ხელს აძლევთ იმიტომ, რომ ხმამაღლა მხოლოდ რუსეთის კრიტიკა ისმის, ხოლო რას ფიქრობს ხალხი, არავის აინტერესებს. ხალხს არ აქვს საერთაშორისო ტრიბუნა, არ დადის ევროპარლამენტში, არ გამოდის სიტყვით და ამიტომ უბანში ნათქვამი „რუსეთი კარგია“ არავის ყურამდე არ მიდის.

1 დეკემბერს, საღამოს, **ნიკა გვარამიამ ეთერში ხმამაღლა განაცხადა, ადამიანებს კოჭებს დავუხვრეტ და მაგასაც არ ვაკმარებო. და ეს მაშინ, როცა იგივე გვარამია კატეგორიულად ითხოვს სამართალდამცავი ორგანოებისგან იმ ადამიანების დაკავებას, რომლებიც თურმე მუქარის შემცველ შეტყობინებებს უგზავნიან, ანუ მუქარის შემცველი შეტყობინებების გაგზავნა უნდა დაისაჯოს, მაგრამ, როცა ტელევიზიით აცხადებ, რომ ვილაცებს კოჭებს დაუხვრეტ და ამას არ აკმარებ, არა.** ამ განცხადებას წაუყრუეს არასამთავრობოებმა, რადგან ხელს არ აძლევთ ხმაურის ატეხვა, რადგან პარტნიორები არიან, რადგან ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, გრანტს რამე დააკლდეს და ურჩევნიათ, პირში წყალი ჩაიგუბონ.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ხელისუფლებაში სწორედ არასამთავრობოები და ტელეკომპანიები არიან, თვით ხელისუფლება კი ოპოზიციაა და მუდმივად თავდაცვაზეა გადასული. ვერ გეტყვით, რატომ მოირგო ოპოზიციის ამპლუა ხელისუფლებამ, მაგრამ ამ არჩევნებმაც აჩვენა, რომ **ოპოზიციისა და არასამთავრობოების წარმომადგენლებს ჰქონდათ ყველაფრის უფლება, ისინი შედიოდნენ უბანზე, აშინებდნენ ამომრჩეველსა თუ კომისიის წევრებს, ეუბნებოდნენ, რომ „ღორებივით გამოჭრიდნენ ყელს“ და ვითომც არაფერი, ჩვეულებრივად მიიღო ყველამ. აი, როგორც კი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი რაიმე პროტესტს გამოთქვამდა, მაშინვე აფთრებივით მიესეოდნენ და ტალახს ესროდნენ: როგორ გაბედე და ხმა ამოიღე: საკუთარ თუ შენი მომხრე ამომრჩევლის უფლებას როგორ იცავო.** და ამ ყველაფერს თითქოს ყველა შეეგუა, თითქოს ასე უნდა იყოს, მაგრამ, რაც მთავარია, ყველამ იცის, რომ ეს არანორმალურია, მაგრამ ხმას არავინ იღებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებას სწორედ ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების განაწყენება არ სურს და, როგორც კი ახალარჩეულმა სალომე ზურაბიშვილმა პირველივე ინტერვიუში რუსეთი გააკრიტიკა, ტაში დაუკრეს: აგერ, ხომ ხედავთ, ევროპელი პრეზიდენტი გვყავსო. მეორე მხრივ, ყველა ჩასაფრებული იყო, მიულოცავდა თუ არა ზურაბიშვილს პრეზიდენტობას რუსი კოლეგა, რათა მერე ქოქოლა დაეყარათ, თუმცა მილოცვა არ ყოფილა და არ ყოფილა მარტივი მიზეზის გამო — პირველივე ინტერვიუში მეზობელს ლანძღვას რომ დაუწყებ, მილოცვას რატომ უნდა ელოდო?! ჯერ ინაუგურაცია რომ არ გამართულა, ოფიციალური სტატუსი რომ არ გაქვს და უკვე იმ სახელმწიფოს ლანძღავ, რომელთანაც, წესით, საუბარსა და მისასვლელ გზებს უნდა ეძებდე, რატომ გიკვირს, რომ იქიდან ყვავილებს არ გესვრიან?!

ფაქტია, რომ უცნაურ რეალობაში ვცხოვრობთ. ორმაგი სტანდარტი ყველა მიმართულებით მუშაობს და სწორედ ამის გამოა, ხელისუფლება საკუთარ თავს რომ არ ჰგავს, ოპოზიცია ხელისუფლებასავით იქცევა, არასამთავრობოები იცავენ მათ, ვისზეც გრანტი აქვთ აღებული და არა მათ, ვინც ამას მართლა საჭიროებს და ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ამბად იქცა. **ევროპა-ამერიკიდან დაფინანსებული არასამთავრობოები იმას არკვევენ, ის დამკვირვებლები, რომლებიც ევროპამ და ამერიკამ არ დააფინანსეს, საიდან იღებდნენ თანხებს და ყველგან რუსულ კვალს ეძებდნენ. მართალია, ეს კვალი ვერ იპოვეს, მაგრამ ეჭვობენ, რომ სწორედ რუსული ფულით დაფინანსდნენ ის არასამთავრობოები, რომლებსაც მათსავით კრიტიკული შენიშვნები არ ჰქონდათ და არჩევნების შედეგები არ გააპროტესტეს.** ეს იმის მიუხედავად, რომ, მაგალითად, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) დირექტორმა განაცხადა: ოპოზიციამ შედეგი უნდა აღიაროს და 2020 წლის არჩევნებისთვის დაიწყოს მზადებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის პირით ამერიკა საუბრობს, მაგრამ ნურას უკაცრავად! ოპოზიცია არეულობისთვის ემზადება, რადგან ქვეყანაში ხელისუფლება თურმე „მშვიდობიანი რევოლუციის“ გზით უნდა შეიცვალოს.

**ერთი „ვარდების რევოლუცია“ იყო მშვიდობიანი და მეორე ეს იქნება...**



**ტელეკომპანია «რუსთავი 2» ხმალამოღებული იბრძვის რუსეთის წინააღმდეგ და მისთვის ნებისმიერი ადამიანი, რომელიც რუსეთთან რაიმე ფორმით არის დაკავშირებული, მოღალატეა, მაგრამ ამავე დროს ოფიციალურად, დოკუმენტურად დასტურდება, რომ ამ ტელეკომპანიის სოლიდური წილის მფლობელი პარლამენტარ კობა ნაყოფიას ვაჟი — ნიკოლოზ ნაყოფიაა. ამ უკანასკნელს კი ბიზნესი რუსეთში აქვს, რუსეთის მოქალაქეა და იქ ნაშოვნი ფულით აფინანსებს ტელევიზიასაც და ხელფასებსაც სწორედ რუსეთში ნაშოვნი ფულით გასცემს**

ბესო ბარბაქაძე

*** „მე მოვუწოდებ პოლიციასა და ჯარს, არ დაემორჩილონ არსებულ ხელისუფლებას!“**
*** „ვინც მომეკარებით, კოჭებს დაგიხვრეტთ, პატრული არა ჩემი ფეხები!“**
*** „ჩვენ მოგვეცა ლეგიტიმაცია, რომ დავასრულოთ არსებული კრიმინალური რეჟიმი და ხელისუფლება!“**
**ეს და ამის მსგავსი ყოველდღიური მოწოდებები სისხლის სამართლის დანაშაული არ არის?**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მძიმედ დაავადებული ქართული სახელმწიფოსთვის დიაგნოზი ჯერ კიდევ ძალიან რთული დასასმელია. დიაგნოზი-მეთქი, თორემ ავადმყოფის მძიმე და თითქმის უიმედო მდგომარეობა აშკარაა. ნეტარ არიან ისინი, ვისაც სჯერა და სწამს, რომ ბიძინა ივანიშვილი თავისი „ქართული ოცნებით“ აზრზე მოვა, გასასტუმრებელს გაისტუმრებს და დასაფასებელს დააფასებს. სულაც არა! ბატონი ბიძინა, როგორც სჩვევია, უბრალოდ, რამდენიმე განტევების ვაცს იპოვის, ყველაფერს მათ დააბრალებს და მათ ნაცვლად უარეს კადრებს შეარჩევს „ნათელი მომავლისა“ და „გასაოცარი დემოკრატიის“ ასაშენებლად.**

# დემოკრატიის ზედოზირება თუ სახელმწიფოებრივი უპასუხისმგებლობა?





**«თუ ვინმემ ქუჩაში შეურაცხყოფა მოგვაყენა მე და ჩემს ოჯახს, არავის გეგონოთ, პატრულს გამოვიძახებ, იარაღის ტარების უფლება მაქვს, იარაღი სულ თან დამაქვს და პირდაპირ გესვრით, პატრული არა ჩემი ფეხები!» — განგვიცხადა ეთერიდან კაცმა, რომელიც სულ რაღაც «ამას წინათ» გენერალური პროკურორის მოადგილის, შემდეგ კი იუსტიციის მინისტრის რანგში «სამართლებრივ სახელმწიფოს გვიშენებდა» და «ძველბიჭური მენტალიტეტისგან» თავის დაღწევისკენ მოგვიწოდებდა**

ბიძინურმა დემოკრატიამ კიდეც გაგვაოცა, კიდეც გაგვაშტერა და ჭკუიდანაც გადაგვიყვანა. რა თქმა უნდა, გაგიჩნდებათ ე.წ. ლეგიტიმური კითხვა: ჩვენ კი გაგვაოცა, მაგრამ აქვთ თუ არა ანალოგიური შთაბეჭდილება ევროპელებსა და ამერიკელებს? აკი, ივანიშვილი, ძირითადად, სწორედ მათ „ემუქრებოდა“ თავისი „გასაოცარი დემოკრატიით“?! ჩემი აზრით, **ამერიკელები და ევროპელები ჩვენზე მეტად გაოცებული უნდა იყვნენ, რადგან წარმოუდგენელია, მათ ოდესმე სადმე ენახოთ და მოესმინოთ, როგორ ემუქრება ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელი ტელევიზიის გენერალური დირექტორი მაყურებლებს „კოჭების დახვრეტით“.**

„შერეკილების“ ნოშრევანისა არ იყოს, ასეთი რამ ჯერ ევროპაში ნამდვილად არ შეუნიშნავთ. ჩვენი დღევანდელი სტატიის მიზანიც ესაა — შევეცდებით, დავადგინოთ, რა არის ქართული სახელმწიფოს კლინიკური სიკვდილის მიზეზი: დემოკრატიის ზედოზირება თუ „ექიმების“, ანუ ხელისუფლების უპასუხისმგებლობა.

ყველამ ვიცით, **ნარკომომხმარებლის ნარკოტიკთან კარგად შეჩვეული ორგანიზმიც კი ვერ უძლებს ხოლმე ზედმეტ დოზას და ეს ნარკომანის გარდაცვალებას იწვევს. აქედან გამომდინარე, სურვილი მაქვს, დავადგინო, როდემდე გაუძლებს ქართველი ხალხის, საქართველოს სახელმწიფოს, ქვეყნის „ორგანიზმი“ დემოკრატიის იმ დოზებს, რომლებსაც ბიძინა ივანიშვილი და მისი „ქართული ოცნება“ გვთავაზობენ?**

„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი და მისი თავზეხელაღებული, ყოველგვარ ზღვარს გადასული მუქარა უკვე ვახსენეთ და ბარემ აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ **პირდაპირი ეთერიდან დედის გინებაც სწორედ მისი დამკვიდრებულია ქართულ მედიაში.** ვგულისხმობ თვით ტელეკომპანიის დირექტორის საჯარო ბილწსიტყვაობას, თორემ სტუდიაში მიწვეული სტუმარი რაღაც მომენტში შეიძლება ვინმემ ვერ გააკონტროლოს და, მისგან გინებაც რომ მოვისმინოთ, ეს გასაგებია. მაგრამ მსოფლიოში უპრეცენდენტო შემთხვევაა, რომ ტელეკომპანიის არათუ უბრალო ჟურნალისტი, არამედ თვით გენერალური დირექტორი ასეთი ბილწსიტყვაობის კორიანტელს აყენებდეს თავისივე ტელევიზიის ეთერში.

ამისთან, ნიკა გვარამიამ სამოქალაქო შეგნების მაგალითიც გვაჩვენა — **„თუ ვინმემ ქუჩაში შეურაცხყოფა მოგვაყენა მე და ჩემს ოჯახს, არავის გეგონოთ, პატრულს გამოვიძახებ, იარაღის ტარების უფლება მაქვს, იარაღი სულ თან დამაქვს და პირდაპირ გესვრით, პატრული არა ჩემი ფეხები!“ — განგვიცხადა ეთერიდან კაცმა, რომელიც სულ რაღაც „ამას წინათ“ გენერალური პროკურორის მოადგილის, შემდეგ კი იუსტიციის მინისტრის რანგში „სამართლებრივ სახელმწიფოს გვიშენებდა“ და „ძველბიჭური მენტალიტეტისგან“ თავის დაღწევისკენ მოგვიწოდებდა.**

ასეა, როგორც ჩანს, დემოკრატიის დოზებმა მიჩვევა იცის. მაგალითად, გასულ კვირაში „გაერთიანებული ოპოზიცია ძალა ერთობაშია“ — ამ სახელით მოქმედმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და მისმა ანასხლეტებმა განგვიცხადეს, „ჩვენ არ ვცნობთ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს და ქუჩაში უნდა გავვარდეთო“.

დღეს ჩვენს „ზედემოკრატიულ“ ქვეყანაში ქუჩაში გავარდნით ვერავის გააკვირვებ. განსაკუთრებით ბოლო 2-3 წელიწადში ვიხილეთ ზედემოკრატიის რამდენიმე ნიმუში. მხოლოდ ნარკორეალიზატორების ცნობილი აქცია რად ღირს, სადაც შინაგან საქმეთა მინისტრმა ნარკორეალიზატორებს ბოდიშიც კი მოუხადა, **აქციის მონაწილეებს კი გამოფენილი ჰქონდათ პლაკატები, რომლებზეც ეწერა, რომ თბილისის ღამის კლუბებში ნარკოტიკების გამსაღებლების დაკავება და სარეალიზაციოდ გამზადებული სინთეტიკური ნარკოტიკების ამოღება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის დაკვეთა იყო.** ასეთი დონის არც სიდებილე ახსოვს, ალბათ, არავის და არც ამ დონის „დემოკრატია“.

ჰოდა, არც ნაცების ქუჩაქუჩა ხეტიალი გააკვირვებდა ვინმეს, რომ არა **გრიგოლ ვაშაძის** საარჩევნო შტაბის უფროს **გიორგი ვაშაძის** ზესაოცარი განცხადება, — ჩვენ 800 ათასმა ადამიანმა მოგვცა ხმა და, შესაბამისად, ეს იმის მანდატია, მათგან მოცემული, რომ მთავრობა ჩამოვაგდოთ და ხელისუფლება შევცვალოთო.

**და რა ვუყოთ მეორე მხარისთვის მიცემულ მილიონ 200 ათას ხმას?** — ამაზე ნაცებს თავისი „ურყევი“ პასუხი აქვთ: გააყალბესო! მაგრამ ამას დამტკიცება რომ უნდა, არაფერს ამბობენ. ან თუნდაც იყოს გარკვეული გაყალბებები და დარღვევები, ფაქტია, რომ ზურაბიშვილს 400 ათასი ამომრჩევლით მეტმა მისცა ხმა, ვიდრე ვაშაძეს. როგორ ფიქრობთ, თუკი გაყალბება ისეთი მასშტაბის იყო, რომ „ქოცებმა“ თითქმის ნახევარი მილიონი ხმა „მოიპარეს“, ასეთ შემთხვევაში, საოლქო სარჩევნო კომისიებში მხოლოდ ორიოდე ათეული საჩივარი დაიწერებოდა? ან „ნაცების“ მიერ დესტაბილიზაციაზე დაგეშილ „რუსთავი 2“-ს ისეთი უსუსური „ფაქტები“ ექნებოდა, როგორიც გააშუქეს?

რაც მთავარია, „ოცნებას“ რომც გაეყალბებინა 300 ათას 999 ხმა, ანუ „ნაცების“ სასარგებლოდ ყოფილიყო 800 ათასი, ხოლო „ქოცების“ სასარგებლოდ — 800 ათას ერთი ხმა, დემოკრატიის სტანდარტებით, ეს მაინც „ქოცების“ გამარჯვებაა და დემოკრატიულმა მოწინააღმდეგემ გამარჯვებულს უნდა მიულოცოს.

დიახ, კაცობრობამ ასეთი წესები სწორედ რევოლუციების თავიდან ასაცილებლად მოიგონა და სწორედ ამას ემსახურება არჩევნების შემთხვევაში მეორე ტურის გამართვის პრინციპიც. ანუ, თუკი მეორე ტურში დარჩენილ ორ კანდიდატს შორის რომელიმემ არათუ ერთი პროცენტით, არამედ თუნდაც ერთი (ცალი) ხმითაც მეტი რომ მოაგროვოს, გამარჯვება მისია და მოწინააღმდეგე უნდა შეეგუოს ამას.

**ნაცებს კი, როგორც ვნახეთ, დემოკრატია მხოლოდ იმ შემთხვევაში მოსწონთ, თუ ის მათ სასარგებლოდაა. სხვა შემთხვევაში, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არათუ 50 პროცენტს მინუს ერთი ხმა, არამედ, სულ რაღაც, 39 პროცენტიც კი საკმარისი ყოფილა იმისთვის, რომ ამ 39 პროცენტის „მანდატით აღჭურვილმა“ პოლიტიკურმა ძალამ სახელმწიფო გადატრიალება წამოიწყოს.**

დემოკრატია მსხვერპლს რომ მოითხოვს, ამაზე ნაცებს ან ფიქრიც არ სურთ, ან 6 წელი და მეტი ხელისუფლებაში არყოფნა და ძალაუფლების არქონა მათთვის ნამეტანი დიდი და გაუსაძლისი მსხვერპლია.

თუმცა, **ნაცებთან ისედაც ყველაფერი გასაგებია და მთავარი იმის გარკვევაა, „ოცნება“ რატომ ეგუება ასე უდრტვინველად ამ ყოველივეს? როგორ ფიქრობთ, ეს „დემოკრატიის ზედოზირებაა“ მათი მხრიდან თუ, უბრალოდ, „ექიმის უპასუხისმგებლობა“?**

მართალია, შედეგი, საბოლოოდ, ორივე შემთხვევაში ერთი იქნება — „პაციენტის გარდაცვალება“, მაგრამ სუფთა სპორტული ინტერესით, მაინც გვინდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს ხელისუფალთა მხრიდან ამდენი რამის შერჩენა და პატიება თუნდაც „მთავარი ოპოზიციური ძალისათვის“.

კი ბატონო, ძალიან კარგია, რომ თბილისის ცენტრში, სასტუმროში შესახლებული „ბოევიკები“ და იქ გადამალული საბრძოლო იარაღი და ასაფეთქებელი მასალა სამართალდამცველებმა იპოვეს. უკრაინელი „ბოევიკები“ დაპატიმრებულნი არიან, ხოლო იარაღი ამოღებულია. ეს ყოველივე მხოლოდ მისასალმებელია, მაგრამ კანონი, როგორც ვიცი, არა მხოლოდ იარაღის ფლობის გამო, არამედ სიტყვიერი პირდაპირი მოწოდებების გამოც ითვალისწინებს კონკრეტული პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ამ მხრივ როგორაა ჩვენი სახელმწიფოს საქმე?

*** „მე მოვუწოდებ პოლიციასა და ჯარს, არ დაემორჩილონ არსებულ ხელისუფლებას!“**

*** „ვინც მომეკარებით, კოჭებს დაგიხვრეტთ, პატრული არა ჩემი ფეხები!“**

*** „ჩვენ მოგვეცა ლეგიტიმაცია, რომ დავასრულოთ არსებული კრიმინალური რეჟიმი და ხელისუფლება!“**

**ეს და ამის მსგავსი ყოველდღიური მოწოდებები სისხლის სამართლის დანაშაული არ არის?**

არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიასაშუალებების, მოქმედი თუ გადამდგარი სამხედრო პირების ყოველდღიური დაუსჯელი მუქარა, შანტაჟი, ცილისწამების დაუსჯელი ნიაღვარი დემოკრატიის შეგნებული ზედოზირებაა თუ, უბრალოდ, სახელმწიფოებრივი უპასუხისმგებლობა?

**ისევ „რუსთავი 2“-ის გენდირექტორ ნიკა გვარამიას დავუბრუნდეთ. მან ნაცების ტელევიზიის ეთერში „ბულინგი“ და ფსიქოლოგიური ტერორი უწოდა ქალაქში გამოკრულ ბილბორდებს, რომლებზეც სხვა ნაცებთან ერთად თვითონ გვარამიაც არის გამოსახული და აწერია: „არა ნაცებს! არა ბოროტებას!“**

„ჩემი შვილები ამ ბილბორდებს როცა ხედავენ, ის მათზე ფსიქოლოგიურად მოქმედებს და ვცდილობ, ავარიდო, არ დავანახვო მათ ისინი“, — გულაჩუყებულმა გვაუწყა გვარამიამ.

საინტერესოა, **როდესაც თვითონ კერავდა ნიკა გვარამია „მტკიცებულებებს“ და ქმნიდა ფილმებს „ოპერაცია ენვერი“ და „ნოემბრიდან ნოემბრამდე“, რომლებშიც არაერთი ადამიანი „სამშობლოს მოღალატედ“, „კრემლის აგენტად“, „მექრთამედ“, „მკვლელად“, „ნარკომანად“, „დამნაშავედ“ მოიხსენია, ჰქონდა გარანტია, რომ ამ ფილმებს ამ ადამიანების შვილები არ ნახავდნენ?**

აჰ! სულ დაგვავიწყდა, **ნიკაია პროკურორმა ხომ უკვე მოინანია ეს ყველაფერი და გამოგვიცხადა — მაშინ მაგდენზე არ ვფიქრობდი და ახლა გავაცნობიერე, რომ ეს ჩემი მხრიდან შეცდომა იყოო! მხოლოდ შეცდომა და სხვა არაფერი?! თან ისეთი უბრალო შეცდომა, რომ მისი ჩამდენი ახლა ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორობას და მიშას მომავალ მთავრობაში, ალბათ, პრემიერმინისტრის ერთ-ერთი მოადგილის პოსტსაც იმსახურებს?!**

აი, ასეთია ივანიშვილისეული „გასაოცარი დემოკრატიის“ ზედოზირების შედეგები და საზოგადოებას უკვე ეტყობა ამით გამოწვეული შოკი, ჰიპოტონია და კონვულსიები. საფიქრალი მხოლოდ ისაა, ბატონი ბიძინა დემოკრატიის ასეთ „ზედოზებს“ განგებ „უჩხერს ვენაში“ საზოგადოებას თუ მართლა ვერ ხვდება, რომ ამით საზოგადოების, ქვეყნის, სახელმწიფოს ორგანიზმის გათიშვა და სიკვდილი შეიძლება გამოიწვიოს?!

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**2 დეკემბრის აქციამ ნათლად აჩვენა რომ „ნაცმოძრაობის“ რესურსი ამ მხრივ გაცილებით მცირეა — პარლამენტის შენობასთან ძალიან ცოტა ადამიანი შეიკრიბა. ამან ირიბად დაადასტურა რომ 1. ვაშაძის ყველა ამომრჩეველი არ იყო სააკაშვილის ბრმა მიმდევარი და ხმა, უპირველესად, ზურაბიშვილისა და ივანიშვილის წინააღმდეგ მისცა (რა უცნაური ლოგიკით დაუჭირეს მხარი ნაციონალს, ცალკე საუბრის თემაა); 2. რიგით ნაციონალებს არ სურთ საშიშ დაპირისპირებაში ჩაბმა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მათი ლიდერი საზღვარგარეთ იმყოფება (და თავს უსაფრთხოდ გრძნობს).**

# მიშა, გრიშა და რევოლუციის აჩრდილი

**მიხეილ სააკაშვილმა ვა-ბანკზე წასვლა გადაწყვიტა. გამართლდა იმ ექსპერტების პროგნოზი, რომლებიც ვარაუდობდნენ, რომ ის რევოლუციურ სცენარს აირჩევს. რატომ მოხდა ეს და აქვს თუ არა „ნაცმოძრაობას“ შანსი, ხელისუფლება დაამხოს?**

მეორე ტურში **გრიგოლ ვაშაძემ** 780 674 ხმა მიიღო. ეს საუკეთესო მაჩვენებელია „ნაცმოძრაობისთვის“ 2012 წლის შემდეგ, როდესაც ხმა 867 432 ამომრჩეველმა მისცა. შესადარებლად — 2016 წლის პრინციპული ხასიათის არჩევნებში ნაციონალებს 477 053 ხმა ერგოთ. საინტერესოა, რომ 2012 წლის შედეგს „ქართული ოცნებაც“ მიუახლოვდა, მაშინ მან მიიღო 1 181 862 ხმა, ხოლო სალომე ზურაბიშვილმა მეორე ტურში — 1 147 687. თუმცა აქ გაცილებით მნიშვნელოვანია სხვა რამ — პირველად 2012 წლის შემდეგ ნაციონალებს არჩევნების მოგების მეტ-ნაკლებად რეალური შანსი მიეცათ.

ეს არაერთმა მიზეზმა განაპირობა, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სახელისუფლო კანდიდატის სისუსტე, კრიზისი მმართველი პარტიის შიგნით და მოსახლეობის ზოგადი გადაღლილობა პრობლემებისგან, ნეპოტიზმისგან, სიღარიბისგან და ა.შ. საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებიდან ძველი „ნაცმოძრაობის“ ორმა განშტოებამ განსხვავებული დასკვნა გამოიტანა. „ევროპულმა საქართველომ“ მთავარ მიზნად საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება და პროპორციულ სისტემაზე სასწრაფო გადასვლა დაისახა. რამდენად წარმატებული შეიძლება გამოდგეს მისი ძალისხმევა, ცალკე საუბრის თემაა, თუმცა ფაქტია, რომ ის კანონისა და ლეგალური პოლიტიკური პროცესის ჩარჩოებს არ სცდება, მაშინ როდესაც სააკაშვილმა დაიწყო საუბარი დაუმორჩილებლობაზე, მიანიშნა ინაუგურაციის შესაძლო ჩაშლაზე, მოკლედ მომხრეები იმ გზით წაიყვანა, რომელიც, დიდი ალბათობით, კანონდარღვევამდე მიიყვანს.

სააკაშვილი არჩევნების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს: **„თითქმის 100 ათასი ბიულეტენია ოფიციალურად გაბათილებული, რომლის აბსოლუტურ უმრავლესობას ვაშაძისთვის მიცემული ხმები წარმოადგენს. ამასთანავე, „კარუსელების“ მეშვეობით ჩაყრილია 200 000 ხმა. „ძველი ბიჭებისა“ და „კარუსელების“ მეშვეობით მოხდა ეგზიტპოლებით მანიპულირება. ჩვენ ავიღეთ თითქმის 900 000 ხმა. თეორიულადაც შეუძლებელია, რომ საქართველოში აიღო 900 000 ხმა და არ მოიგო, იმიტომ, რომ ასეთია მოსახლეობის რაოდენობა. 2016 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ბევრად ნაკლები ხმით აიღო საკონსტიტუციო უმრავლესობა. მეგობრებო, ჩვენ ეს არჩევნები მოგვპარეს“.** დროებით თავი დავანებოთ იმას, რომ „თითქმის 100 000“ გაბათილებული ბიულეტენი სინამდვილეში 47 595 -ია, ეს საერთო რაოდენობის 2,41% და დიდად არ განსხვავდება სხვა წლების მაჩვენებლებისგან: 2,63% —2008-ში, 2,97% — 2010-ში, 2,94% —2012-ში, 1,81% — 2013-ში, 4,38% — 2014-ში, 3,77% —2016-ში. განზე გადავდოთ „თითქმის 900 000“ ხმაც, რომელიც სინამდვილეში 780 674-ია. აქ მთავარია სხვა რამ - სააკაშვილი არჩევნების შედეგების აღიარებაზე უარს ამბობს იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა ის ჩატარებულად და, ცალკეული ხარვეზების მიუხედავად, დემოკრატიულად ჩათვალეს.

გასულ კვირას **გიგა ბოკერიამ** თქვა: „საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან ასეთი კრიტიკული შეფასებები შევარდნაძის დროიდან არ მახსენდება“. ალბათ, უნდა შევახსენოთ, მაგალითად, 2008 წლის იანვრის მოვლენები, როდესაც საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია (IEOM) საქართველოს მასშტაბით 180 საუბნო კომისიაში დააკვირდა ხმების დათვლისა და შემაჯამებელი ოქმების შედგენის პროცესს. „ხმების დათვლის 23% შეფასდა, როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი. დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ დათვლის პროცესის 8%-ში ისინი შემაჯამებელი ოქმების შეცვლის მოწმენი გახდნენ. 21%-ში მათ მნიშვნელოვანი პროცედურული დარღვევები აღრიცხეს, — ნათქვამი იყო სადამკვირვებლო მისიის მოხსენებაში. — მონაცემები ხშირად შეიცავდა უზუსტობებს; ცესკო-ს თანამშრომლებმა აცნობეს OSCE/ODIHR და IEOM -ს, რომ 3 511 საარჩევნო უბნიდან 940-ში იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომელთაც ხმა მისცეს, არ ემთხვეოდა ნამდვილი და ბათილი ბიულეტენების ჯამს“. ამგვარი შეფასებები მართლაც ქმნიდა საბაბს იმისთვის, რომ არჩევნები გაყალბებულად გამოცხადებულიყო, მაგრამ ბოკერიას ეს ეპიზოდი, როგორც ჩანს, არ ახსოვს. წლევანდელ შეფასებებში მსგავსი არაფერი გვხვდება, თუმცა, ცხადია, დარღვევებზე რეაგირება უნდა მოხდეს.

**სააკაშვილი, ამასთანავე, აცხადებდა, რომ ზურაბიშვილს გამარჯვება არც ერთი ქვეყნის მეთაურმა არ მიულოცა, პოსტსაბჭოთა ლიდერებისა და საფრანგეთის პრეზიდენტის გარდა. როდესაც გაირკვა, რომ ეს სიცრუეა, მისმა მომხრეებმა დაიწყეს საუბარი იმაზე, რომ მილოცვა სინამდვილეში არაფერს ნიშნავს და ა.შ. თუმცა, ალბათ, ვაშაძის ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილისთვისაც კი ცხადი იყო, რომ არჩევნები შედგა და მსოფლიომ შედეგი აღიარა.**



ჯერ კიდევ 2 დეკემბრის აქციამდე სააკაშვილმა თქვა: „როგორც ჩვენ არ მივეცით საშუალება 2003 წელს ედუარდ შევარდნაძეს, გაეხსნა პარლამენტი და ლეგიტიმაცია მოეხდინა გაყალბებული საპარლამენტო არჩევნების, ზუსტად ასევე, 16-ში აპირებენ ესენი პრეზიდენტის ინაუგურაციას. ჩემი აზრით, ქართველმა ხალხმა უნდა თქვას: ჩვენ, მშვიდობიანად, წყნარად, კონსტრუქციულად, ზომიერებისა და კანონის ფარგლებში, ძალიან აუღელვებლად, მაგრამ ძალიან მასობრივად, არ მოგცემთ თქვენ საშუალებას, ჯიბეში ჩაიდოთ ხალხისთვის მოპარული საპრეზიდენტო არჩევნები“. ყველამ გაიგო ეს, როგორც მინიშნება ინაუგურაციის ჩაშლაზე — საინტერესოა, რომ პირველად ეს თემა ქართულ პოლიტიკაში ასევე 2008 წელს გაჩნდა. მაშინ, 20 იანვარს, ინაუგურაციის დღის იპოდრომზე უზარმაზარი მიტინგი გაიმართა. ოპოზიციის ლიდერებს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ინაუგურაციის ჩატარებისთვის ხელი შეეშალათ, მაგრამ ამაზე უარი თქვეს. 2 დეკემბრის აქციამ ნათლად აჩვენა რომ „ნაცმოძრაობის“ რესურსი ამ მხრივ გაცილებით მცირეა — პარლამენტის შენობასთან ძალიან ცოტა ადამიანი შეიკრიბა. ამან ირიბად დაადასტურა, რომ **1.** ვაშაძის ყველა ამომრჩეველი არ იყო სააკაშვილის ბრმა მიმდევარი და ხმა, უპირველესად, ზურაბიშვილის და ივანიშვილის წინააღმდეგ მისცა (რა უცნაური ლოგიკით დაუჭირეს მხარი ნაციონალს, ცალკე საუბრის თემაა); **2.** რიგით ნაციონალებს არ სურთ საშიშ დაპირისპირებაში ჩაბმა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მათი ლიდერი საზღვარგარეთ იმყოფება (და თავს უსაფრთხოდ გრძნობს).

არის კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება — სააკაშვილი, სავარაუდოდ, დაფიქრდა იმაზე, რომ ასეთი მასშტაბის კონსოლიდაცია „ნაცმოძრაობისა“ და მისი კანდიდატის გარშემო შეიძლება არასოდეს აღარ განმეორდეს (მით უმეტეს თუ „ქართული ოცნება“ „გამოფხიზლდება“). მას, როგორც ჩანს, უიღბლო, მაგრამ აზარტული მოთამაშის მსგავსად, სურს, გაათამაშოს მის ხელთ არსებული კარტი, რადგან თვლის, რომ უკეთესი კომბინაცია არ ექნება, მიუხედავად იმისა, რომ ეს მცდელობა შეიძლება სრული გაკოტრებით დასრულდეს.

უკრაინული „მაიდნის“ დროს გამოყენებული ტექნოლოგიები, სხვა ყველაფერთან ერთად, მსხვერპლის როლის მორგებას, დედაქალაქის ცენტრში ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი სივრცის შექმნას („კარვების ქალაქი“ კიევში) და მის შემდგომ გაფართოებას გულისხმობს. 2 დეკემბერს ამის წინაპირობები არ შეიქმნა, 16 დეკემბერს, რეგიონებში მობილიზაციის შემდეგ („ნაციონალებმა“ თავისი, — შესაძლოა განგებ, — არარეალისტური მოთხოვნების შესასრულებლად ხელისუფლებას ვადა სწორედ ინაუგურაციის დღემდე მისცეს) სააკაშვილმა შეიძლება სცადოს შეტაკების პროვოცირება თავის მომხრეებსა და ინაუგურაციის ადგილის სიახლოვეს მყოფ სამართალდამცავებს შორის და ამ გზით ინაუგურაცია თუ არ ჩაშალოს, შემდგომი ესკალაციისთვის, კარვების დადგმისთვის და ა.შ. საბაბი შექმნას. **ის, რომ 2 დეკემბრის აქცია მცირერიცხოვანი გამოდგა და მშვიდობიანად დაიშალა, არაფერს ნიშნავს. „მესამე რაუნდი“ მეორე ტურის შემდეგ ჯერ არ დასრულებულა. ინაუგურაციამ უპრობლემოდ რომც ჩაიაროს, პროპორციული სისტემით ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნა დარჩება და იმის ალბათობა, რომ საქმე (თუნდაც მცირე ძალებით) „კარვების ქალაქის“ გაშლამდე მივა, საკმაოდ მაღალია**.

2 დეკემბერს შსს-მ თბილისში უკრაინის 6 და საქართველოს 1 მოქალაქე დააკავა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას ან შენახვას გულისხმობს.

დაკავების ოპერაცია გამთენიისას, სასტუმრო „ალიანსში“ ჩატარდა. დაკავებულთა შორის იყო უკრაინაში, დონბასში მებრძოლი ქართველი **ლუკა ჩხეტია**. „ინტერპრესნიუსის“ ცნობით, მისი ოჯახი ამბობს, რომ ის გაერთიანებული ოპოზიციის მიერ დაგეგმილ აქციაზე დასასწრებად ჩამოვიდა.

ამ ინფორმაციამ განსაკუთრებული რეზონანსი სწორედ იმიტომ გამოიწვია, რომ ქართველი საზოგადოება ბოლო დღეებში აქტიურად განიხილავდა უკრაინული „მაიდნის“ სცენარს. **ბევრ კომენტატორს ეჭვი გაუჩნდა, რომ ეს პირები შეიარაღებული პროვოკაციის მოწყობას აპირებდნენ. ცხადია, სასამართლოს ვერდიქტამდე მათი უდანაშაულობის პრეზუმფციით უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუმცა აშკარაა, რომ ამ ამბავმა გაამყარა საზოგადოებრივი აზრი იმის თაობაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნებას არეულობისა და სისხლისღვრის გზით გეგმავს.** ერთი შეხედვით, მას ამისთვის საკმარისი რესურსი არ აქვს, თუმცა საქართველო ძალიან სუსტი სახელმწიფოა, ხელისუფლება ნაკლებად კომპეტენტურია, ამიტომ საზოგადოება მზად უნდა იყოს მოვლენების ნებისმიერი, მათ შორის ყველაზე მძიმე სცენარით განვითარებისთვის, როგორც 16 დეკემბრამდე, ისე შემდგომ დღეებში.

**2 დეკემბერს შსს-მ თბილისში უკრაინის 6 და საქართველოს 1 მოქალაქე დააკავა. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას ან შენახვას გულისხმობს... ბევრ კომენტატორს ეჭვი გაუჩნდა, რომ ეს პირები შეიარაღებული პროვოკაციის მოწყობას აპირებდნენ. ცხადია, სასამართლოს ვერდიქტამდე მათი უდანაშაულობის პრეზუმფციით უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუმცა აშკარაა, რომ ამ ამბავმა გაამყარა საზოგადოებრივი აზრი იმის თაობაზე, რომ მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნებას არეულობისა და სისხლისღვრის გზით გეგმავს**

**სააკაშვილმა მხოლოდ უფლებებით და მოვალეობების გარეშე იმეფა 9 წლის განმავლობაში, არ დაუკლია არავითარი მიწიერი სიამენი, ჰარამხანით დაწყებული და ქეიფ-ნარკოტიკებით დამთავრებული. ბათუმიც კი, რომლის აშენებასაც არცთუ უსაფუძვლოდ იჩემებს, აჭარის ეს ქათქათა მარგალიტი, პირველ რიგში, საკუთარი სიამოვნებისთვის აიშენა (ოღონდ თურქული ფულით). ხატოვნად თუ ვიტყვით, სააკაშვილისთვის ბათუმი ბრჭყვიალა ბიჟუტერია იყო და, ალბათ, დღემდე ესიზმრება ბათუმში ჩატარებული ორგიები.**



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბევრი რამ მიუქარავს „ქართულ ოცნებას“ ბოლო 6 წლის განმავლობაში. ბევრსაც, ალბათ, აბრალებენ, მაგრამ ბრმა და ყრუ უნდა იყო ადამიანი, რომ ხელისუფლებას დემოკრატია-თავისუფლების ხარისხი დაუწუნო მოცემულ დროსა და სივრცეში... დიახ, ბრმა და ყრუ ან მთლად უარესი — პათოლოგიურად „მიშმადიდებელი“, ჩასაფრებული ნაცი უნდა იყო, რომ ვერ დაინახო, რომ მიშნაცების ფაშისტურ-სადისტური რეჟიმი 6 წლის წინათ დავამთავრეთ — 6 წელიწადია, არათუ ციხეებში აღარ ხოცავენ, აწამებენ და აუპატიურებენ პატიმრებს; 6 წელიწადია, არათუ აღარ ხვრეტენ ქუჩაში ასობით ახალგაზრდას; 6 წელიწადია, არათუ ტელევიზიებში „სპეცნაზი“ აღარ შევარდნილა; 6 წელიწადია, არათუ სულის ამოხდით აღარ გვემუქრებიან; 6 წელიწადია, არათუ აღარ არბევენ სასტიკად მშვიდობიან მიტინგებს, არამედ 6 წელიწადია, პოლიციას საკუთარ მოქალაქეებზე „დუბინკაც“ კი არ აუწევია...**

# თავისუფლება სულს ისე მობეზრდა, ცოცხები, ცოცხები, ცოცხები ჩქარა!

*მიხეილ კრიშინი:*

## დამიძახეთ და ჩამოვალ



**სააკაშვილიც მიხეილია, ოღონდ ნიკოლაევიჩი. ილია ილფის და ევგენი პეტროვის პანიკოვსკივით ჩვენი მიხეილიც ყველაფრის მკადრებელი ნაძირალაა და ბატი არა, მაგრამ 9 წელიწადი მოჰპარა ქართველ ხალხს; ნიკოლაევიჩიც უპასპორტო ადამიანია; მასაც სურდა, ქართველი საზოგადოების ხარჯზე ეცხოვრა და აკი ცხოვრობდა კიდეც, მაგრამ 9 წლის თავზე ქართველმა ხალხმა აღარ ისურვა ეს და...**

ზოგიერთისთვის უკვე ყბადაღებული იმ 9 წლის წარამარა ხსენების არ იყოს, ახლა 6 წლით შეგაღონე, მკითხველო (ისე, დააკვირდით, როგორ ჰგავან ფორმით ეს ციფრები ერთმანეთს: 6 გადაბრუნებული ცხრიანია და პირიქით — 9 გადმობრუნებული ექვსიანი. ეს ისე, არითმეტიკულ-ლირიკული გადახვევა, სიმბოლურობის დასანახავად).

ზემოთ ჩამოთვლილი სიკეთეები რა, ცოტაა? იმ 9-წლიანი კოშმარისას ვინმე გულთმისანს რომ ემარჩიელა, 6 წლის შემდეგ ზუსტად იმ სოციალური უსამართლობისა და ეკონომიკური სიდუხჭირის მოცემულობაში იცხოვრებთო, როგორშიც დღეს ვართ, ვინმე ჭკუათმყოფელი უარს იტყოდა ასეთ პერსპექტივაზე და 2012 წლის 1 ოქტომბერს „ქართულ ოცნებას“ არ მისცემდა ხმას? ვფიქრობ, კითხვა რიტორიკულია, მაგრამ, როგორც ჩანს, არა მათთვის (როგორც ზემოთ ვთქვით), ვისთვისაც ის 9 წელიწადი დღეს უკვე ე.წ. ყბადაღებული თემაა. სწორედ ასეთი ხალხია ნაგულისხმევი წინამდებარე წერილის სათაურში.

ვიმეორებ: ბევრი პრეტენზია აქვს ქართველ საზოგადოებას „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ **ბიძინა ივანიშვილმა ვერ შეძლო თავისი უპირველესი დაპირების შესრულება — არ აღდგა სამართლიანობა იმ კუთხით, რომ ნაცების ხელისუფლება გამოცხადებულიყო სააკაშვილი-ბოკერიას დამნაშავე რეჟიმად, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, როგორც ქართველი ერის პირსისხლიანი ჯალათისთვის, უნდა აეკრძალათ პოლიტიკური საქმიანობა და, რა თქმა უნდა, სისხლის სამართლის დამნაშავე ბოზოლა ნაცები კანონის მთელი სიმკაცრით დაესაჯათ.** ერთი შეხედვით პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამ პოლიტიკურ-სამართლებრივი მოთხოვნების შეუსრულებლობა განაპირობებს მნიშვნელოვანწილად სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს...

ბევრი რამ გაცხადდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში: „რუსთავი 2“-ით დაწყებული, ე.წ. არასამთავრობო მესამე სექტორით გაგრძელებული და ორმაგსტანდარტა ფარისეველი დასავლეთით, შვილმოკლული მამების პოლიტიკური აქციით, ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციით, ქოცების უნიათობა-ღორმუცელობით, „პატრიოტთა ალიანსის“ სახით ახალი, ქოც-ნაცების ალტერნატიული პოლიტიკური ძალის გამოჩენით დასრულებული. ბევრ რამეს დაერქვა თავისი სახელი, რომელთა შესახებ ცოტ-ცოტა საუბარი იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად არაფერი თქვა.

ამიტომ ვამჯობინე, ყველა თემაზე ცალ-ცალკე ვისაუბრო. დასაწყისისთვის ყოფილ პრეზიდენტზე გავაკეთე არჩევანი — მიშა სააკაშვილზე, რომელიც, როგორც პოლიტიკოსი, ამ დღეებში დამთავრდა. ხატოვნად თუ ვიტყვით, საქართველოს უძღებმა შვილმა პოლიტიკური კარიერა გლდანის სახურავებზე დაიწყო და კიევის „კრიშებზე“ დაასრულა.

თუ კარგად მახსოვს, ეს იყო 2002 წლის დასასრული ან 2003 წლის დასაწყისი. იუსტიციის მინისტრობიდან „ახალჩამოლაბორანტებული“, ოპოზიციაში გადაბარგებული მიშიკო, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის სავარძლის ძიებაში, რა თქმა უნდა, მასმედიის თანხლებით, პოპულისტურად დაბობღავდა, ძირითადად, გლდანის კორპუსების სახურავებზე, რომელთა გარემონტებასაც ჰპირდებოდა მობინადრეებს. რამდენიმე ასეთი პოპულისტური ბობღვის მოწმე და მონაწილე მეც (იმხანად გაზეთ „რეზონანსის“ ჟურნალისტი) გახლდით.

„ცოდვა“ გამხელილი სჯობსო და მაშინ გულწრფელად მჯეროდა საქართველოს მომავალი პრეზიდენტის. როგორც აღმოჩნდა, ყალბი ეროვნულ-პატრიოტული რიტორიკის და მეტიც, სწორედ ამ რიტორიკით მოხიბლულმა, მოკლე ხანში მიშას უახლოეს გარემოცვაში შევაღწიე. იქამდეც კი, რომ საკრებულოს წინასაარჩევნო კამპანიისას თქვენი მონა-მორჩილი ვაკეთებდი ერთჯერად გაზეთს — „თბილისი შევარდნაძის გარეშე“, რომელიც დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა და უფასოდ რიგდებოდა თბილისის მოსახლეობაში ე.წ. კარდაკარის პრინციპით, მაგრამ თურმე ჯერ სად ხარო და 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ამჯერად უკვე გაზეთ „საქართველო შევარდნაძის გარეშე“-ს რედაქტორობაც მერგო... ამ ყველაფერს სრულიად უანგაროდ, მხოლოდ იდეის გამო ვაკეთებდი და ამიტომაც ჩავსვი ზემოთ სიტყვა ცოდვა, ბრჭყალებში.

ეს რომ ასე იყო, მოწმობს ისიც, რომ სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ, სულ რაღაც რამდენიმე თვეში, რომ იტყვიან, ჩვენი გზები გაიყარა და ჩემი ყოფილი ფავორიტის რადიკალურ ოპოზიციაში აღმოვჩნდი და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ძმა სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გახლდათ.

გლდანის სახურავებსა და კიევის „კრიშებს“ შორის რაც იყო, ამაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ და თხრობას 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პერიოდიდან განვაგრძობ. მიუხედავად იმისა, რომ მიშნაცებმა საპარლამენტო არჩევნებში მარცხი იწვნიეს, მიხეილ სააკაშვილი კიდევ მთელი წლის განმავლობაში იყო შეუზღუდავი უფლებების პრეზიდენტი. ამ პერიოდში, როგორც შეძლო, მაქსიმალურად უმტრო ქვეყანას — მხოლოდ ის რად ღირს, რომ ერთდროულად რამდენიმე ათეულ ათას თურქს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

ისიც კარგად გვახსოვს, რომ აქაოდა, პირადი დაცვის შემცირება როგორ გამიბედა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაო და დემონსტრაციულად საკუთარი ელექტრომობილის საჭეს მიუჯდა და თუმცა შემცირებული, მაგრამ მაინც საპრეზიდენტო დაცვის კორტეჟით დაჰქროდა თბილისის ქუჩებში ეს მართლაც, როგორც გურიაში იტყვიან, „შიშველი გადარეული“! ამ სამარცხვინო და, ამასთანავე, სასაცილო კადრებმა მსოფლიოს მასმედია მოიარა. შემდეგ, ბოლო თეთრამდე ამოწურა რა პრეზიდენტის მრავალმილიონიანი ფონდი, საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე (ანუ ხელშეუხებლობის ვადის) ერთი დღით ადრე პრეზიდენტის თვითმფრინავით უკრაინის დედაქალაქში „მოხია“. უფრო მარტივად თუ ვიტყვით, საქართველოს მართლმსაჯულებას გაექცა და მას შემდეგ ვერაფრით შეეგუა რეალობას, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ველარასოდეს, ვერანაირი ფორმით ველარ დაბრუნდება.

თუმცა მისი გრძნობა-ფიქრების გაგება ადამიანურად შეიძლება — ეს ფსიქიკურად შეურაცხადი კაცი 9 წლის განმავლობაში საქართველოს, პრეზიდენტი კი არა, პრაქტიკულად ხელმწიფე იყო, თანაც ისეთი შეუზღუდავი უფლებებით, როგორიც დავით აღმაშენებელსაც კი არ დაესიზმრებოდა. **სააკაშვილმა მხოლოდ უფლებებითა და მოვალეობების გარეშე იმეფა 9 წლის განმავლობაში, არ დაუკლია არავითარი მიწიერი სიამენი, ჰარამხანით დაწყებული და ქეიფ-ნარკოტიკებით დამთავრებული. ბათუმიც კი, რომლის აშენებასაც არცთუ უსაფუძვლოდ იჩემებს, აჭარის ეს ქათქათა მარგალიტი, პირველ რიგში, საკუთარი სიამოვნებისთვის აიშენა (ოღონდ თურქული ფულით). ხატოვნად თუ ვიტყვით, სააკაშვილისთვის ბათუმი ბრჭყვიალა ბიჟუტერია იყო და, ალბათ, დღემდე ესიზმრება ბათუმში ჩატარებული ორგიები.** თუნდაც მხოლოდ ბათუმის გამო იქნება ქართველ ხალხზე ისეთი გაბრაზებული, რომ შეეძლოს, კბილებით დაგვგლეჯდა უმადურ ქართველებს. უმადურს, რადგან ჩვენ ვერ გავიგეთ, ვერ დავაფასეთ პრეზიდენტყოფილის დიადი გენია. ჩავლილი საპრეზიდენტო არჩევნები ბოლო შანსი იყო სააკაშვილისთვის, ეგებ საქართველოში დაბრუნებულიყო და თანაც ხელისუფლებაში, მაგრამ... მეფობა კი უნდა, მაგრამ გარისკვა, თავის ხიფათში ჩაგდება — არა. დათა თუთაშხიასი და ბენია მეწისქვილის დიალოგის პერიფრაზით თუ ვიტყვით, **ხიფათის სიყვარული არც უნდა ჰქონდეს მიწაზე ცხვირით მხოხავ და ჰალსტუხის მღოღნელი ჯიშის კაცს და ამიტომ, როგორც იტყვიან, სხვისი ხელით ნარის გლეჯას ცდილობს. ამას წინათ ნაცების „გრანდიოზულ“ შეკრებაზე ფილარმონიაში მთელი დარბაზი სკანდირებდა „ჩა-მო-დი!“, რაზედაც ამ კურდღელმა პრაქტიკულად უპასუხა, რომ თქვენ მიდით, არ დაემორჩილოთ ხელისუფლებას და მე ჰოლანდიიდან ამოგიდგებით მხარშიო...**

რაც დრო გადის, მით უფრო **აშკარაა, რომ ნაციონალები ნელ-ნელა ემიჯნებიან თავიანთ ბელადს, რადგან ამ შეურაცხადის ერთმანეთის გამომრიცხავი განცხადებები არა მხოლოდ შინაური მოხმარებისთვის არის სახიფათო, არამედ მათზე მიშნაცების დღემდე ერთგულ ევროსაბჭოშიც უხერხულად იშმუშნებიან...**

უკრაინაში თანამდებობის გამო მიშიკომ უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე და უკრაინის მოქალაქეობა მიიღო. თავდაპირველად თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ოდესის ოლქის გუბერნატორადაც დანიშნეს, მაგრამ უეცრად, ბევრისთვის მოულოდნელად, სააკაშვილის „რამსები“ აირია. სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვის **პეტრე პოროშენკომ** ჯერ უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვა, შემდეგ მის დაპატიმრებასაც შეეცადა. ამით სასოწარკვეთილმა მიშიკომ პოლიტიკური კარიერის დასაწყისი გაიხსენა და ახლა კიევის „კრიშაზე“ ახტა, საიდანაც სწრაფად ჩამოხსნეს ქართველი კარლსონი, ბანდეროლივით გაახვიეს და პოლონეთში ამანათივით მოისროლეს. ახლაა და ცოლის სამშობლო ნიდერლანდებიდან თავს გვაცოდებს, ველოსიპედით დადის, აქაოდა, ფული არ მაქვსო.

საქართველოს პრეზიდენტყოფილი სააკაშვილი **ილია ილფისა** და **ევგენი პეტროვის** ნაწარმოების — „ოქროს კერპის“ პერსონაჟ **მიხეილ სამუელოვიჩ პანიკოვსკის** მაგონებს, ბატის ქურდსა და ყველაფრის მკადრებელს, რომლის საფლავზე აწერია, „ადამიანი უპასპორტოდ, რომელსაც უნდოდა, რომ საზოგადოების ხარჯზე ეცხოვრა, მაგრამ საზოგადოებას ეს არ სურდა“. და ამიტომ პანიკოვსკი მოკვდა.

სააკაშვილიც მიხეილია, ოღონდ ნიკოლაევიჩი. ილფისა და ევგენი პეტროვის პანიკოვსკივით ჩვენი მიხეილიც ყველაფრის მკადრებელი ნაძირალაა და ბატი არა, მაგრამ 9 წელიწადი მოჰპარა ქართველ ხალხს; ნიკოლაევიჩიც უპასპორტო ადამიანია; მასაც სურდა, ქართველი საზოგადოების ხარჯზე ეცხოვრა და აკი ცხოვრობდა კიდეც, მაგრამ 9 წლის თავზე ქართველმა ხალხმა აღარ ისურვა ეს და...

ერადერთი განსხვავება ილფისა და პეტროვის პანიკოვსკისა და ჩვენს პანიკოვსკის შორის არის ის, რომ მიხეილ ნიკოლაევიჩი ჯერ კიდევ ცოცხალია და ღმერთმა 100 წელი აცოცხლოს, ოღონდ საქართველოს მეფობაზე აღარ იოცნებოს. ვინ იცის, დიდსულოვანმა ქართველმა ერმა იქნებ შეუნდოს კიდეც და მას შემდეგ, რაც მატროსოვის ქუჩაზე დამსახურებულ სასჯელს მოიხდის, საქართველოში ცხოვრების უფლება მისცენ.

**დავით მხეიძე**

ინტერვიუ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლებას ხელს აძლევდა „მგელი, მგელის“ ძახილი იმისთვის, რომ ლატენტური „ანტიმიშა“ გაეღვიძებინა. ივანიშვილს სურდა, ცუდსა და უარესს შორის ხმა მის სასარგებლოდ მიეცათ; თავისი გამოსვლებით ელექტორატი აიძულა, მისკენ წასულიყო. ივანიშვილმა იცოდა, რომ ამომრჩეველი მასზე გაბრაზებული იყო და არმაგედონის შექმნით თავისკენ მიიზიდა, ადამიანებს ანტიარჩევანი გააკეთებინეს და ეს არჩევანი გაკეთდა არა ვინმეს სასარგებლოდ, არამედ ერთის წინააღმდეგ“.**

გია ხუხაშვილი:

# ქალბატონს შეუძინეს, შეუსყიდეს თანამდებობა და აჩუქეს. მართალია, 8 მარტი არ იყო, მაგრამ საჩუქარს ქალს ყოველთვის ჩუქნიან ხოლმე...



**„ომი დასრულდა, მშვიდობის გეშონოდეთ, ხალხო!“ — ბერტოლტ ბრეხტის ეს სიტყვები, ალბათ, ბევრ ქართველს ამოუტივტივდა თავში, როდესაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დასრულების შემდეგ ქუჩის აქციებზე გამოსვლისკენ მოუწოდა ხალხს, მაგრამ ხელისუფლებამ აღკვეთა ყოველგვარი პროვოკაცია, თუკი რამ იყო შესაძლებელი და ეს არჩევნებიდან რამდენიმე დღეში მოხდა... „თბილისში, ლიხაურის ქუჩაზე დაკავებულია უკრაინის 6 და საქართველოს 1 მოქალაქე სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით, რომელიც ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერების ან მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს“, — გვამცნო შსს-მ ნაციონალების მიერ 2 დეკემბერს დაგეგმილი აქციის წინ... რა იგეგმებოდა, რა ფორმით აპირებდნენ რევანშს ნაციონალები? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში — გია ხუხაშვილი.**

## შეთქმულების თეორია თუ „მგელი მოდის, მგელი...“

— შეთქმულების თეორიების არ მჯერა და არც განვიხილავ, რადგან, რაც მოხდა, „ქართული ოცნების“ სიბრიყვეზე უფრო მეტყველებს, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის“ სუპერინტელექტუალურ გეგმებზე. მთავარი მიზეზი ამ ყველაფერისა, მთავარი შეცდომა და თანაც ფატალური, იყო ის, რომ „ქართულ ოცნებას“ გაუჩნდა ილუზია — გადმოიბარებდა „ნაციონალური მოძრაობის“ სისტემას და მართავდა ე.წ. კოლექტიური მურუსიძეების სახით, თუმცა სისტემამ მუშაობა ისევ ძველებურად განაგრძო — რასაც აკეთებდნენ იმ დროს, იმას აკეთებენ ახლაც. შესაბამისად, დროთა განმავლობაში „ქართულმა ოცნებამ“ დაკარგა მორალური უპირატესობა „ნაციონალურ მოძრაობაზე“, რესურსი შემოეხარჯა. ამომრჩევლის გარკვეულმა ნაწილმა ამ პროცესს შეხედა ასე – **ორივე ყველაფერზე წამსვლელია და, თუ მაინცდამაინც ცუდი უნდა ავირჩიო, ეფექტიანს ავირჩევ, რადგან, ყველა უბედურებასთან ერთად, არსებულ ხელისუფლებას ეფექტიანობაც არ აქვს. შედეგი, რომელიც მივიღეთ, კანონზომიერი იყო და ვერ დავაბრალებთ იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იატაკქვეშეთში გეგმავდა რაღაცას.** „ქართულმა ოცნებამ“ მათ, ფაქტობრივად, აჩუქა ელექტორატი, გაუსამმაგა ალტერნატივის არარსებობის გამო. ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური ელიტა, სავალალო მდგომარეობაა.

**— გამოდის, თქვენ არ ფიქრობთ, რომ ნაციონალებს რევანში სურდათ და ხელისუფლების ჩანაცვლების გეგმა არ ჰქონდათ?**

— რევანში როგორ არ სურდათ, რევანში მათ სურთ და ეს სურვილი ყოველთვის ექნებათ. ნაციონალები ცდილობენ, ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, რაც გასაკვირი არ არის. თუ რევანშის რევოლუციურ ფორმაზე საუბრობთ, დრამატულ სცენარზე, მე ამ საკითხს სკეპტიკურად ვუყურებ, რადგან **ნაციონალები ისეთი ბრიყვები არ არიან, ვერ ფიქრობენ, რომ ქვეყანაში რევოლუციური სიტუაცია არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ არანაირი რესურსი არ აქვთ იმისა, რომ რევოლუციური გადატრიალება მოაწყონ.**

**— სააკაშვილს სურს რევოლუცია, ის ახლაც იმუქრება, რომ ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია არ გაიმართება...**

— როტორიკა არის ექსტრემისტული, ეს აშკარაა. ისინი თამაშობენ ორ ხელში და ეს ერთგვარი პოლიტტექნოლოგიაა. საქმე ის არის, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ სეგმენტი ორ ნაწილად იყოფა: რადიკალურ ფრთად, რომელსაც დღესვე უნდა შედეგი და მისთვის ბრძოლის ნებისმიერი ფორმა მისაღებია. არიან ისეთები, რომლებსაც, მიუხედავად ყველაფრისა, სურთ კონსტიტუციის ფარგლებში დარჩენა. იმისთვის, რომ ყველაზე აქტიური ნაწილი არ დაიკარგოს, ასე ვთქვათ, ნაციონალების გული. ვიღაცამ ყოველთვის უნდა დააანონსოს რევოლუცია და ამას აკეთებს სააკაშვილი, რითაც ელექტორატს ინარჩუნებს.

**— ნაციონალებს შეუძლიათ, შეცვალონ არსებული ხელისუფლება?**

— თუ „ქართულმა ოცნებამ“ ასე განაგრძო, როგორც დღემდე იქცეოდა, სამწუხაროდ, შეიძლება, ჩვენ ამ რეალობის წინაშე დავდგეთ, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნება ამ საზოგადოებაში, რბილად რომ ვთქვათ, არაპოპულარულია. მაგრამ, თუკი სხვა ალტერნატივა არ გამოჩნდა და „ქართული ოცნება“ ამ უბედურებაში დარჩება, მაშინ ამ სცენარსაც ვერ გამოვრიცხავთ.

**— ბიძინა ივანიშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურამდე ისაუბრა იმ გეგმაზე, რომელიც ნაციონალებს ჰქონდათ. მან თქვა, რომ სარალიძე არ ადგებოდა რუსთაველის გამზირიდან და ადგილს შეუნახავდა ნაციონალებს არჩევნების შემდეგ არეულობის მოსაწყობად...**

— ფაქტია, რომ არაფერი მომხდარა. ქუჩაში გამოვიდნენ... ქუჩაში მანამდე „პატრიოტთა ალიანსიც“ გამოვიდა და ეს პრობლემა არ არის. ივანიშვილის ეს განცხადებაც და სხვებიც ტვინის გამორეცხვის ტექნოლოგიაა, **ივანიშვილმაც და „ქართულმა ოცნებამაც“ მშვენივრად იციან, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ არანაირი რესურსი არ აქვს არეულობის მოსაწყობად. ხელისუფლებას ხელს აძლევდა „მგელი, მგელის“ ძახილი იმისთვის, რომ ლატენტური „ანტიმიშა“ გაეღვიძებინა.** ივანიშვილს სურდა, ცუდსა და უარესს შორის ხმა მის სასარგებლოდ მიეცათ, თავისი გამოსვლებით ელექტორატი აიძულა, მისკენ წასულიყო. **ივანიშვილმა იცოდა, რომ ამომრჩეველი მასზე გაბრაზებულია და არმაგედონის შექმნით თავისკენ მაინც მიიზიდა, ადამიანებს ანტიარჩევანი გააკეთებინეს და ეს არჩევანი გაკეთდა არა ვინმეს სასარგებლოდ, არამედ ერთის წინააღმდეგ.** ასეთი ნეგატიური არჩევნებით ქვეყანა არ შენდება. ერთი მხრივ, თითქოს კარგია ეს, რადგან ნაციონალების გამარჯვება დაუშვებელია, მაგრამ მანიპულირება ადამიანებით, შენი თანამემამულეებით, არ არის კარგი საქმე.

**— „მგელი, მგელის“ ძახილში მართლაც რომ დაბრუნდეს „ნაციონალური მოძრაობა“?**

— თუკი „ქართული ოცნება“ არაფერს გააკეთებს და მხოლოდ „მგელი, მგელის“ ძახილის იმედზე იქნება, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ცნობილი იგავი...

## «ქართული ოცნება» არის ხელისუფლებასთან შეზრდილი, პარაზიტი ადამიანების ჯგუფი. მათ არ აქვთ იდეოლოგია, არ აქვთ მმართველობის სისტემა, არ გააჩნიათ არაფერი. მათ წრეში ზოგი ალთას არის, ზოგი — ბალთას, ზოგი ლიბერალია, ზოგი — კონსერვატორი, ასეთი რამ პარტიაში არ ხდება. შესაბამისად, «ქართულ ოცნებას» არ ჰქვია პარტია»

## რა ცვლილებები უნდა განახორციელოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ?

**საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის წინ ყოფილმა პრემიერმა, შემდეგში მოქალაქემ და ახლა, როგორც თვითონ განაცხადა, ჩვენსავით ღარიბმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ერთ წელიწადში ყველაფერი კარგად იქნება...**

**პირველი იმედგაცრუება მოსახლეობას, სავარაუდოდ, 3 დეკემბერს გაუჩნდა, როცა გაარკვიეს, რომ, ფინანსთა მინისტრის დაპირების მიუხედავად, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, ვის შეეხება ვალების ჩამოწერა. ივანე მაჭავარიანი 19 ნოემბერს დაჰპირდა ხალხს, რომ არაუგვიანეს 3 დეკემბრისა მზად იქნებოდა ვებგვერდი, სადაც „შავ სიაში“ შესული პირები ნახავდნენ, შეეხო თუ არა მათ დავალიანების ჩამოწერა. როგორც აღმოჩნდა, ამ ეტაპზე საკრედიტო ორგანიზაციები ფონდ „ქართუს“ მოვალეთა სიებს აწვდიან, რაც ფინანსისტებს ბევრ კითხვას უჩენს.**

**ექსპერტი ირაკლი ბერძენაძე ამბობს: „ეს იყო ნაჩქარევი გადაწყვეტილება, არ ჩამოყალიბებულა ის ფუნდამენტური საკითხები, რომელთა მიხედვითაც უნდა წარმართულიყო ვალების ჩამოწერა. შესაბამისად, ბევრი შეკითხვა ჩნდება, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს ხელისუფლების მიერ თავდაპირველად გახმიანებულ მიზნებს. მაგალითად, ვინ უნდა მიაწოდოს ფონდს იმ პირთა სია, რომლებსაც შემდეგ ხელისუფლება ვალებს ჩამოაწერს? თვით საკრედიტო ორგანიზაციებმა თუ „კრედიტინფომ“? თუ ხელისუფლება „კრედიტინფოს“ მონაცემებზე დაყრდნობით ამბობდა, რომ 600 000 კაცს აქვს გადაუხდელი ვალი, რომლის ძირი თანხა არ აღემატება 2.000 ლარს, რის გამოც ისინი „შავ სიაში“ მოხვდნენ, მაშინ რატომ გაჭიანურდა სიების მიწოდება და რატომ ითხოვენ ამ მონაცემებს ფინანსური ინსტიტუტებიდან?** ▶

ეკონომიკა

## საქართველოს მოქალაქეებზე, შესაძლოა, ყოველთვიურად 1 000 ერთეული საინვესტიციო ფული გაიცეს



**საქართველოს მოქალაქეებზე, შესაძლოა, ყოველთვიურად 1 000 ერთეული სპეციალური საინვესტიციო ფული „ინვესტი“ გაიცეს. ეს ინიციატივა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. საუბარია, 767 პირის მიერ წარდგენილ პეტიციაზე „საქართველოს ყოველი მოქალაქე ქვეყნის რეალურ მესაკუთრედ ვაქციოთ“.**

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულიას თქმით, წარმოდგენილი თემა საინტერესოა და კომიტეტის გადაწყვეტილებით ის ეკონომიკის სამინისტროს გადაეგზავნება. კომიტეტი აღნიშნულ თემაზე მუშაობას სწორედ სამინისტროდან შემოსული მოსაზრებების გათვალისწინებით განაგრძობს.

შევეცდებით, ამ საკითხზე სპეციალისტების მოსაზრებები შემდეგ ნომერში შემოგთავაზოთ.

# „არ მგონია, „ქართულ ოცნებას“ სტრატეგიული აზროვნების უნარი ჰქონდეს შემორჩენილი, ისინი დღის გადაგორებაზე არიან გადასულები. მეეჭვება, რომ ჭკუა ისწავლონ, რადგან, როგორც კი არჩევნები მოიგეს, ისევ „ყიراოبა“ დაიწყეს, რეალობას თვალს არ უსწორებენ. ეს მათი დიაგნოზია, რომელიც უკურნებელ სენში გადავიდა“.

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**— ბატონო გია, ვისაუბროთ იმაზე, რა უნდა გააკეთოს „ქართულმა ოცნებამ“ სასწრაფოდ.**

— ეს ძალიან დიდი თემაა. მთავარია, რომ სისტემური ცვლილებები ჩაატაროს. ის არ უნდა ეხმალაოს „ნაციონალურ მოძრაობას“, კონკრეტული ადამიანების პრობლემები უნდა გადაწყვიტოს. პოზიტიური დღის წესრიგი შეიმუშავოს, გადაწყვიტოს ეკონომიკური და სოციალური პრობლემები; შეეცადოს, რომ ხალხი ისტერიკამდე არ მიიყვანოს.

ხელისუფლებას პოზიტიური არაფერი აქვს, გარდა წინასაარჩევნო დაპირებებისა. სასაცილოა მათი ინიციატივა ე.წ. შავი სიების გაუქმების შესახებ. „შავ სიებში“ რა ხალხი იყო? ჩვენ თუ სიებს ვნახავთ და კარგად მოვიკვლევთ, აღმოვაჩენთ, რომ **„შავი სიების“ ამ ფორმით გაუქმება კარგი არ არის. შესაძლოა, ამ სიებში იყვნენ უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები, მაგრამ, თუკი ე.წ. შავი სიების ბენეფიციარებს სეგმენტებად დავყოფთ, დავინახავთ, რომ აღნიშნული ინიციატივა ჯანსაღი არ იყო, რადგან ამ სიებში ბევრი ნარკომანი, მოთამაშე და ა.შ. ადამიანი იყო,** ადამიანები, რომლებიც ვალს იღებენ არა პოზიტიური საქმისთვის, არამედ მანკიერი მისწრაფებებისთვის და ამ ვალის გადახდა, მაპატიეთ და, ფეხებზე ჰკიდიათ, არ ადარდებთ შედეგები. ასეთი ადამიანების ვალების გადახდა, არ მგონია, სახელმწიფოს საქმე იყოს.

**— ივანიშვილმა თქვა, რომ ერთ წელიწადში ვითარებას გამოასწორებს...**

**— ბიძინა ივანიშვილის სიტყვას ფასი დაეკარგა, რადგან ყველას გვახსოვს 2012 წლის წინასაარჩევნო დაპირებები. მას ამ ხნის განმავლობაში ისეთი არაფერი შეუქმნია, რომ მის სიტყვას ფასი დასდებოდა და დავუჯეროთ.**

**— მაგრამ ბევრი თვლის, რომ ხელისუფლებამ ძალიან სერიოზული გაკვეთილი მიიღო ამომრჩევლისგან...**

**— არ მგონია, „ქართულ ოცნებას“ სტრატეგიული აზროვნების უნარი ჰქონდეს შემორჩენილი, ისინი დღის გადაგორებაზე არიან გადასულები. მეეჭვება, რომ ჭკუა ისწავლონ, რადგან, როგორც კი არჩევნები მოიგეს, ისევ „ყიراობა“ დაიწყეს. რეალობას თვალს არ უსწორებენ. ეს მათი დიაგნოზია, რომელიც უკურნებელ სენში გადავიდა...**

ისე, „ქართული ოცნება“ რაიმეს გაკეთებას თუ მოახერხებს, მოხარული ვიქნები.

**— 2020 წლის არჩევნები აქვთ მოსაგები...**

— ამაზე ისინი დღეს არ ფიქრობენ, დღეს მათთვის მთავარია ის, რომ ეს არჩევნები მოიგეს. „ქართული ოცნება“ ფიქრობს, რომ 2020 წლისთვის ბიძინა ისევ ჩაატარებს ფოკუსებს და რაღაცას „გაახერხებს“.

**— ასეთ ვითარებაში ექნება შანსი „ქართულ ოცნებას“, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები მოიგოს?**

**— თუ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ცენტრები არ შეიქმნება, თუ „ქართული ოცნება“ მასობრივად არ დაიწყებს სისტემურ ცვლილებებს, არ გაატარებს რეფორმებს მმართველობითი სისტემის გაჯანსაღების კუთხით, ასევე, არ გადაახალისებს პროფესიონალურ მხარეს, არაფერი არ გამოუვა.** მოკლედ, თუ თავიდან ბოლომდე არ შეცვლის ყველას და ყველაფერს, „ნაციონალური მოძრაობის“ შანსი გაიზრდება. ერთი-ორი მინისტრის მოხსნა „ქართულ ოცნებას“ ვერ უშველის.



**«თუ ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ცენტრები არ შეიქმნება, თუ «ქართული ოცნება» მასობრივად არ დაიწყებს სისტემურ ცვლილებებს, არ გაატარებს რეფორმებს მმართველობითი სისტემის გაჯანსაღების კუთხით, ასევე, არ გადაახალისებს პროფესიონალურ მხარეს, არაფერი არ გამოუვა. მოკლედ, თუ თავიდან ბოლომდე არ შეცვლის ყველას და ყველაფერს, მაშინ «ნაციონალური მოძრაობის» შანსი გაიზრდება. ერთი-ორი მინისტრის მოხსნა «ქართულ ოცნებას» ვერ უშველის, სისტემურად უნდა შეცვალოს ყველაფერი»**

## გამოჩნდება თუ არა ახალი პოლიტიკური ძალა?

— ახალ, მესამე ძალაზე უკვე საუბრობს ქართველი საზოგადოება. გამოჩნდნენ ადამიანები და ჯგუფები, რომლებსაც გაუჩნდათ ამბიცია, რომ შეძლებენ არსებული პოლიტიკური ძალების ჩანაცვლებას...

**— ორივე ძალა, რომლებიც დღეს ქართულ პოლიტიკაში დომინირებენ, პოლიტიკური ასპარეზიდან გასაყვანია. „ნაციონალური მოძრაობა“ რატომ არის გასაყვანი, ყველამ იცის, მაგრამ გასაყვანია „ქართული ოცნებაც“, რადგან დღეს მასაც არ აქვს კარგი რეპუტაცია. ის არ არის პოლიტიკური პარტია და ნიშანწყალიც არ არსებობს იმისა, რომ ოდესმე პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდეს.**

**„ქართული ოცნება“ არის ხელისუფლებასთან შეზრდილი, პარაზიტი ადამიანების ჯგუფი. მათ არ აქვთ იდეოლოგია, არ აქვთ მმართველობის სისტემა, არ გააჩნიათ არაფერი.** მათ წრეში ზოგი ალთას არის, ზოგი — ბალთას, ზოგი ლიბერალია, ზოგი — კონსერვატორი, ასეთი რამ პარტიაში არ ხდება. შესაბამისად, „ქართულ ოცნებას“ არ ჰქვია პარტია. აქედან გამომდინარე, ორივე პარტია გასაყვანია პოლიტიკური არეალიდან.

არსებობს „პატრიოტთა ალიანსი“, რომელმაც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა საპრეზიდენტო არჩევნების ბედი. „ქართულ ოცნებას“ ეს არჩევნები არ მოუგია, ის „პატრიოტთა ალიანსმა“ მოიგო. ეს იყო რეალობა.

შესაქმნელია სხვა პოლიტიკური ჯგუფებიც, რადგან „პატრიოტთა ალიანსი“ მუშაობს კონსერვატორულ სეგმენტზე. აუცილებელია სხვა ამომრჩევლის აზრის გათვალისწინებაც, ძალიან ბევრია სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანიც.

ყველას წარმატებას ვუსურვებ, ვინც გადაწყვიტა ახალ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ამ სიახლის გამოცდილება არ აქვს. რაც მოვისმინე, სერიოზულად ვერც ერთი ვერ აღვიქვი. ესეც ჩვენი, ქართველების, ავადმყოფობაა — რაღაც ახალზე რომაა მოთხოვნა, მაშინვე უსაშველოდ ბევრი შეთავაზება ჩნდება, მაგრამ იქიდან, ერთიც კი არაფრად არ ღირს.

იმედი მაქვს, ორ-სამ თვეში ეს „სიახლის ბუმი“ ჩაქრება და სერიოზული ძალა გამოჩნდება.

**— საზოგადოებაში არიან სკეპტიკოსები, რომლებიც თვლიან, რომ, თუკი ახალი ძალა გამოჩნდება, ყველა ვარიანტში ბიძინა ივანიშვილის სატელიტი იქნება. ასე ამბობენ „პატრიოტთა ალიანსზეც“...**

— სკეპტიციზმი გასაგებია და ამის საფუძველი არსებობს, მაგრამ ქვეყანაში არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია გამოჩნდეს პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილის ფულისა და მისი მხარდაჭერის გარეშეც.

**— ვინ არის ეს ძალა?**

— ამაზე საუბარი ნაადრევია. ეს საქართველოა, ისე არ გადავგვარდებით, რომ საღად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი არ გამოჩნდეს.

## როგორი პრეზიდენტი იქნება სალომე ზურაბიშვილი?

**საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის, ინაუგურაცია, სავარაუდოდ, თბილისში არ გაიმართება. ინაუგურაციის ჩატარების ადგილად რამდენიმე ქალაქი განიხილება, თუმცა კონკრეტულად რომელი, ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მიუხედავად „ნაციონალური მოძრაობის“ მუქარისა, იმედია, 16 დეკემბრის ცერემონია მაინც შედგება.**

**— როგორი პრეზიდენტი იქნება სალომე ზურაბიშვილი? ჩვენ მისი არ გვესმოდა, რადგან, როგორც ჩანს, ქართულად საუბარი და აზროვნება კარგად არ გამოსდის. სამაგიეროდ, არაჩვეულებრივად ისაუბრა ინგლისურ ენაზე უცხოურ მედიასთან და, როგორც იქნა, შევიტყვეთ, რაც სურს...**

— პრეზიდენტის ინსტიტუტი სახელისუფლო გადანაწილებაში არ მონაწილეობს, მაქსიმალურად დაკნინებულია. შესაბამისად, სალომე ზურაბიშვილს ბევრის გაკეთება არ შეუძლია, არც გაფუჭება. ეს მოცემულობა ამ შემთხვევაში მისაღებია. ეს ქალბატონი იქნება რეალური შოუ ჩვენი ქვეყნისთვის, მისი პირადი ამბიციები (და არ მხოლოდ მისი) დაკმაყოფილდება პრეზიდენტის სასახლეში, თანაც ამ ყველაფერში ასმაგი ფასია გადახდილი. მოკლედ, ყველა თავის ჭიას გაახარებს.

**— შესაძლოა, ქალბატონი სალომე აღმოჩნდეს ძლიერი პიროვნება და ეს დაკნინებული პრეზიდენტის სავარძელიც გააძლიეროს...**

— თუ თქვენ იმას გულისხმობთ ძლიერებაში, რომ ხელისუფლებასთან კამათს დაიწყებს, მაშინ ეს შესაძლებელია, მაგრამ ამით მხოლოდ „გასართობი“ მოგვემატება და მეტი არაფერი. ზურაბიშვილს მართლაც დამოუკიდებლად რომ ეყარა კენჭი, ხუთეულშიც ვერ გავიდოდა. ქალბატონს შეუძინეს თანამდებობა და აჩუქეს. მართალია, 8 მარტი არ იყო, მაგრამ საჩუქარს ქალს ყოველთვის ჩუქნიან ხოლმე...

ისე, სალომე ზურაბიშვილი არ იყო ყველაზე ცუდი ვარიანტი.

**— ფრანგები მას მოიხსენიებენ, როგორც ფრანგს, რომელიც უცხო ქვეყნის პრეზიდენტი გახდა. თქვენ როგორ ფიქრობთ: ის ქართველია თუ ფრანგი?**

— ფრანგებს გაუხარდებოდათ, რა თქმა უნდა... მათი მოქალაქე მართლაც გახდა უცხო ქვეყნის პრეზიდენტი. ის ინტეგრირებული და ასიმილირებული იყო საფრანგეთთან და გახდა საქართველოს პრეზიდენტი. ფრანგების მხრიდან ეს განცხადება ფაქტის კონსტანტაციაა.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ის ფრანგია თუ ქართველი, გეტყვით — ის ქართველიც არის და ფრანგიც. არ დავაკნინებ მას მისი ოპონენტებივით. ქართულის საკმარისად არცოდნას დანაშაულად ვერ ჩავუთვლი. ზურაბიშვილმა ის მაინც შეძლო, რომ უცხოეთში გაზრდილ თავის შვილებს ქართული ასწავლა. როგორ გაზარდა და რა ტიპები არიან, ეს ცალკე ტრაგიკომედიაა, მაგრამ, თავის ქართულ ფესვებს რომ ეს ქალი პატივს სცემდა, ფაქტია. სხვა საკითხია მისი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, მოქალაქისა და დიპლომატის, შესაძლებლობები. სხვა საკითხია მისი ერთი შვილის ცალკეული აქტივობები, მაგრამ, ქართული ფესვი სალომე ზურაბიშვილში რომ ცოცხლობდა, ფაქტია.

**— მისი შვილის, ალბათ, ვაჟის აქტივობას გულისხმობთ. რა გეეჭვებათ?**

— მისი ვაჟის აქტიურობა ჰგავდა ოჯახური ბიზნესისადმი მიდგომას, საარჩევნო კამპანია ოჯახურ ბიზნესად აქციეს და ბევრი უმწიფარი, მოუზომავი განცხადება მოვისმინეთ.

„ნაციონალური მოძრაობა“ მოწოდებულია, რომ თავის ამომრჩეველს, ასე ვთქვათ, მუდმივი „დრაივი“ აჩვენოს, იდგეს მოწოდების სიმაღლეზე. აქედან გამომდინარე, შეეცდებიან, ცეცხლი შეუნთონ პოლიტიკურ ტაფას. ეს ნაციონალების სწორი ტექნოლოგიაა, მაგრამ აპოკალიფსურს ვერაფერს მოიფიქრებენ. „ქართული ოცნება“ კი თამარ მეფის საფლავივით ნუ დაიწყებს პრეზიდენტის ინაუგურაციის ადგილის ძებნას. ნუ ეშინია ნაციონალების, თავისი რესურსით ქვეყანას და მათ მმართველობას ნაცები პრობლემას ვერ შეუქმნიან.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ახალი

## სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაციის ადგილად თელავი განიხილება

**საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვებული სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია, სავარაუდოდ, თელავში, ერეკლე მეორის სასახლეში გაიმართება.**

3 დეკემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სალომე ზურაბიშვილის ინაუგურაცია თბილისში არ გაიმართება და ინაუგურაციის ადგილად რამდენიმე ქალაქი განიხილება.

საქართველოს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია 16 დეკემბერსაა დანიშნული, ამავე დღეს „ნაციონალური მოძრაობა“ საპროტესტო აქციის გამართვას აპირებს.



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინურმა კოსმოსურმა ძალამ დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულში შეაღწია. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და წარმატებული აღმშენებლობის ოცნება ხელშესახები და აშკარა დასანახი გახდა. სტალინური ნდობის ფაქტორი ყველა ადამიანის ორგანიზმში ძალისა და ძლიერების სიმპტომად შეიჭრა. საკოლმეურნეო მინდვრებზე გუგუნებდა ათასობით სასოფლო-სამეურნეო მძიმე ტექნიკა, საველე კალოები თუ ელევატორები ივსებოდა ოქროს თავთავიდან გამოლეწილი მაღალი კლასის მარცვლით, მზეს შეჰყურებდა მილიონობით ჰექტარ მიწებზე დათესილი გიგანტური მზესუმზირები, რომლებიდანაც უმაღლესი ხარისხის ზეთი იხდებოდა და მარაგდებოდა ქალაქები თუ სოფლები.**

# სტალინი — შტრიხები პორტრეტისთვის

**გაზეთის წინა ნომერში, ჩემს მასალაში მოყვანილი იყო შემდეგი ფრაზა: „თქვენ ნამდვილად ვერ გრძნობთ იმ კეთილისმყოფელ კვალს, რომელიც მან დაამჩნია კაცობრიობას, ვერ გრძნობთ მის რეალურ პიროვნულ სიდიადეს, როლსა და ადგილს მსოფლიო ისტორიაში“.**

როდესაც ამ სიტყვებს ვწერდი, მინდოდა, იქვე მიმეწერა **თომას მანის** გახმაურებული ფრაზა: „ყველა საფლავის ქვის ქვეშ წევს კაცობრიობის ისტორია“. როდესაც ეს სიტყვები **მაქსიმ გორკიმ** წაიკითხა, თქვა: „ვულგარული შედარებაა, მაგრამ ადამიანმა დაიმსახურა ის“. როდესაც ვამბობ, რომ ვერ გრძნობთ სტალინის სიდიადეს, ამით მკითხველს თითქოს შეურაცხვყოფ: „იქნებ ისინი უკეთესად აცნობიერებენ სტალინის სიდიადეს? ღმერთს ვთხოვ, ეს ასეც იყოს, მაგრამ, **როგორც ღმერთია შეუცნობელი, ასეთივე შეუცნობელია თვით ცხოვრება და შემოქმედება ზეკაცი სტალინისა, რომელიც განგებამ ადამიანისთვის შექმნა, შექმნა საზოგადოებისთვის, ოჯახისთვის, ბიბლიისა და სახარების, დედამიწაზე ხალხთა ბედნიერებისა და თანასწორობის განსახორციელებლად.** მაგრამ, როგორი შეუსაბამოა ყველაფერი, როდესაც **მაცხოვარი მრევლმა ჯვარს აცვა, ქრისტეს მოძღვრების დედამიწაზე აღმასრულებელიც ხომ უახლოესმა ადამიანებმა მოკლეს. ნუთუ ბუნება თავადვე ეწინააღმდეგება მის მიერ შექმნილ პროდუქტს, როდესაც სიმართლის მთქმელისთვის ცხენი ყოველთვის გამზადებული ჰყავს?! ამ ქვეყნიდან ყველა ჯოჯოხეთისკენ მიემართება, მაგრამ არავინ იცის, იქ რომელ კატეგორიაში ხვდება.**

მკითხველმა არ იფიქროს, რომ ლევან ბერძენიშვილი გაუნათლებელი, უწიგნური და უინტელექტო ადამიანი მგონია, მაგრამ მისი პოსტულატე — „წიგნების კითხვა ადამიანს განათლებულს არ ხდის“, მაფიქრებინებს, რომ ბერძენიშვილს დონ კიხოტის სინდრომი სჭირს.

**მე რამდენჯერმე მკვეთრად უარყოფითად შევაფასე ლევან ბერძენიშვილის მავნებლური, ცილისმწამებლური, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიადამიანური გამოხდომები, უზნეობისა და აბსოლუტური სიცრუის პროპაგანდა, მაგრამ მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ის კვლავ განაგრძობს ტელეაუდიტორიის თუ ახალგაზრდა თაობის არასწორ აღზრდას.** ნუთუ სახელმწიფოსგან, მიუხედავად იმისა, რომ ცენზურა არ არის, ყურადღება არ უნდა ექცეოდეს და უცხოეთის დაზვერვის აგენტი ასე უაპელაციოდ უნდა პარპაშობდეს — ახალგაზრდებს ტვინს ურეცხავდეს და ცდილობდეს მათ გადაქცევას არაადამიანებად?!

**„ბავშვებო, ამას ზერელე ფრაზებად ნუ ჩამითვლით, — მოძღვრავს ლევან ბერძენიშვილი აღსაზრდელებს, — სტალინი ნამდვილად ფიზიკურად ჭამდა ბავშვებს (პირთან ხელის მიტანით სანახაობრივადაც აჩვენებს, თუ როგორ ლოღნის სტალინი ბავშვის ფეხის კუნთებს).** ერთი კი მართალია, „ბერძენიშვილის თქმით, წიგნების კითხვა ადამიანს განათლებულს არ ხდის (ესე იგი, სტალინს თუ მსოფლიოში ყველაზე მეტი წიგნი ჰქონდა წაკითხული, ეს მის განათლებაზე არ აისახება). ამ სტრიქონების სტალინური შენიშვნა ასეთი იქნებოდა: „ხა-ხა-ხა“.

გადავიდეთ უფრო სერიოზულ საკითხებზე, რომლებიც იმაზე ახლოს გაგვაცნობს სტალინს, ვიდრე „ნასედკა“ ბერძენიშვილის მოსაზრებები.

**ფელიქს ძერჟინსკი** იგონებს: „ამხანაგმა სტალინმა ერთხელ მკითხა:

**„არ შეიძლება, ჩეკისტებში გამოინახოს ადამიანები, რომლებიც მთლიანად გადაერთვებიან უპატრონო ბავშვთა აღზრდა-განათლების საქმეზე და თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ ამ დიდ საქმეს, რომელზეც ჩვენ მილიონებს ვხარჯავთ, მაგრამ შედეგი არ გვაქვს? დარწმუნებული ვარ, თუ შესაფერის კადრებს გამოვნახავთ, დავაინტერესებთ და შევუქმნით მათ პირობებს, რათა მიუსაფარ ბავშვებში გაჩნდეს განცდა, რომ მათ პატრონი ჰყავთ და ზრუნავენ მათზე, უნდა შეუქმნან დამოუკიდებლობის განცდა სწავლისა და შრომის სწრაფვის სურვილი, ამისათვის გავიმეტოთ კიდევ უფრო მეტი მილიონები და თუნდაც საუკეთესო კადრები“** („ბელომორ-ბალტიის არხის მშენებლობის ისტორია“, 1934 წელი, გვ.76).

რკინის ფელიქსი, სტალინის მეგობარი, თანამებრძოლი და საიმედო ბოლშევიკი სტალინის დავალების შესრულებას შეუდგა. კადრებს ეძებდა არა მხოლოდ თავის უწყებაში, არამედ ხშირად ქალაქის თავშეყრის ადგილებში („ბირჟებზე“), სადაც ლაზღანდარა და „დებოშირი“ ახალგაზრდები იკრიბებოდნენ, გადაცმული და სახეშეცვლილი ატარებდა გარკვეულ დროს. მან რამდენიმე ათეული ახალგაზრდა ფარულად შეარჩია და თანამშრომლებს დაავალა, შერჩეული ახალგაზრდების თავისთან მიყვანა. ახალგაზრდებმა სხვადასხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან გაიარეს გასაუბრება.

ერთი ახალგაზრდა, გვარად **ბერმანი**, რომელიც ძერჟინსკის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა, სათვალიან ჯმუხ კაცთან შეიყვანეს გასაუბრებაზე, ვიდრე ის ბერმანთან გასაუბრებისთვის მოიცლიდა, მკაცრი ტონით ეკითხებოდა საწერ მაგიდასთან მდგომ ქალბატონს, თუ ვისი იყო იარაღი, რომელიც მაგიდაზე იდო. „არ ვიცი“, — შეშინებული პასუხობდა ქალი, — ის კი ვიცი, იარაღი არასოდეს ჰქონია ჩემს ქმარს და არც უტარებია“. ქალი გაუშვეს, იარაღი დაიტოვეს, სათვალიანი ჯმუხი კაცი მე მომიბრუნდა: „შენ რისთვის მოხვედი?“ „თქვენთან გამომგზავნეს“, — უპასუხა ბერმანმა.




**სტალინის სიბრძნესა და მხედრულ მამაცობას ზურგს უმაგრებდა დიდი რუსი ხალხი, რომელიც ყოველთვის დარწმუნებული იყო სტალინის სიმართლესა და სიმტკიცეში. ყველა მებრძოლის, ქარხნის მუშის, კოლმეურნისა თუ ინტელიგენციის წარმომადგენლის საბრძოლო იარაღად იქცა სტალინის სიტყვები: «ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!»**

„აქ მარტო მე არ ვარ, აქ არის პარტიული კომიტეტი, უნდა ვნახოთ, რა ბიჭიც ხარ, სალამოს მოდი“, — მკაცრად მიუგო სათვალიანმა.

ბერმანი საღამოს დანიშნულ დროს მივიდა, რამდენიმე კითხვის შემდეგ უბრძანეს, კედელთან დამდგარიყო პირით კედლისკენ. ბერმანმა ბრძანება შეასრულა, სწრაფად გაისმა გასროლის ხმა, ტყვია თავს ზემოთ მოხვდა კედელს და ბათქაშის ნამსხვრევები თავზე დაეყარა, მაგრამ ბერმანი ამას არ შეუშინებია.

— ვფიქრობ, გამოდგები, აჰა, გამომართვი რევოლვერი, — ბრძანა სათვალიანმა. ბერმანმა იარაღი გამოართვა და საწერ მაგიდას მიუსხდნენ.

„სპეციალობით ჰიდროტექნიკოსი ვიყავი, — იგონებს ბერმანი, — მამაჩემი რუსეთის იმპერიაში სახელგანთქმული ჰიდროტექნიკოსი და უამრავი უზარმაზარი პროექტისა და მშენებლობის ხელმძღვანელი იყო, პროფესორი. ძალიან კარგად ვცხოვრობდით, მაგრამ რევოლუციამ ყველაფერი შეცვალა, ოჯახში უკმაყოფილება, ცხოვრების სწრაფი გაუარესება, უმუშევრობა, ბავშვების ქუჩაში გასვლა, ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ ფიზიკური თუ სიტყვიერი წინააღმდეგობის გაწევა გამოიწვია. ერთადერთი იმედი იყო ნეპი, რომელიც სახელმწიფოში კაპიტალიზმის რესტავრაციას ნიშნავდა. მეც უამრავ თავზეხელაღებულ მოზარდთან ერთად ქუჩაში ალმოვჩნდი, თუმცა წარმატებით მქონდა დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი ჰიდროტექნიკის განხრით. სათვალიანმა კაცმა შუა ეზოში გადამიყვანა და იქ ახალგაზრდები უზარმაზარ შავ მანქანებში ჩაგვსვეს, რომლებსაც ფანჯრები არ ჰქონდა. არ ვიცოდით, სად მივდიოდით. როდესაც დახურულ ეზოში შეგვიყვანეს, მივხვდით, რომ ლუბლიანკის რომელიღაც ნაწილში ვიყავით. ქუჩაში შეგროვებული მოზარდების უზარმაზარი არმია მაღალ სართულზე აგვიყვანეს, შეგვიყვანეს დიდფანჯრებიან დიდ დარბაზში, რომელშიც ლამაზი პარკეტი იყო დაგებული. დარბაზის ნახევარში, სადაც 120 კაცი თავისუფლად დაეტეოდა, მეორე ნახევარში კეთილმოწყობილი სასადილო იყო განლაგებული. როგორც გაირკვა, ყველა ახალგაზრდა სპეციალობით ინჟინერი იყო. ოთახში, სადაც შეგვიყვანეს, გამორჩეულად ერთი კაცი ხელმძღვანელობდა, რომელმაც ბოხი ხმით გამოგვიცხადა, რომ ჩვენ ვიმყოფებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიუროში, რომლის გენერალური კონსტრუქტორიც მე ვარ — **გორინოვი ალექსანდრე გრიგორის ძეო.**

გორინოვმა სიტყვა გადასცა პროფესორ **პროკოფიევს**, რომელმაც მშვიდი ტონით გვაუწყა, რომ დღეიდან უნდა დავმორჩილებოდით ბოლშევიკების ნებას. „თქვენ თქვენი კეთილშობილური შრომით უნდა დაგვიმტკიცოთ თქვენი ერთგულება, ჩვენ უნდა ვიმუშაოდ არხების პროექტების შედგენაზე, გრაფიკები, კონკრეტული შესრულების ვადები მკაცრად იქნება განსაზღვრული, რაც ჩვენგან იქნება დამოკიდებული, აუცილებლად შესრულდება, დანარჩენი ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, ხელმძღვანელობისგან ყოველგვარი პირობები შექმნილი გექნებათ“.

პროკოფიევს არაფერი უთქვამს შეღავათებსა და ჯილდოებზე, ოღონდ გვითხრა, რომ სწორედ ამ საკონსტრუქტორო ბიუროში მსჯავრდებულებმა შექმნეს მსოფლიოში უძლიერესი ბლუმინგი (ფოლადის ჩამოსასხმელი დანადგარი), რომელშიც საბჭოთა კავშირი უზარმაზარ ვალუტას იხდიდა მის შესასყიდად. ახლა კი ჩვენ ვყიდით არცთუ ურიგო ფასად.

თავლსაჩინოებისთვის წაგვიკითხეს ცენტრალური გაზეთები, რომლებშიც დიდი ასოებით ეწერა საბჭოთა კონსტრუქტორების გიგანტური შრომის შედეგი, უმძლავრესი ბლუმინგის შექმნისა და გამოშვების შესახებ. გაზეთები ირწმუნებოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის მრეწველობა მალე გათავისუფლდებოდა იმპორტისგან. გაზეთებში ასევე დიდი ასოებით იყო გამოყოფილი სიტყვები: **„აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ამ ისტორიული გამარჯვების სულის ჩამდგმელები იყვნენ ყოფილი მსჯავრდებულები, მავნებლები, სახელმწიფოსა და ხალხის მტრები: ნეიმანი, ტიხომიროვი, ზილე და ტილე. ამ ოთხმა გმირმა შექმნა საბჭოთა მძიმე ინდუსტრიის პირმშო, უმძლავრესი ბლუმინგი. ამ გმირობის ამბავი უნდა იცოდეს საბჭოთა ხალხმა“.**

საბჭოთა ხელისუფლებაზე „გაბუტულმა“ პროფესიონალებმაც მიბაძეს უპატრონოდ მიტოვებულ ახალგაზრდებს და მათაც გამოთქვეს სურვილი სტალინთან თანამშრომლობის. რა თქმა უნდა, ყველა ბოლშევიკური ერთგულებით არ ჩართულა სტალინური ხუთნდელების ფერხულში, მაგრამ უმრავლესობა მაინც ხალხის მხარეზე დადგა. აი რას წერდა **სერგო ორჯონიკიძე** 1931 წლის 23 მაისს გაზეთ „პრავდაში“: **„ნეიმანის, ტიხომიროვისა და სხვათა მაგალითები უფლებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ შემობრუნება მოხდა, ყოველ შემთხვევაში ობიექტური პირობები ჩვენი გიგანტური წინსვლისა ზოგიერთ დარგში იძლევა იმის წინაპირობას, რომ ასეთი შემობრუნება და მკაფიო ნახტომი გაკეთდება ყველა დარგში“.**

30-იანი წლების „იდუმალების“ სამყაროზე რამდენიმე წერილი გამოვაქვეყნეთ, მაგრამ ამოუწურავია თემა, რომელიც ასახავს ამ ფარულ ომს თუ მსოფლიოს საოცრებად ქცეულ საბჭოთა მიღწევებს.

საფრანგეთის პრემიერმინისტრმა **პუანკარემ,** რომელსაც გამოცხადებული ჰქონდა ინტერვენცია 1929 წლისთვის, არათუ ინტერვენცია ვერ განახორციელა მსოფლიო კრიზისიდან გამომდინარე, მას საფრანგეთის ეკონომიკა თავზე დაემხო.

ეს მაშინ, როდესაც მსოფლიო კრიზისი საბჭოთა კავშირს არ შეხებია და სოციალიზმის კეთილისმყოფელმა ფინანსურმა პოლიტიკამ ამერიკაც კი გადაარჩინა ფინანსური კატასტროფისგან, რის გამოც **ფრანკლინ რუზველტს** სტალინის მოწაფესაც კი უწოდებდნენ.

სტალინურმა კოსმოსურმა ძალამ დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულში შეაღწია. ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და წარმატებული აღმშენებლობის ოცნება ხელშესახები და აშკარა დასანახი გახდა. სტალინური ნდობის ფაქტორი ყველა ადამიანის ორგანიზმში ძალისა და ძლიერების სიმპტომად შეიჭრა. საკოლმეურნეო მინდვრებზე გუგუნებდა ათასეულობით სასოფლო-სამეურნეო მძიმე ტექნიკა, საველე კალოები თუ ელევატორები ივსებოდა ოქროს თავთავიდან გამოლეწილი მაღალი კლასის მარცვლით, მზეს შეჰყურებდა მილიონობით ჰექტარ მიწებზე დათესილი გიგანტური მზესუმზირები, რომლებიდანაც უმაღლესი ხარისხის ზეთი იხდებოდა და მარაგდებოდა ქალაქები თუ სოფლები.

მერვე საოცრებად აღიქვა მსოფლიომ **ვოლგა-დონის სარწყავი სისტემა,** რომელმაც გააერთიანა ევროპის კონტინენტის ხუთი ზღვა და ერთ სანაოსნო სისტემად აქცია.

აი 1931 წლის სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვები: **„თუ ჩვენ 100 წლის გასარბენ გზას 10 წელიწადში არ გავირბენთ, კაპიტალისტური სისტემის ქვეყნები გაგვსრესენ“.**

სულ 4 თვის ცდომილებით განსაზღვრა სტალინმა საბჭოთა კავშირის ბედი და 1941 წლის ივნისში კბი- ▶

# აი 1931 წელს სტალინის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „თუ ჩვენ 100 წლის გასარბენ გზას 10 წელიწადში არ გავირბენთ, კაპიტალისტური სისტემის ქვეყნები გაგვსრესენ“. სულ 4 თვის ცდომილებით განსაზღვრა სტალინმა საბჭოთა კავშირის ბედი და 1941 წლის ივნისში კბილებამდე შეიარაღებული ყავისფერი ჭირი შემოესია ახალგაზრდა მშვიდომისმოყვარე ქვეყანას.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლებამდე შეიარაღებული ხაკისფერი ჭირი შემოესია ახალგაზრდა მშვიდომისმოყვარე ქვეყანას.

სტალინის სიბრძნესა და მხედრულ მამაცობას ზურგს უმაგრებდა დიდი რუსი ხალხი, რომელიც ყოველთვის დარწმულებული იყო სტალინის სიმართლესა და სიმტკიცეში. ყველა მებრძოლის, ქარხნის მუშის, კოლმეურნისა თუ ინტელიგენციის წარმომადგენლის საბრძოლო იარაღად იქცა სტალინის სიტყვები: **„ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!“**

ყოფილი დისიდენტი, შემდგომ დიდ სტალინისტი, მწერალი და მოაზროვნე **ალექსანდრე ზინოვიევი** წერს: „არც ერთ საუკუნეში, არც ერთ ქვეყანას არ აღუზრდია და არ ჰყოლია ისეთი პატრიოტი ახალგაზრდობა, როგორიც ჰყავდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირს. მათ შიშველი ხელებით თავის ბუნაგში დაახრჩვეს კაცობრიობისა და ცივილიზაციის უსაშინელესი მტერი“.

ზღვაზე, ხმელეთზე თუ ჰაერში სტალინური არწივები თავზარს სცემდნენ მოწინააღმდეგეს. შორეულ ციმბირში გადასახლებული ტერორისტი **კარპოვი** წერილობით თხოვნას უგზავნის სტალინს, მისცეს უფლება, თავისი შეცდომა თავისივე სისხლით გამოისყიდოს და გაუშვას მტერთან შესარკინებლად. კარპოვმა არნახული სიმამაცე და გმირობა გამოიჩინა ფრონტზე და ოქროს გმირის ვარსკვლავით დაიმშვენა მკერდი. გმირმა ბრძოლა გმირულად გააგრძელა და ომის მიწურულს ბერლინის აღებისთვის გამართულ ბრძოლებში კვლავ მეორე ოქროს ვარსკვლავი დაიმსახურა. ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გულახდილობითა და მხატვრული ოსტატობით აღწერდა განვლილი ბრძოლების ბატალიებს და ხალხს პატრიოტულ მუხტს უნერგავდა. სახელოვანი მეომარი და მწერალი ბოლოს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გახდა. სწორედ კარპოვს ეკუთვნის დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით დაწერილი სქელტანიანი წიგნი „სტალინი“, რომელიც თითქმის მსოფლიოს ყველა ენაზე ითარგმნა და მიეწოდა მკითხველს. კარპოვი გამონაკლისი არ არის იმ ადამიანთა შორის, რომლებმაც საბჭოთა ქვეყნის ღალატი „სამშობლოსათვის და სტალინისათვის“ ბრძოლით გამოისყიდეს და მკერდამშვენებული დაუბრუნდნენ მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებს. დაიწყეს დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობა, რითაც ხუთ წეილიწადში სრულიად მოისპო არა მხოლოდ საბჭოთა მიწაზე, არამედ ევროპის მებრძოლ ქვეყნებშიც ომის ნაკვალევი.

**სტალინი საბჭოთა ხალხის შემოქმედია, სტალინი ქვეყანაზე ყველაზე დემოკრატიული და ყველაზე თანასწორუფლებიანი საზოგადოების ექსპერიმენტის შემსრულებელი და დამგვირგვინებელია, სტალინი ხომ კაცობრიობის არსებობის განმავლობაში ყველაზე მრავალრიცხოვანი არმიის მთავარსარდალია, სტალინი ხომ კაცობრიობის ყველაზე საშიში მხეცის — ფაშიზმის, გამნადგურებელია, სტალინი ხომ დედამიწაზე ადამიანის ძალისა და ძლიერების დემონსტრირების უალტერნატივო ფენომენია, სტალინი ხომ ადამიანთა მოდგმის უმაღლესი განვითარების კულტია, რომელსაც თავისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები გააჩნია. სტალინი ხომ დაუჯერებელი, მაგრამ საქმით დადასტურებული ცოცხალი ლეგენდაა, სტალინი ხომ სიბრძნის წყაროა, რომელსაც ჯერჯერობით გველეშაპია გადაფარებული და, როცა იქნება, იმ გველეშაპს გასრესენ და სტალინური სიბრძნე მთელ პლანეტას გაანათებს. სტალინის სამშობლო ხომ საქართველოა.**

დასანანია, რომ სტალინის აშენებულ და მტერთაგან კედლებჩამოქცეულ ქვეყანაში ყველაზე უპატრონო და დაჩაგრული, გაპარტახებული და გადაგვარების გზაზე დამდგარი სწორედ ჩვენ, ქართველები, აღმოვჩნდით.

გამართლდა „გენიოსი“ **ჰიტლერის** სიტყვები: **„ჩვენ საბჭოეთი ისე უნდა დავანგრიოთ, რომ ვერასდროს შეძლოს სტალინის მსგავსი პიროვნების წარმოჩენა“.** რა თქმა უნდა, ღმერთმა ჰიტლერს არ დააცალა ამ ოცნების აღსრულება, მაგრამ მსოფლიოში არიან ძალები, რომლებსაც ძალიან სურთ, საქართველო უქართველებოდ დაინახონ ან სქესშეცვლილთა და ტრადიციააყრილ ქვეყნად აქციონ.

რატომ? რატომ ვართ ასე ან შესაყვარებელი, ან გადასაყვარებელი საზოგადოება? ჩვენ ქართველები ვართ და იმიტომ. ერთხელ მეგობრულ წრეში სხვისი ფეხის ხმას ავყევი და მეც უდიერად მოვიხსენიე საქართველო და ქართველი ხალხი, იმ სიტყვებს აქ არ გავიმეორებ.

ჩემს მეგობრებთან ერთად იყო ჩემთვის უძვირფასესი ადამიანი, აკადემიკოსი **როინ მეტრეველი,** რომელმაც სხვების გაკრიტიკება არ მიიჩია მიზანშეწონილად და ძირითადი დარტყმა ჩემზე განახორციელა: ბატონო გრიგოლ, თქვენ მართალი არ ხართ, მე მეტ-ნაკლებად მეტი შეხება მაქვს საქართველოს ისტორიასთან და საქართველოს წარსულთან, მაგრამ ჩემი მტკიცებულებებით არ წარვდგები თქვენ წინაშე. გეტყვით ერთ შემთხვევას: სხვა გამოჩენილ ისტორიკოსებს შორის მოსმენილი მაქვს გამოჩენილი მეცნიერისა და მკვლევარის, პროფესორ **დავით გვრიტიშვილის** ლექცია. ის ზომაზე მეტად გამოხატავდა საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულს. ერთხელ მან ასეთი რამ თქვა: როდესაც ინგლისის პრემიერმინისტრი **უინსტონ ჩერჩილი** გარდაიცვალა, მისი სამუშაო ოთახები შეინახეს ისე, როგორც მან დატოვა ბოლო წუთებში. ტუმბოზე აღმოჩნდა ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ოთხგზის პრემიერმინისტრის, **იულიამ გლადსტონის,** გადაშლილი მემუარები, რომელსაც უინსტონ ჩერჩილი და **მარგარეტ ტეტჩერი** თავიანთ პოლიტიკურ მუზად მიიჩნევდნენ. გადაშლილი წიგნის ერთ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმული იყო შემდეგი სიტყვები: **„ქართველები მამაცი, უშიშარი და მებრძოლი ხალხია, მაგრამ ისინი ისევე ცოტანი არიან, როგორც ვეფხვები და ლომები“.** აკადემიკოსის სიტყვებმა სულ სხვა ფიქრებსა და ოცნებებში გადამაგდო. გამახსენდა **აკაკი მგელაძის** მემუარები სტალინზე, როგორ შორიდან უვლიდა იგი ქართველებსა და პირადად აკაკი მგელაძეს, როდესაც ჯერ **პოსკრებიშჩევის** ენით, ხოლო შემდეგ სუსლოვს ათქმევინა, — რა იქნება, შავი ზღვის ზოლი ერთ საკურორტო ზონად რომ ვაქციოთ ოდესამდეო, რასაც აკაკი მგელაძის ისტერიკა მოჰყვა. ოოო, მაშინ ხომ დიდი ქვეყანა გვექნებოდა, თუ ამას **ვატუტინის** ლაშქრობაც დაემატებოდა თურქეთზე. დიახ, ჩვენ გამორჩეული ერი ვართ, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა: ვიყავით დიდი ერი და გვყავდა დიდი კაცი, რაც გამოგვარჩევდა არა მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ მსოფლიოს ხალხებში. აკი, ამიტომაც ჩაწერა თავის მემუარებში გლადსტონმა ის სიტყვები, რომელიც პრემიერმინისტრმა წითელი ფანქრით მონიშნა, ალბათ, იმიტომ, რომ, როცა ამის დრო დადგებოდა, ეთქვა იგი სტალინის სამშობლოსათვის.

**«როდესაც ინგლისის პრემიერმინისტრი უინსტონ ჩერჩილი გარდაიცვალა, მისი სამუშაო ოთახები შეინახეს ისე, როგორც მან დატოვა ბოლო წუთებში. ტუმბოზე აღმოჩნდა ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ოთხგზის პრემიერმინისტრის, იულიამ გლადსტონის, გადაშლილი მემუარები, რომელსაც უინსტონ ჩერჩილი და მარგარეტ ტეტჩერი თავიანთ პოლიტიკურ მუზად მიიჩნევდნენ. გადაშლილი წიგნის ერთ გვერდზე წითელი ფანქრით ხაზგასმული იყო შემდეგი სიტყვები: «ქართველები მამაცი, უშიშარი და მებრძოლი ხალხია, მაგრამ ისინი ისევე ცოტანი არიან, როგორც ვეფხვები და ლომები»**


ვოროშილოვი, სტალინი და კიროვი „ბელომორკანალზე“






ან იქნებ საქართველო გეოპოლიტიკურ ცენტრად არის მიჩნეული და, რა თქმა უნდა, არც კაპიტალისტები და არც რუსები არ მოინდომებენ ქამარ-ხანჯლიან მოქალაქეებს, რომლებიც მრავალჟამიერითა და „ქართველო ხელი ხმალს იკარ“-ით იქნებიან ამ მიწაზე დაკავებული. სწორედ ამიტომ უნდათ მათ, იხილონ უქართველო საქართველო და არ უნდათ მკვიდრი მოსახლეობის უპირატესობა არამკვიდრებზე, ანდა კიდევ შურისძიება სტალინის გამო, რომელმაც 70 წლის განმავლობაში წრედი არ შეაკვრევინა მსოფლიო ბატონობის მსურველ ფარულ ხელს. ეს დერეფანი ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დერეფანი იყო, რომელიც დღეს საიმედოდ ჩაკეტეს მასონთა გაერთიანებულმა ძალებმა.

მაგრამ ქართველი გულს არ გაიტეხს და კვლავ ომახიანად შესძახებს:

**„მოვა დრო და
თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს
გმირთა-გმირი!..
სიხარულად შეეცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი!..“**

მართლმადიდებლობა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები მსოფლიოს საპატრიარქოს სინოდის შემდეგ

**უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედებს არა მხოლოდ უკრაინის უშიშროების სამსახური. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ნეჟინსკის ეპარქიაში განაცხადეს, რომ 19 ნოემბერს ეპარქიის სამმართველოში შეიჭრა 10-კაციანი ჯგუფი, მათ შორის იყვნენ ნეჟინსკის საქალაქო ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქის თავის მოადგილე და პარლამენტის დეპუტატის თანაშემწე. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა პატრიოტიზმის უქონლობაში დაადანაშაულეს მღვდელმსახურები, მრევლი და მოითხოვეს, მხარი დაეჭირათ ერთიანი ადგილობრივი ეკლესიის შექმნისთვის.**

**ექსპერტთა აზრით, მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსს, დიდი სურვილის მიუხედავად, ამჟამად არ შეუძლია ტომოსის მიცემა უკრაინის რელიგიური სტრუქტურებისთვის, რადგან არავინ არის, ვისაც ამ ტომოსს გადასცემდა.**

ტომოსი შეიძლება გადაეცეს მხოლოდ კანონიკურ რელიგიურ სტრუქტურებს, რომლებიც უკრაინაში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი. უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას დამოუკიდებლობა არ მოუთხოვია, კიევის საპატრიარქოსა და ე.წ. უკრაინის ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას კონსტანტინოპოლი არ აღიარებს. ასეთი სტრუქტურა უნდა შეიქმნას მართლმადიდებელი ეკლესიების გამაერთიანებელ კრებაზე, რომლის ჩატარებაც, კარგა ხანია, ვერ ხერხდება. თეორიულად **ბართოლომეოსს** შეუძლია ტომოსი მისცეს თავის ეპისკოპოსებს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისინი მრევლის გარეშე დარჩებიან. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, „პირობითი იობი (გეჩა) მარტო დაჯდება ანდრიას ეკლესიაში (ეს ტაძარი ახლახან გადასცა მსოფლიოს პატრიარქს უკრაინის ხელისუფლებამ), ისეთები კი, როგორიც არის კიევის პატრიარქი **ფილარეტი,** ახლომახლო ივლის დაბოღმილი". ამ სიტუაციაში მათ შეუძლიათ კიდევ ერთხელ მოუწოდონ გამაერთიანებელი ყრილობის ჩატარებისკენ და ამას დაურთონ პირფერული განცხადებები, რომ ახალ ეკლესიაში გადასვლას არავის აიძულებენ. გამაერთიანებელი კრების ჩატარების გადადების მიზეზი შეიძლება რამდენიმე იყოს:

**პირველი** — უკრაინის არაკანონიკური ეკლესიების შეუთანხმებლობა ისეთ საკითხზე, როგორიც არის მომავალი ეკლესიის წესდება. ამ საკითხზე უთანხმოების შესახებ არაღიარებულ კიევის საპატრიარქოს ლიდერ ფილარეტთან (დენისენკოსთან) არაერთხელ უსაუბრია უკრაინის არაკანონიკური ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელ **მაკარი მალეტიჩს.** უთანხმოების მიზეზი თავიდანვე იყო ლიდერობის საკითხი, მაგრამ ახალი საეკლესიო სტრუქტურის შექმნის გზაზე ყველაზე სერიოზულ წინაღობად იქცა ის, რომ უკრაინის კანონიკურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომლის მრევლიც არის უკრაინელი მართლმადიდებელი მორწმუნეების ძირითადი ნაწილი, უარი თქვა ახალი ეკლესიის შექმნაში მონაწილეობაზე, მიუხედავად უკრაინის ხელისუფლების დიდი წნეხისა. 13 ნოემბერს გაიმართა უკრაინის მართლმადიდებელი კანონიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა კრება, რომელზეც დადგინდა, რომ ერთიანი ეკლესიის შექმნაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ. ამას გარდა, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებით, შეწყდა ევქარისტული ურთიერთობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან. ვინიცისა და ბარსკის მიტროპოლიტი **სიმეონი** იყო უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთადერთი იერარქი, რომელმაც ხელი არ მოაწერა სინოდის დადგენილებას ავტოკეფალიის წინააღმდეგ. მან თავისი გადაწყვეტილება კონსტანტინოპოლთან ევქარისტული ურთიერთობის გაწყვეტის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებით ახსნა. მალევე ვინიცაში გაიმართა სასულიერო პირების საგანგებო შეკრება, რომლის მონაწილეებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კრების გადაწყვეტილებებს. თვით სიმეონმა სამწყსოს განუცხადა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებაზე პირადი თვალსაზრისი გამოხატა და „არსად არავისთან არ გადასულა, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობს ზოგიერთი".



**როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?** კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ უკვე გამოაცხადა უკრაინა თავის კანონიკურ ტერიტორიად და ახლა შეუძლია, ფაქტიურად წლობით ელოდოს ადგილობრივი ეკლესიის შექმნას. პოროშენკოს კი ავტოკეფალური ეკლესია დღესვე სჭირდება — არჩევნებზე რაღაც კოზირი ხომ უნდა ჰქონდეს თავისი ელექტორატისთვის? ამიტომ უკრაინის ხელისუფლება პროექტ „ტომოსს" კვლავ განაგრძობს.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურებს უკრაინის უშიშროების სამსახურში იბარებენ... გასაუბრებაზე, მაგრამ ეფექტი, ასე ვთქვათ, რამდენადმე წინააღმდეგობრივია. ზაპოროჟიესა და მელიტოპოლის მიტროპოლიტმა **ლუკამ** უკრაინის უშიშროების სამსახურში მისვლის შემდეგ, გასაუბრების შედეგების მიხედვით, ჩაწერა ვიდეომიმართვა, რომელშიც პოროშენკოს „ეკლესიის თანამედროვე მდევნელი" უწოდა. **მიტროპოლიტმა განაცხადა, რომ ამ დაწესებულებაში (უკრაინის უშიშროების სამსახურში) იბარებენ სხვა სასულიერო პირებსაც — „თავდაპირველად გასაუბრებისთვის"... „რა მოხდება შემდეგ? ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ კაცობრიობის მტერს გაჩერება არ შეუძლია და ადამიანს, რომელიც დაადგა სატანის გზას, ძალიან უძნელდება სატანის კლანჭებიდან თავის დახსნა, ამიტომ არის მხოლოდ ბოროტება და ზიზღი",** — თქვა მღვდელმსახურმა. მან მოუწოდა იმ ადამიანებს, რომლებიც ეშმაკის გზას დაადგნენ, გამოფხიზლდნენ და მოინანიონ.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მოქმედებს არა მხოლოდ უკრაინის უშიშროების სამსახური. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ნეჟინსკის ეპარქიაში განაცხადეს, რომ 19 ნოემბერს ეპარქიის სამმართველოში შეიჭრა 10-კაციანი ჯგუფი, მათ შორის იყვნენ ნეჟინსკის საქალაქო ადმინისტრაციის თავმჯდომარის მოადგილე, ქალაქის თავის მოადგილე და პარლამენტის დეპუტატის თანაშემწე. დაუპატიჟებელმა სტუმრებმა პატრიოტიზმის უქონლობაში დაადანაშაულეს მღვდელმსახურები, მრევლი და მოითხოვეს, მხარი დაეჭირათ ერთიანი ადგილობრივი ეკლესიის შექმნისთვის.

17 ნოემბერს კრივოი როგში ავტოკეფალიის მომხრეებმა იერიში მიიტანეს კრივოი როგისა და ნიკოპოლის მიტროპოლიტ **ეფრემის** რეზიდენციაზე იმის გამო, რომ ის მხარს არ უჭერს ტამოსის მიღების იდეას. არის უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაზე ზემოქმედების სხვა ფაქტებიც უკრაინის ხელისუფლებისა და უშიშროების სამსახურის, აგრეთვე, მათი „აქტივისტების" მხრიდან.

პოჩაევის ლავრა ნელ-ნელა გამოჰყავთ მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებიდან. რამდენიმე დღის წინათ კი დაიწყო კიევ-პეჩორის მონასტრის ქონების აღწერა — სამარხებისაც კი. ასე რომ, იმისგან დამოუკიდებლად, როგორ ჩაივლის ე.წ. გამაერთიანებელი კრება და რა გადაწყვეტილებებს მიიღებენ იქ, მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ქონებას უკვე ამზადებენ „გადასაცემად" — როგორც ჩანს, ეს არ არის მხოლოდ „დაუმორჩილებლებზე" ზემოქმედების მცდელობა, არამედ ყურადღების მიპყრობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსი, რომელიც ახლახან დაეუფლა პირველ საკუთრებას უკრაინაში.

# ჩხრეკა ფილარეტის გაკრიტიკების გამო

## კიევ-პეჩორის ლავრის წინამძღვრის გასაჩხრეკად სამი ავტობუსით მივიდნენ უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლები



მეუფე პავლე — კიევ-პეჩორის ლავრის წინამძღვარი

**კიევის ოლქში მიმდინარეობს კიევ-პეჩორის ლავრის წინამძღვრის, მეუფე პავლეს ჩხრეკა. მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთ იერარქს უკრაინის უშიშროების სამსახურმა შეუტია.**

როგორც ცნობილია მეუფეს საკუთარი სახლი აქვს ბორისპოლთან ახლოს, სოფელ ვორონკოვში. საბაბად იქცა YouTube-ზე გამოქვეყნებული ინტერვიუ, რომელშიც მეუფე პავლე აფასებს უკრაინისთვის ავტოკეფალიის შესახებ ტომოსის მინიჭების საკითხს და აკრიტიკებს თვითმარქვია კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურ ფილარეტს.

### რას ნიშნავს მეუფე პავლეს წინააღმდეგ საქმის აღძვრა?

ლავრის წინამძღვრის ჩხრეკა ძალიან ჰგავს პოლიტიკურ შეკვეთას. თუ პავლეს განცხადებებში იყო დისკრიმინაციული გამონათქვამები, რას ეძებენ მის სახლსა და ლავრაში? ხომ არსებობს ვიდეომტკიცებულება — მეუფის ინტერვიუ ხელმისაწვდომია YouTube-ზე.

როგორც ჩანს, გამომძიებლებს სჭირდებოდათ საბაბი, რათა შესულიყვნენ ლავრაში და მისი წინამძღვრის სახლში.

პოლიტიკურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საქმეში უკრაინის უშიშროების სამსახურის განყოფილება „T"-ს (სახელმწიფოებრიობის დაცვის განყოფილება) მონაწილეობაც. ეს ნიშნავს, რომ საუბარი მოქალაქეთა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციაზე არ არის. განყოფილება „T" დაკავებულია უფრო გლობალური საქმეებით. ჩანს, პავლეს ნათქვამი სურთ აქციონ არსებული წყობილებისთვის ძირგამომთხრელ განცხადებად.

**შემაშფოთებელია ლავრის ფასეულობების რევიზიაც — უკრაინის კულტურის სამინისტრომ რევიზორები გაგზავნა უახლოეს გამოქვაბულებში, სადაც დაიწყო სამარხებისა და წმინდანთა ნაწილების აღწერა ასეთმა პროცესებმა პოჩაევის ლავრაში უკვე გამოიწვია სერიოზული იურიდიული შედეგები — იუსტიციის სამინისტრომ გააუქმა დადგენილება, რომლითაც მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას შეეძლო მონასტრის გამოყენება.**

ცხადია, რომ უკრაინის ხელისუფლება განაგრძობს მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაზე ზემოქმედების კურსს. ეს ეკლესია უარს ამბობს, შეუერთდეს ერთიან ადგილობრივ ეკლესიას, რომლის შექმნასაც ცდილობს მსოფლიოს საპატრიარქო უკრაინაში ამ ქვეყნის პრეზიდენტის აქტიური მხარდაჭერით.

**პავლეს ჩხრეკის მეორე ასპექტია კიევ-პეჩორის ლავრის წართმევისთვის მზადება. თუ მიტროპოლიტს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში დაადანაშაულებენ, ეს იქნება საბაბი მკაცრი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა მონასტრის შესახებ.**

ხოლო, იმის გათვალისწინებით, რომ ლავრის წართმევა ავტოკეფალიის მომხრეთა დაუფარავად გამოცხადებული მიზანია, პავლეს ფიგურა აქ უკიდურესად ხელის შემშლელია. პავლე არის იერარქი, რომელსაც არ ეშინია ღია კონფრონტაციის. მონისტრის გარშემო დაწყებული კონფლიქტებისას ის პირადად გამოდიოდა და ურთიერთობა ჰქონდა რადიკალებთან — მოურიდებლად კამათობდა. ბოლო მაგალითია, მისი ურთიერთობა C14-თან, ამ ჯგუფმა შარშან ზამთარში დაბლოკა ლავრაში მისასვლელი გზა.

ეს ნიშნავს, რომ პავლეს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ლავრის დაცვის ორგანიზება, თუკი მის ჩამოშორებას ფიზიკურად არ შეეცდებიან.

**P.S. მეფე პავლეს შემდეგ უშიშროების სამსახურმა კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა იერარქიებიც მასობრივად გამოიძახა „გასაუბრებაზე".**

გვერდი მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**„წესდება ერთადერთი ნოვაცია აღმოჩნდა ახლახან დამთავრებული სინოდის სხდომისა. დანარჩენ საკითხებში მან კვლავ დაადასტურა ის, რაც გადაწყვეტილი იყო ოქტომბერში — მიეცეს უკრაინას ტომოსი ავტოკეფალიის შესახებ. განხეთქილების შემომტანთა („რასკოლნიკების“) შეკრების ჩატარების ზუსტი თარიღი კი დასახელებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ჩატარების თარიღის გამოცხადება დაანონსებული იყო სინოდის სხდომის წინ. სინოდის პრესრელიზში არაფერია ნათქვამი ტომოსის ტექსტის, კრების მოწვევისა და მისი ჩატარების თარიღის შესახებ“.**

მართლმადიდებლობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა გადაწყდა მსოფლიოს საპატრიარქოს სინოდის სხდომაზე

## 29 ნოემბერს სტამბოლში დასრულდა მსოფლიოს საპატრიარქოს სინოდის სხდომა

**„მსოფლიოს საპატრიარქოს წმინდა სინოდმა მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის შექმნის შესახებ. დამტკიცებულია ტომოსის ტექსტი უკრაინის ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, მიღებულია, აგრეთვე, გადაწყვეტილება გამაერთიანებელი მართლმადიდებელთა კრების მოწვევის თაობაზე. კრების ჩატარების თარიღს მალე გამოაცხადებს პატრიარქი ბართოლომეოსი“, — საზეიმოდ განაცხადა პეტრე პოროშენკომ ტელეეთერში.**

**რა არის ნათქვამი კონსტანტინოპოლის გადაწყვეტილებაში?**

ელოდებოდნენ, რომ შედეგების შესახებ ისაუბრებდა პატრიარქი **ბართოლომეოსი,** მაგრამ მის ნაცვლად მასმედიის წარმომადგენლებთან გამოვიდა პრესსპიკერი და ჟურნალისტებს პრესრელიზი დაურიგა.

დოკუმენტი შედგებოდა სამი პუნქტისგან და მხოლოდ ბოლო შეეხებოდა უკრაინას: **„მსოფლიოს საპატრიარქოს ადრინდელი გადაწყვეტილების კონტექსტში უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების თაობაზე და საპატრიარქოსა და სინოდის ტომოსის მოლოდინში წმინდა სინოდმა მოამზადა წესდება უკრაინის ეკლესიისთვის“.**

როგორც ხედავთ, ტომოსი ჯერჯერობით „მოლოდინშია“. სამაგიეროდ, კონსტანტინოპოლმა თვითონ დაწერა ახალი ეკლესიის წესდება. ეს, რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნებს აჩენს ახალი საეკლესიო ორგანიზაციის დამოუკიდებლობის მიმართ. არადა, სწორედ ამ დამოუკიდებლობის გამო დაიწყო ყველაფერი.

წესდება ერთადერთი ნოვაცია აღმოჩნდა ახლახან დამთავრებული სინოდის სხდომისა. დანარჩენ საკითხებში მან კვლავ დაადასტურა ის, რაც გადაწყვეტილი იყო ოქტომბერში — მიეცეს უკრაინას ტომოსი ავტოკეფალიის შესახებ. განხეთქილების შემომტანთა („რასკოლნიკების“) შეკრების ჩატარების ზუსტი თარიღი კი დასახელებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ჩატარების თარიღის გამოცხადება დაანონსებული იყო სინოდის სხდომის წინ.

სინოდის პრესრელიზში არაფერია ნათქვამი ტომოსის ტექსტის, კრების მოწვევისა და მისი ჩატარების თარიღის შესახებ, თუმცა უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა **როსტისლავ პავლენკომ**, რომელიც ესწრებოდა სინოდის სხდომას, განაცხადა, რომ ტომოსის ტექსტი უკვე შედგენილია. „არის დამტკიცებული ტომოსი... ამ ტომოსის საფუძველზე მომზადებულია წინადადებები ეკლესიის წესდების შესახებ და განსახილველად წარედგინება კრებას, რომელიც ჩატარდება დეკემბერში. თარიღს გამოაცხადებს მსოფლიო პატრიარქი“, — განაცხადა პავლენკომ. მან, აგრეთვე, თქვა, რომ კრებაზე საეკლესიო პირები განიხილავენ წესდებას ტომოსის გათვალისწინებით. ახალი ეკლესიის მეთაურის არჩევის შემდეგ მას სტამბოლში გადასცემენ ტომოსს.


THE ECUMENICAL PATRIARCHATE
The Holy and Sacred Synod

COMMUNIQUE

The Holy and Sacred Synod convened under the chairmanship of His All-Holiness for its regular sessions from Tuesday, November 27, to Thursday, November 29, 2018.

During its sessions, it examined all of the items on the agenda, upon which the appropriate decisions were made, including the following:

a. Upon the recommendation of His All-Holiness Ecumenical Patriarch Bartholomew, within the context of his canonical responsibility, the Holy and Sacred Synod reorganized the status of the "Exarchate for Orthodox Parishes of the Russian Tradition in Western Europe," thereby entrusting its faithful to the Hierarchs of the Ecumenical Throne in Europe.

b. The Holy and Sacred Synod, in unanimously accepting the proposal of the Autonomous Church of Finland under the Ecumenical Patriarchate, recorded in the Hagiologion of the Orthodox Church the Venerable John of Valamo (1873-1958), and the Holy Martyr and Confessor, John of Ilomantsi (1848-1918), both of whom lived and worked there.

c. Finally, in the context of the Ecumenical Patriarchate's previously-made decision to grant autocephaly to the Church of Ukraine, and in anticipation of the issuance of the Patriarchal and Synodal Tomos, the Holy and Sacred Synod drafted the Ukrainian Church's Constitutional Charter.

At the conclusion of these sessions, His All-Holiness and His Eminence Metropolitan Panteleimon of Veroia, on behalf of the Holy and Sacred Synod, exchanged festal addresses for the upcoming feasts of Christmas and the New Year.

At the Ecumenical Patriarchate, the 29th of November, 2018

From the Chief Secretariat
of the Holy and Sacred Synod

სწორედ ამით ახსნა პავლენკომ ის, რომ ტომოსის ტექსტი ვერავინ ნახა. „კრების შემდეგ წინამძღოლს სტამბოლში პირადად მსოფლიოს პატრიარქი გადასცემს ტომოსს“, — განაცხადა პოროშენკოს მრჩეველმა.

მისი ნათქვამიდან რამდენიმე დასკვნის გამოტანა შეიძლება:

**პირველი და მთავარი** — ტომოსის გადაცემამდე მის ტექსტს ვერავინ იხილავს. ეს უკრაინის ხელისუფლებისთვის ხელსაყრელი პოზიციაა, რადგან ვრცელდება ხმები, რომ ავტოკეფალიის შესახებ დოკუმენტში არაფერი ჩაიწერება, ეკლესიის ახალ მეთაურს ექნება არქიეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის (პატრიარქზე დაბალი) რანგი. ეს იმ შემთხვევაში, თუ ტექსტს, საერთოდ, დაამტკიცებს სინოდი. კონსტანტინოპოლის ოფიალურ პრესრელიზში ტომოსის ტექსტის შესახებ ნათქვამი არაფერია.

**მეორე** — პავლენკოს ვერსიით, ბართოლომეოსმა არა მხოლოდ დაწერა ტომოსის ტექსტი, არამედ თვითონ გამოაცხადებს კრების ჩატარების თარიღს. რაც კიდევ ერთი არგუმენტია „შეზღუდული ავტოკეფალიის“ ვერსიის სასარგებლოდ — როგორც ჩანს, უკრაინის ახალი ეკლესია მთლიანად დაექვემდებარება სტამბოლს.

სხვათა შორის, სწორედ ამ ქალაქში უნდა მიიღოს ახალმა წინამძღოლმა (მას პატრიარქი არ უწოდა პავლენკომ) ტომოსი — ზედმეტი შტრიხი ერთიანი ადგილობრივი ეკლესიისთვის, რომელიც, ჩანს, გაცილებით მეტად იქნება დამოკიდებული კონსტანტინოპოლზე, ვიდრე ამჟამად არის მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია დამოკიდებული მოსკოვზე.

ვინ იცის, როდის მოხდება ეს, რადგან პროცესი ჭიანურდება.



# მოლდოვის მიტროპოლიტმა მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას

**კიშინიოვისა და სრულიად მოლდოვის მიტროპოლიტმა ვლადიმირმა მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას. მიტროპოლიტი ვლადიმირი შეშფოთებულია პოჩაევის ლავრის გარშემო განვითარებული მოვლენების გამო, რაც ეს გამოხატა უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოსადმი მიწერილ წერილში.**

„მოლდოვას რესპუბლიკაში, ღვთის შეწევნით, დაინერგა ყოველწლიური წეს-ჩვეულება ფეხით მსვლელობისა პოჩაევის ლავრისკენ, რომელშიც მონაწილეობს ბევრი მოლდოველი მომლოცველი“, — წერს მიტროპოლიტი ვლადიმერი.

მისი თქმით, მოლდოვას მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები და სრულიად მოლდოვის ხალხი მხარს უჭერს უკრაინის სასულიერო პირებსა და ხალხს, რომლებიც ემორჩილებიან უკრაინის ერთადერთ კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას. „ეს ეკლესია ინარჩუნებს და გადასცემს ჭეშმარიტებას მომავალ თაობებს“.

**„განსაკუთრებული შეშფოთებით ვაკვირდებით ღრმა კრიზისს, რომელშიც ჩათრეულია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია. ამ კრიზისის მიზანია რელიგიური შუღლის ჩამოგდება უკრაინის მოსახლეობას შორის“,** — ხაზს უსვამს მიტროპოლიტი. მან მოუწოდა უკრაინის ხელმძღვანელობას, შეასრულოს თავისი კონსტიტუციური როლი, როგორც თავისუფლებისა და რელიგიური მშვიდობის გარანტმა ქვეყანაში.

უფრ ადრე უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ გააუქმა სახელმწიფო რეგისტრაცია პოჩაევის ლავრის გამოყენების უფლების თაობაზე. ამის შემდეგ უკრაინის მთავრობამ გააუქმა 2003 წლის ბრძანებულება და ნაგებობა გადასცა კრემენეც-პოჩაევის ისტორიულ-არქიტექტურულ ნაკრძალს.

# «ის, რაც იყო ფილარეტის, მაკარისა და ონოფრესი, ახლა ჩემია»



## პავლენკოსი გვწამს, ბართოლომეოსი გვაკვირვებს

**უკრაინის პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს მრჩეველი, უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესიის იდეის კურატორი როსტისლავ პავლენკო დარწმუნებულია, რომ ტომოსის მიღების შემდეგ უკრაინის ეკლესია აბსოლუტურად დამოუკიდებელი იქნება და მის საქმეებში ვერავინ ჩაერევა, მათ შორის კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართოლომეოსი. პავლენკომ ეს განაცხადა 27 ნოემბერს უკრაინის ტელეარხ „პრიამოის“-თვის მიცემულ ინტერვიუში.**

რამდენიმე დღის წინათ პავლენკო იმყოფებოდა სტამბოლში, სადაც გაიმართა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდის სხდომა, რომელზეც უნდა დამტკიცებულიყო უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ ტომოსის ტექსტი. უკრაინის პრეზიდენტის მრჩევლის თქმით, ტომოსის მიღების შემდეგ „უკრაინა იქნება მეთხუთმეტე ადგილობრივი ეკლესია“, ამასთანავე, მნიშვნელობა არ აქვს, ექნება თუ არა უკრაინას საეპისკოპოსო ან საპატრიარქო. მთავარია, რომ ეს იქნება დამოუკიდებელი ეკლესია.

**ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ უკრაინაში ბართოლომეოსს თავისი მიზნები აქვს და იქიდან ასე იოლად არ წავა. ბართოლომეოსი ავტოკეფალიაზე საუბრებს არის ამოფარებული და სურს, უკრაინაში შექმნას მსოფლიო საპატრიარქოს საეგზარქოსო, ამით კი მიიღოს (დაიქვემდებაროს) რამდენიმე ათეული მილიონი მორწმუნე. ბართოლომეოსი ცდილობს, მიიღოს ის, რაც ადრე იყო ფილარეტის, მაკარისა და ონოფრესი.** „ამჟამად ის, უბრალოდ, ნომინალური პატრიარქია. როდესაც მსოფლიოს მართლმადიდებლების მესამედზე კონტროლს მიიღებს, შეეცდება, გახდეს სერიოზული მოღვაწე. ამ მიზნებისთვის კი იყენებს ამბიციებს უკრაინის ხელისუფლებისა, რომელსაც კონიუნქტურულად სჭირდება ტომოსი ავტოკეფალიის შესახებ. მსოფლიოს პატრიარქს იმედი აქვს, რომ, თუ სრულად არ დაიქვემდებარებს მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს, რაღაც სტრუქტურას მაინც შექმნის კიევის მიტროპოლიაში, რომელიც ბართოლომეოსს აღიარებს თავის ხელმძღვანელად.

მოსკოვის საპატრიარქოს სინოდის ეკლესიის საზოგადოებასა და მასმედიასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე **ალექსანდრე შიპკოვის** თქმით, ბართოლომეოსი შეპყრობილია აღმოსავლეთის პაპიზმის იდეით. „რომის პაპის ანალოგიის მიხედვით, ის ოცნებობს, გახდეს მსოფლიოს მართლმადიდებლობის ერთადერთი ხელმძღვანელი. მან თქვა, რომ კონსტანტინოპოლს აქვს რაღაც მისტიკური განსაკუთრებულობა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებთან შედარებით“, — განაცხადა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა.

კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის თელმესის არქიეპისკოპოსმა **იობმა (გეჩა)** აღნიშნა, რომ უკრაინის შესახებ ბართოლომეოსის გადაწყვეტილების შემდეგ ყველა ადგილობრივი სასულიერო პირი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოზე იქნება დამოკიდებული.

„სინოდის გადაწყვეტილებით, ამჟამად ყველა სასულიერო პირი უკრაინაში დე ფაქტო დაკავშირებულია მსოფლიოს საპატრიარქოსთან და ამიერიდან უნდა დაელოდოს მსოფლიოს პატრიარქის დირექტივებს თავისი არსებობის შესახებ“, — ხაზგასმით აღნიშნა არქიეპისკოპოსმა იობმა.

მსოფლიოს საპატრიარქოს მიერ უკრაინის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება არ გულისხმობს უკრაინის დამოუკიდებელი ეკლესიის შექმნას. ფანერთან (მსოფლიოს საპატრიარქოს რეზიდენცია) დაახლოებულმა **მამა კირილემ (გოვორუნმა),** რომელიც კარგად იცნობს უკრაინის რეალიებს, ასე შეაფასა გადაწყვეტილება: „ეს არის არა ავტოკეფალია, არამედ კიევის მიტროპოლიის აღდგენა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში“. უკრაინელი პოლიტოლოგი **რუსლან ბორტნიკი** კი აღნიშნავს: „თუ სამართლის მიხედვით წავალთ, კონსტანტინოპოლის კანონიკურ ტერიტორიად ითვლება 1686 წლის საზღვრებში არსებული ტერიტორია. ეს არის პოლონეთისა და ბელარუსის ტერიტორიების ნაწილი, უკრაინის დასავლეთისა და სამხრეთის ოლქები — კიევისა და ჟიტომირის. ამ შეზღუდვის ფარგლებს გარეთ გასვლა სურთ ე.წ. გამაერთიანებელი კრებით, რომელზეც თავი უნდა მოიყარონ უკრაინის სხვა ოლქების იერარქებმაც“.

**გვერდი მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ**

გამოწვევა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუკი გეგმური გადასვლა იყო, რატომ შევიდნენ უკრაინული გემები რუსეთის ტერიტორიულ წყლებში? თანაც, როგორც გაირკვა, სწორედ იმ აკვატორიაში მოხდა მათი დაკავება, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა ჯერ კიდევ ყირიმის შეერთებამდე. ასე რომ, დარღვევა უკრაინული მხარის მიერ ერთმნიშვნელოვანია.**

# პროვოკაცია ქერჩის სრუტეში და საქართველოს ინტერესები

**დაძაბულობის მორიგი ესკალაცია რუსეთსა და უკრაინას შორის, რომელიც მაშინვე აისახა გლობალურ პოლიტიკაზეც, უკრაინის სამხედრო გემების მიერ ქერჩის სრუტეში აზოვის ზღვის მიმართულებით სვლას მოჰყვა. მივყვეთ მოვლენების ქრონოლოგიას (ბრიტანული „ბი-ბი-სის“ მიხედვით):**



25 ნოემბრის დილას უკრაინის მცირე ჯავშანკატარღებმა „ბერდიანსკმა“ და „ნიკოპოლმა“, ბუქსირ „იანი კაპუს“ თანხლებით, წამოიწყეს გადასვლა ოდესიდან მარიუპოლის მიმართულებით. ქერჩის სრუტეში მათ შეხვდნენ რუსული სასაზღვრო გემები, რომელთაგან ერთ-ერთმა უკრაინული ბუქსირი გატარნა. რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახური ამტკიცებს, რომ უკრაინულმა გემებმა გადაკვეთეს რუსეთის სახელმწიფო საზღვარი და უკანონოდ შევიდნენ დროებით დახურულ აკვატორიაში. უკრაინის საზღვაო-სამხედრო ძალებში კი ამბობენ, რომ მათ რუსული მხარე წინასწარ გააფრთხილეს გადასვლის შესახებ.

საღამოს ჯერ უკრაინამ, შემდეგ რუსეთმა გაავრცელეს ცნობა, რომ უკრაინულ კატარღებს რუსებმა ესროლეს და დააკავეს. რუსული მხარე ამტკიცებს, რომ უკრაინელი მეზღვაურები არ დაემორჩილნენ მესაზღვრეების მოთხოვნას და რუსულ ტერიტორიულ წყლებში განაგრძობდნენ უკანონო ქმედებებს, სახიფათო მანევრებს.

როგორც გაირკვა, **უკრაინულ გემებზე 23 სამხედრო იმყოფებოდა, რუსებმა ყველანი დააკავეს და სასამართლოს წინაშე წარადგინეს საზღვრის დარღვევისთვის. ამასთანავე, 3 უკრაინელი დაიჭრა და აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.** ყოველივე ზემოთქმული იწვევს რიგ შეკითხვებს. პირველი — რა მიზნით წამოვიდა 3 უკრაინული კატარღა აზოვის ზღვის მიმართულებით? „ბი-ბი-სი“, უკრაინელებზე დაყრდნობით, ამბობს, რომ ეს „გეგმური“ გადასვლა იყო, მაგრამ აქვე ჩნდება მეორე კითხვა — **თუკი გეგმური გადასვლა იყო, რატომ შევიდნენ უკრაინული გემები რუსეთის ტერიტორიულ წყლებში? თანაც, როგორც გაირკვა, სწორედ იმ აკვატორიაში მოხდა მათი დაკავება, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა ჯერ კიდევ ყირიმის შეერთებამდე. ასე რომ, დარღვევა უკრაინული მხარის მიერ ერთმნიშვნელოვანია.** ესეც არ იყოს, რაღა 25 ნოემბერს მოეპრიანათ რუსებს უკრაინული გემების დაკავება, თუკი ისინი „გეგმიურად“ მოძრაობდნენ ამ ხნის განმავლობაში შავი ზღვიდან აზოვის ზღვისკენ და პირიქით? განა რა კონკრეტული სარგებელი უნდა ენახა რუსეთს ამ ინციდენტიდან?!

მოტივი, რომ ვითარება დაიძაბოს, უფრო უკრაინის ხელისუფლებას აქვს, უკრაინაში ხომ 2019 წლის გაზაფხულზე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია ჩასატარებელი... პრეზიდენტმა **პოროშენკომ,** ქერჩის სრუტეში მომხდარი ინციდენტის შემდეგ არც აცია, არც აცხელა და ქვეყანაში საომარი მდგომარეობა შემოიღო 30 დღის ვადით, რომელიც პარლამენტმა გარკვეული ვნებათაღელვის შემდეგ დაამტკიცა. უკრაინის ხელისუფლებას მწვავე რეაქცია ჰქონდა ინციდენტზე და, პრაქტიკულად, დაუყოვნებლივ მიმართა როგორც დასავლეთს (ეს ტრადიციული ჟესტია), ისე თურქეთის ხელისუფლებას. თურქეთისგან პრეზიდენტი პოროშენკო ითხოვს, რუსულ გემებს აეკრძალოთ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით სარგებლობა იმ მოტივით, რომ ქერჩის სრუტეში ინციდენტის შემდეგ რუსულმა მხარემ, სრუტე უსაფრთხოების მიზნით რამდენიმე დღით ჩაკეტა. უკრაინის ხელისუფლების პროვოკაციული განწყობა ამ ფაქტიდანაც ჩანს, ვინაიდან მას უკვე გათვლილი ჰქონდა ინციდენტის შემდგომი დიპლომატიური ნაბიჯები. პოროშენკომ ისიც თქვა, რომ საომარი ვითარების გამოცხადება არ გულისხმობს უკრაინის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო ქმედებების განხორციელებას. როგორც იტყვიან, ჭკუა ეყო! მაგრამ, მეორე მხრივ, **გაუგებარია, რისთვის აცხადებ საომარ ვითარებას, როცა ომი არ შეგიძლია — რატომ აგზავნი სამხედრო გემებს და რატომ აგდებ შენსავე სამხედრო პირებს საფრთხეში? ხომ შეიძლებოდა, რუსეთის მესაზღვრეებს ჩაეძირათ საზღვრის დამრღვევი გემები?** საბედნიეროდ, რუსეთის ხელისუფლება არ იღებს აფექტურ და ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, სამხედროები კი მაღალ პროფესიონალიზმს ავლენენ. სამი უკრაინელი მეზღვაური, გავრცელებული დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ, მსუბუქად დაშავდა — ისინი არ არიან დაჭრილი რუსების მიერ ნასროლი ტყვიებით. როგორც ქერჩის საქალაქო საავადმყოფოში გაირკვა, ერთ მათგანს მხარი ნამსხვრევებისგან აქვს დაზიანებული, მეორეს – მაჯა, ხოლო მესამეს — ბარძაყის რბილი ქსოვილი. ერთი სიტყვით, „დიდი არაფერი“ მომხდარა. ყველა უკრაინელი მეზღვაური წარდგება რუსული სასამართლოს წინაშე, რადგან ამას მოითხოვს კანონი და ფორმალური პროცედურები.

**უკრაინელი სამხედროების დაკავება საბაბი შეიქნა აშშ-ის ადმინისტრაციისთვის, რომ პრეზიდენტ ტრამპს უარი ეთქვა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან დაგეგმილ შეხვედრაზე არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, სადაც მსოფლიოს 20 განვითარებული ქვეყნის ლიდერები შეიკრიბნენ. რუსეთის ადმინისტრაციის პასუხი ამ ფაქტზე დამცინავი იყო: „რუსეთის პრეზიდენტს დამატებით ორიოდე საათი გამოუთავისუფლდა სასარგებლო შეხვედრების ჩასატარებლად“, — აღნიშნა ვლადიმერ პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა ჟურნალისტებთან**

**უკრაინელი სამხედროების დაკავება საბაბი შეიქნა აშშ-ის ადმინისტრაციისთვის, რომ პრეზიდენტ ტრამპს უარი ეთქვა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან დაგეგმილ შეხვედრაზე არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, სადაც მსოფლიოს 20 განვითარებული ქვეყნის ლიდერები შეიკრიბნენ. რუსეთის ადმინისტრაციის პასუხი ამ ფაქტზე დამცინავი იყო: «რუსეთის პრეზიდენტს დამატებით ორიოდე საათი გამოუთავისუფლდა სასარგებლო შეხვედრების ჩასატარებლად» — აღნიშნა ვლადიმირ პუტინის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა**

**საუბარში.** მართლაც, უკვე მომაბეზრებელია ამერიკის პოლიტიკური ბომონდის შიდა დაპირისპირება და საკუთარი პრეზიდენტის დიპლომატიური აქტიურობის შებოჭვა. მეტიც, ამერიკის პრეზიდენტს რიგ შემთხვევებში არ ეძლევა საშუალება, განახორციელოს სახელმწიფოს ინტერესები და იგი ანგარიშს უწევს გლობალისტური ძალების მიერ ინიცირებულ ისტერიკულ ანტირუსულ კამპანიას. ამ კამპანიის შედეგებს ჩვენც ვიმკით, საქართველოში, როდესაც ვუყურებთ გაუბედურებულ „ქოცებს“, ოღონდ კი „ნაცებმა“ არ გამოიჭირონ „პრორუსულობაში“ და ნებისმიერ ბრიყვულ განცხადებას მოაწერენ ხელს — საქართველოსთვის საზიანოს.

**ასე უპასუხისმგებლოდ მოიქცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი, რომელმაც, ვგონებ, ლიეტუვასაც კი დაასწრო და პირველმა შეაფასა რუსეთის ქმედებები ქერჩის სრუტეში „უკანონოდ“. არადა, მინისტრს მეტი ტაქტი და დაფიქრება მართებს, თუკი იგი საკუთარი ქვეყნის ინტერესების მიხედვით მოქმედებს. უკრაინის მხარდაჭერა ამ ინციდენტში საქართველოს არაფერს აძლევს, რადგან თვით დასავლეთის სახელმწიფოები, იმავე აშშ-ის ჩათვლით, ასე ერთმნიშვნელოვნად არ აფასებენ ვითარებას.** გავიმეორებ: ტრამპმა პუტინთან შეხვედრაზე უარი იმიტომ განაცხადა, რომ უკრაინელი სამხედროები მყისვე არ გაათავისუფლეს, მაგრამ მას არ შეუფასებია რუსეთის სასაზღვრო ჯარის ქმედებები. „ვაშინგტონ პოსტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აშშ-ის პრეზიდენტმა თქვა, რომ შეფასებების გასაკეთებლად იგი დაელოდება ეროვნული უშიშროების საბჭოს სრულ დასკვნას ქერჩის სრუტეში მომხდარ ინციდენტზე. გარდა აშშ-ის პრეზიდენტისა, ზომიერი პოზიცია დაიკავეს ევროპელებმაც. მაგალითად, გერმანიის კანცლერმა **მერკელმა** პრეზიდენტ პუტინთან სატელეფონო საუბარში აღნიშნა, რომ იგი ემხრობა ინციდენტის გაანალიზებას რუსი და უკრაინელი სასაზღვრო ექსპერტების მონაწილეობით და თავად მჭიდრო კონტაქტში იქნება რუსეთის პრეზიდენტთან. თუნდაც ამ და სხვა ფაქტების გათვალისწინებით, **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და მთლიანად ხელისუფლება უნდა მოერიდონ რუსეთთან ვითარების გამწვავებას, განსაკუთრებით შავ ზღვაზე, ვინაიდან შავი ზღვა ჩვენთვის სავაჭრო და სატრანზიტო თვალსაზრისით გადამწყვეტი მიმართულებაა და ნებისმიერი გართულება პირდაპირ დაარტყამს საქართველოს ეკონომიკას.** საქართველომ, უკვე კარგა ხანია, შეწყვიტა თურქული სავაჭრო ხომალდების დაკავება, რომლებიც უკანონოდ მოძრაობენ და ვაჭრობენ აფხაზეთთან. შესაძლოა, ეს სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ იგი ასახავს იმ უმწეო ვითარებას, რომელშიც საქართველო იმყოფება. ამ დროს კი ხალხს მასმედიიდან არწმუნებენ, თითქოს ჩვენ კავკასიის ლიდერი სახელმწიფო ვართ და ლამის სრულიად მსოფლიო ჩვენ გარშემო ტრიალებს... **მოკლედ, რუსეთის დიპლომატიური გამოწვევა შავ ზღვაზე (ომზე საერთოდ არ ვლაპარაკობ) ჩვენი ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება.**

**უპასუხისმგებლოდ მოიქცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ზალკალიანი, რომელმაც, ვგონებ, ლიეტუვასაც კი დაასწრო და პირველმა შეაფასა რუსეთის ქმედებები ქერჩის სრუტეში «უკანონოდ». არადა, მინისტრს მეტი ტაქტი და დაფიქრება მართებს, თუკი იგი საკუთარი ქვეყნის ინტერესების მიხედვით მოქმედებს. უკრაინის მხარდაჭერა ამ ინციდენტში საქართველოს არაფერს აძლევს, რადგან თვით დასავლეთის სახელმწიფოები, იმავე აშშ-ის ჩათვლით, ასე ერთმნიშვნელოვნად არ აფასებენ ვითარებას**

ანაკლიის პორტი ავიღოთ. რუსეთთან ვითარების დაძაბვა წყალში ჩაყრის ამდენ ინვესტიციას და ტაშ-ფანდურს, რომელიც ამ ჯერ დაუსრულებელ პროექტში დაიხარჯა. ანაკლია ზედ აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე მდებარეობს. რუსეთი შავი ზღვის ამ მხარეში ერთმნიშვნელოვნად ბატონობს თავისი შავი ზღვის ფლოტით. რუსეთს ბოლო პერიოდში ძალზე ინტენსიური ურთიერთობები აქვს თურქეთის ხელისუფლებასთან. მართალია, თურქეთი არ ცნობს ყირიმს რუსეთის ნაწილად (თავისი ისტორიული ფესვები აქვს თურქეთს ყირიმში და იმიტომ), მაგრამ ანკარა თანამშრომლობს მოსკოვთან ენერგეტიკის სფეროში და ამ თანამშრომლობას სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. „თურქული ნაკადის“ ამოქმედება შექმნილ ვითარებას განამტკიცებს. ყოველ შემთხვევაში, თურქეთი, შავი ზღვის მეორე „ბატონი“, არანაირ დახმარებას არ გაუწევს საქართველოს რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში. რუმინეთი და ბულგარეთი ხომ, საერთოდ, არ წარმოადგენს სერიოზულ ფაქტორს. რაც შეეხება აშშ-ს, იგი ისევ თურქეთზე იქნება დამოკიდებული, შემოვა მისი გემები შავ ზღვაში თუ არა. ესეც არ იყოს, ამერიკას არც იმის დიდი სურვილი ექნება, რეალური დახმარება გაუწიოს საქართველოს. ევროპასთან ერთად, აშშ-ც „შეშფოთდება“ და ჩვენ ისევ მარტო დავრჩებით რუსეთის წინაშე, როგორც 2008 წელს.

**გულბაათ რცხილაძე**

**ნურსულთან ნაზარბაევი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს და რომელმაც შემდგომ სავსებით დამსახურებულად მიიღო ერის ლიდერის სტატუსი, ავტორია დამოუკიდებელი ყაზახეთის რესპუბლიკისა. მისი დაუღალავი შრომის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ყაზახური საზოგადოება, ეკონომიკა, თვით სახელმწიფოებრიობა; დამტკიცდა ამ სახელმწიფოს საზღვრები, რომლებიც ქვეყანას უწინ არც არასოდეს ჰქონია... ყოველივე ეს მოახერხა ერთმა ადამიანმა, ამჟამინდელმა ლიდერმა ნაზარბაევმა.**

ყოფილ სსრკ-ში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრეზიდენტის პოსტის მნიშვნელობა ყაზახეთის სახელმწიფოებრიობისთვის

**დამოუკიდებელ ყაზახეთში პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნის დღედ დამსახურებულად მიიჩნევა 1991 წლის 1 დეკემბერი. სწორედ ამ დღეს რესპუბლიკაში, რომელიც უკვე თითქმის სუვერენული იყო, ჩატარდა პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნები. იმ მომენტისთვის უკვე მოქმედმა სახელმწიფოს მეთაურმა ნურსულთან ნაზარბაევმა ხმათა 98,7% მოაგროვა. ათი დღის შემდეგ პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ყაზახეთის სსრ-ის სახელწოდების ყაზახეთის რესპუბლიკად შეცვლის შესახებ, 16 დეკემბერს კი უმაღლესმა საბჭომ ყაზახეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მაშასადამე, ყაზახეთში, რომელიც უკვე ფლობდა ფაქტობრივ სუვერენიტეტს, ჯერ ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები, დამოუკიდებლობა კი ოფიციალურად გამოცხადდა ოდნავ მოგვიანებით — პრეზიდენტის საყოველთაოდ არჩევის შემდგომ.**



**2012 წლიდან ყაზახეთში ყოველწლიურად აღინიშნება პირველი პრეზიდენტის დღე. ეს არის პატივისცემისა და ხსოვნის გამოხატულება მოვლენისადმი, რომელიც ყაზახური სახელმწიფოს მატიანეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია; მოვლენისადმი, რომელიც ყაზახეთის სახელმწიფოსა და დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე მოხდა. ამომრჩეველთა თითქმის ასი პროცენტით არჩეული ნაზარბაევი შეუდგა შორ და ეკლიან გზაზე სვლას. ეს გზა აღმოჩნდა წარმატებული, ხალხმა გამოავლინა უდიდესი ნდობა და გააკეთა გადამწყვეტი არჩევანი ძლიერი და აყვავებული ქვეყნის სასარგებლოდ**

ისტორიულად ყაზახეთი არასოდეს ყოფილა იერარქიულად აგებული სახელმწიფო, ყაზახები არასოდეს ემსახურებოდნენ ტირანებს. ისტორიის მსვლელობამ განაპირობა ყაზახთა მენტალობა — შრომისმოყვარე, არააგრესიული, მშვიდობიანი, ღირსეული, ნიჭიერი ხალხი, რომელსაც აქვს დიდი მიღწევები მხატვრულ ქანდაკებაში, კერვაში, სამხედრო საქმეში, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებასა და ცხოვრების კიდევ ბევრ სხვა სფეროში. ისტორია ყაზახეთში ლიდერობის ხასიათის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. **ნურსულთან ნაზარბაევი** არის შინაგანად დემოკრატიული ადამიანი, როგორც ეს ნამდვილ ყაზახს შეჰფერის; მისი შინაგანი დემოკრატიულობა დიდწილად აისახა ახალი ყაზახეთის ჩამოყალიბების პროცესზე, მისი სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემით. ყაზახეთი მუსლიმურ სამყაროსა და სრულიად აზიაში სამაგალითო დემოკრატიას წარმოადგენს.

ყაზახები გაჯერებულნი არიან თავისუფლების სულისკვეთებით. ამ ხალხის წინაპრები, შესაძლოა, დედამიწაზე პირველი ადამიანები იყვნენ, რომლებმაც ცხენები მოიშინაურეს. მხედრები, მეცხენეები – თავისუფლების ადამიანები არიან; მებრძოლნი, მაგრამ არააგრესიულნი; ამაყნი, მაგრამ არა ამპარტავანნი. დღემდე სწორედ ასეთია ყაზახების ხასიათი. ამ ხასიათისა და სულისკვეთების შენარჩუნება და გამყარება სურს ერის ლიდერ ნაზარბაევს ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, მოდერნიზაციის გზაზე. თავის სტატიაში „დიდი სტეპის შვიდი ზღვარი“ ნაზარბაევი სწორად შენიშნავს: „დროშის მპყრობელი მხედრის გამოსახულება გმირული ეპოქის ყველაზე უფრო ცნობილი ემბლემაა და, ამასთანავე, იგი წარმოადგენს მომთაბარე სამყაროს „კულტურულ კოდს“, რომლის ფორმირება დაკავშირებულია მხედრობის წარმოშობასთან. საავტომობილო ძრავების სიმძლავრე დღემდე ცხენის ძალებით გაიზომება. ეს ძველი ტრადიცია იმ დიდი ეპოქისადმი ხარკია, როდესაც დედამიწაზე მხედარი ბატონობდა“.

**2012 წლიდან ყაზახეთში ყოველწლიურად აღინიშნება პირველი პრეზიდენტის დღე. ეს არის პატივისცემისა და ხსოვნის გამოხატულება მოვლენისადმი, რომელიც ყაზახური სახელმწიფოს მატიანეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია; მოვლენისადმი, რომელიც ყაზახეთის სახელმწიფოსა და დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე მოხდა. ამომრჩეველთა თითქმის ასი პროცენტით არჩეული ნაზარბაევი შეუდგა შორ და ეკლიან გზაზე სვლას, ეს გზა აღმოჩნდა წარმატებული, ხალხმა გამოავლინა უდიდესი ნდობა და გააკეთა გადამწყვეტი არჩევანი ძლიერი და აყვავებული ქვეყნის სასარგებლოდ.**

პრეზიდენტობის ინსტიტუტის დამსახურებაა, რომ ყაზახეთმა შეძლო, აეშენებინა ახალი, მანამდე უცხო, მაგრამ თავისი ეპოქის შესაბამისი საბაზრო ეკონომიკა. შეიქმნა მინისტრთა კაბინეტი, ხოლო მაშინდელი უმაღლესი საბჭო გადაკეთდა ამჟამინდელ ორპალატიან პარლამენტად. შემდგომ გამოჩნდა ყაზახეთის ხალხის ასამბლეა და ბევრი სხვა, რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვანი სტრუქტურა. ქვეყანა გადავიდა მართვის ახალ, მეტად საჭირო და ეფექტიან სისტემაზე.

იმისათვის, რომ ყოველივე ეს შესაძლებელი ყოფილიყო, გატარდა კარდინალური გარდაქმნები; კერძოდ, თვით საპრეზიდენტო მართვის ფორმაზე გადასვლა. ეს ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი აღმოჩნდა, რომ მისი გააზრება შესაძლებელია ყაზახეთის უახლესი ისტორიის კონტექსტში, როდესაც იშლებოდა საბჭოთა კავშირი. ჩინელებს აქვთ ერთი ასეთი ბრძნული გამონათქვამი: „ღმერთმა დაიფაროს, გარდაქმნის ეპოქაში დაიბადო“. 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ყველგან **გორბაჩოვის** მიერ ინიცირებული „პერესტროიკა“ გაბატონდა, მრავალმილიონიანი ქვეყანა მათხოვრის მდგომარეობაში აღმოჩნდა. აბსოლუტურად ყველაფერი დეფიციტად იქცა, ადამიანები კილომეტრებიან რიგებში იდგნენ და ელოდნენ მაღაზიებში პურის, რძის, შაქრისა და ზეთის გამოჩენას. მილიონობით ადამიანი დადიოდა ქვითრებით, ბარათებითა და ჩეკებით და ამაოდ ოცნებობდა ელემენტარულ ყოფით ნივთებზე.

მაგრამ **უფრო საშინელი იყო ის, რომ ხალხმა არ იცოდა, რას უქადდა ხვალინდელი დღე. იმჟამინდელი მოვლენების მოწმეები იხსენებენ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აგონიაში იყო, სახელმწიფო კი უპატრონოდ მიტოვებული გემს ჰგავდა, რომელსაც ჩაძირვა ელოდება. საჭირო იყო ადამიანი, პიროვნება, რომელსაც შეეძლო, ეს გემი გადაერჩინა თავისი ახალი მიდგომებით, მართვის პრინციპებით, მაგრამ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ასეთი ადამიანი არ გამოჩნდა და მანამდე ძლევამოსილი სსრკ ჩაიძირა კიდეც.**

ამ მომენტამდე არც ისე დიდი ხნით ადრე, 1990 წლის მარტში, დაფუძნდა სსრკ პრეზიდენტის თანამდებობა, რომელიც დაიკავა „პერესტროიკის“ ავტორმა მიხეილ გორბაჩოვმა. იმავე წლის აპრილში ანალოგიური თანამდებობა შემოიღეს ყაზახეთში. პრეზიდენტის ახალი სტატუსით, თავის ძველ პოსტზე აირჩიეს ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნურსულთან ნაზარბაევი. ამასთანავე, საწყის ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ტოტალიტარიზმი და ცენტრისადმი მორჩილება



**საქართველოში არ გვყავს და არც გვყოლია პრეზიდენტის ამგვარი «მამობრივი» ტიპი, პირიქით, პრეზიდენტის თანამდებობა საქართველოში თავიდანვე იქცა კონფრონტაციისა და დამღუპველი პოლიტიკური ქიშპის წყაროდ. მიუხედავად ამისა, სულაც არ გვწყინს და პირიქით, გვიხარია, ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი საპრეზიდენტო რესპუბლიკის წარმატებები, რომელსაც სათავეში უდგას უნიჭიერესი ადამიანი — ნურსულთან ნაზარბაევი!**

საბჭოეთში თითქმის უკვე დასრულდა, ახალგამომცხვარი პრეზიდენტის ძალაუფლება საკმაოდ შეზღუდული, ფაქტობრივად, ფორმალური იყო.

და აი სწორედ ამ მომენტში ნურსულთან ნაზარბაევი დგამს თავის ისტორიულ და ერთადერთ სწორ ნაბიჯს. როგორც მოქმედი სახელმწიფო მეთაური, რომელიც 1990 წლის აპრილში აირჩია უმაღლესმა საბჭომ და რომელსაც კიდევ ოთხი წლით ჰქონდა უფლებამოსილება, სავსებით გაცნობიერებულად აცხადებს პრეზიდენტის საყოველთაო-სახალხო არჩევნებს, პრეზიდენტის ინსტიტუტის გამყარების მიზნით, რაც ამავე დროს, ყაზახეთისთვის უფრო ღრმა კრიზისისა და სულაც გაჩანაგების თავიდან აცილებას ნიშნავდა. ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მამაც პოლიტიკოსებს შეუძლიათ. საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა და სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო უმაღლესი ლეგიტიმურობა ხალხის მხრიდან, ნაცვლად უსახური დეპუტატებისა. როგორც აღვნიშნეთ, ეს ფაქტი 1991 წლის 1 დეკემბერს მოხდა.

პრეზიდენტობის ჩამოყალიბების პროცესი ყაზახეთში წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. საპრეზიდენტო რესპუბლიკა იურიდიულად გაფორმდა 1995 წლის კონსტიტუციის მიღებით, თუმცა რეალურად ყაზახეთი 1993 წლის ბოლოს, უმაღლესი საბჭოს თვითდაშლის შემდეგ, უკვე ფაქტობრივად ასეთს წარმოადგენდა, როდესაც ვადა გაუვიდა საბჭოთა პერიოდში არჩეული სახალხო დეპუტატების ამ კრებულს.

**ნურსულთან ნაზარბაევი, რომელიც აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად და რომელმაც შემდგომ სავსებით დამსახურებულად მიიღო ერის ლიდერის სტატუსი, ავტორია დამოუკიდებელი ყაზახეთის რესპუბლიკისა. მისი დაუღალავი შრომის შედეგად ჩამოყალიბდა ახალი ყაზახური საზოგადოება, ეკონომიკა, თვით სახელმწიფოებრიობა, დამტკიცდა ამ სახელმწიფოს საზღვრები, რომლებიც ქვეყანას უწინ არც არასოდეს ჰქონია... ყოველივე ეს მოახერხა ერთმა ადამიანმა, ამჟამინდელმა ლიდერმა ნაზარბაევმა.**

საქართველოში არ გვყავს და არც გვყოლია პრეზიდენტის ამგვარი „მამობრივი“ ტიპი, პირიქით, პრეზიდენტის თანამდებობა საქართველოში თავიდანვე იქცა კონფრონტაციისა და დამღუპველი პოლიტიკური ქიშპის წყაროდ. მიუხედავად ამისა, სულაც არ გვწყინს და პირიქით, გვიხარია, ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი საპრეზიდენტო რესპუბლიკის წარმატებები, რომელსაც სათავეში უდგას უნიჭიერესი ადამიანი, ნურსულთან ნაზარბაევი.

**გულბაათ რცხილაძე**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება – იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა.

# «ილიას გაკვეთილებიდან» «ღიმილიან საქართველომდე»

## საზოგადოება, რომელიც ხელისუფლებას ნაცბანდის საბოლოოდ დასამარებაში დაეხმარა, სიახლეების მოლოდინშია

**საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში „ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატის გამარჯვებამ თვალნათლივ დაანახვა ხელისუფლებას, რომ ქართველმა ერმა, სრულიად საქართველომ „ქართულ ოცნებას“ ნდობის გამოცხადებით კიდევ ერთხელ მისცა შანსი ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესასრულებლად, რადგან სჯერა, რომ „ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა“ და რომ „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება... რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება“.**

**ეს დღეებია, 28 ოქტომბერს გამარჯვების სიხარულით გაცისკროვნებულ ღიმილიან სახეებს ტელეეკრანებზე უმზერს მთელი საქართველო, ამომრჩეველი, რომელმაც თავისი მისია შეასრულა და ახლა ელოდება, ახალი გზის სათავესთან მდგომი ხელისუფლება როდის აღირსებს „ღიმილიან საქართველოს“, როგორც საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვებულმა კანდიდატმა ბრძანა. საზოგადოება, რომელიც ხელისუფლებას ნაცბანდის საბოლოოდ დასამარებაში დაეხმარა, სიახლეების მოლოდინშია.**

**წამმზომი ჩართულია!**

**„ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“, — დიდი ილიას ეს სიტყვები და საერთოდ, მისი ნააზრევი კარგი გზამკვლევია საქართველოს ნათელი მომავლის ასაშენებლად, თუ, რა თქმა უნდა, მის შეგონებებს ყურად იღებს და გაითვალისწინებს ქვეყნის მმართველი ძალა, რომელიც ადრეც არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ ილიას გზით მიდიოდა, თუმცა საკმაოდ ასცდა მას.**

**ვფიქრობთ, „ილიას გაკვეთილები“ არა მხოლოდ მმართველ ძალას, არამედ თითოეულ მოქალაქეს ჩვენი ქვეყნისას კარგ სამსახურს გაუწევს „ღიმილიანი საქართველოს“ აშენებაში. მაშ, ყური ვუგდოთ ერის მამას:**

ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველიფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან. რაც გუშინ კაცს ჰგონებია დაურღვეველ ჭეშმარიტებად, რისთვისაც უცია პატივი, როგორც მოუცილებელ საჭიროებისათვის, ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ის დღეს გაუთლელ შეცდომად მიგვაჩნია, ასე რომ, კიდეც გვიკვირს, ადრინდელს კაცს როგორა სწამდა ამისთანა ცხადი სისულელე დაურღვეველ ჭეშმარიტებად, როგორ არა ჰქონია იმოდენა გონიერება და მხედველობა, რომ გაერჩივა თეთრი და შავი, შავისათვის შავი დაერქმია, თეთრისათვის – თეთრი. ეს ასე მოხდება ხოლმე განა იმისაგან, რომ ჩვენ ადრინდელებზედ ჭკვიანები ვართ, „სხვა სხვის ომში ბრძენიაო“, ამბობს რუსთაველი. ჩვენ რომ ამ თავმოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით და იმ ადრინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს ეგრე თავმოწონებით დავსცინით. დიდი გენიოსი უნდოდა და იმისი მახვილის ჭკვის თამამი გამჭვრეტელობა, რომ მსჯელობით დროებაზედ მაღლა ავმართულიყავით, საზოგადო ცხოვრების წრის გარეთ გამდგარიყავით და გარემოების თვალთდამაბნელებელ ხაოსშია შეუმცდარად, წმინდა აზრით დაგვენახა საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს. რუსთაველმა ძალიან ადრე სთქვა, რომ **მარტო ბრძენი საწუთროს ეურჩებაო, სხვანი კი იმის მონები არიან**. იმ დროების გარემოების მოწყობილობა, აზრი, გამსჯელობა, — ერთობ ცხოვრების მდინარეობა ჩვენისთანა ჩვეულებრივ კაცსა ჩააყენებდა საზოგადო რუს ღმულში და წაიღებდა თან, რაც უნდა ძლიერ ცდილიყო თავის შემაგრებასა. **ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამითი ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებულია.** ის თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია, ე.ი. ცხოვრების შიგ-მდებარებასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავალისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილში ამოუგდია ზედაპირზედა, — ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს.

**ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკვდავება უნდა.** ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორათაც ბუნებასა. მაცხოვნებელია პირველი ქროლა გაზაფხულის პირველის დილისა, მაშინ ცა და ქვეყანა ერთიერთმანეთს შეჰხარიან; უფრო მაცხოვნებელია პირველი ქროლა ახალის ცხოვრებისა — ეგ ახლად დაბადებულის ყრმისა, რომელსაც ძველი ცხოვრება ისე უნდა შეჰხაროდეს, როგორც ძუძუმძლეველი დედა შეჰხარის ახალ-გაღვიძებულს ბავშსა. გული სხვარიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვა-რიგადა სცემს მაშინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, რომ ჭკნება, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიული ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი, თუ რომ ცხოვრების ვითარების და გარემოების გავლენა ადრე და მალე არ დაუხლართავს გზასა და ზრდას არ დაუშლის. მაგრამ ესეც კია სანუგეშო, რომ როგორი დარიც უნდა დაუდგეს მაგ ყვავილსა, თუკი ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი. **ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ, რომ, გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი, — ამასთანაც დაუქცეველი, მარად მყოფი სალაროცა აქვს — მეცნიერება და ხელოვნება სადაც ისინი ინახებიან.** მაგ ცხოველს იმედს, რომელიც განგებას მოუვლინებია კაცობრიობისათვის, რომ ზედ დაერთოს ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა — შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!.. **ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა — ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და ალიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ.**

**რა აახლებს, რა სცვლის და, თუ ცხოვრება ჯანმრთელია, რას მიჰყავს წინ?** ცოდნასა, მეცნიერებასა, რომელნიც თვითვე ცხოვრების ნაყოფნი არიან.

„ხე ცხოვრებისა, — ამბობს ერთი ჩვენის დროების ფილოსოფოსი, — და ხე ცნობადისა ერთს ძირზედ ამოდიან; მხოლოდ იმათი აღყვავება სხვადა-სხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჭკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი და ამ ნაყოფის თესლი წარმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა“.

ამ მოსწრობილს და, ჩვენის ფიქრით, ძლიერ მართალ შედარებაში მშვენივრად არის გამოთქმული დამოკიდებულება ცხოვრებისა ცნობიერებაზედ და მეცნიერებაზედ. ჩვენ ვეცდებით, უფრო გავაადვილოთ ამ დამოკიდებულების გაგება...“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863 წ. №1



«არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარეობაში, რაც თავის დაუდგრომელ დუღილში ამოუგდია ზედაპირზედა, — ამიტომაც ხანდისხან ამას უფრო იქნება დაეტყოს თავისი დროების ნიშანი ყველაფრისა: ცუდისა, თუ კარგისა, ვიდრე მას, ვინც დაიბადება ხოლმე მარტო იმისათვის, რომ უხეიროდ მოკვდეს»

«ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა — ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და ალიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ»

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲡ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲡᲑᲐᲮᲔᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ. ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲞᲘᲙᲔᲠᲛᲐ ᲘᲝᲐᲜᲐ ᲙᲝᲞᲩᲘᲜᲡᲙᲐᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ ᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ „ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲨᲨ-Ს ᲙᲕᲚᲐᲕ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲤᲣᲭᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ“.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲔᲓᲘᲓᲣᲠᲝᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲗᲛᲘᲐᲜ

## ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲥᲔᲓᲛᲐᲚᲦᲣᲠᲘ ᲢᲝᲜᲘᲗ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲔᲑᲡ

**პოლონეთში გრძელდება სკანდალი აშშ-ის ელჩ ჯორჯეტ მოსბახერის მონაწილეობით. რამდენიმე დღის წინათ პოლონელმა პოლიტიკოსებმა პრეტენზიები გამოთქვეს ამერიკელი დიპლომატის მიმართ, რომ ის პატივს არ სცემს პოლონელ ერს. საპასუხოდ მოსბახერმა პოლონეთის პრემიერმინისტრ მათეუშ მორავეცკის გაუგზავნა წერილი, რომელიც, როგორც მასმედიის წარმომადგენლები აღნიშნავენ, დაწერილია „ქედმაღლური ტონით“.**



კონფლიქტის წინა ისტორია ასეთია: პოლონეთში მუშაობს პროამერიკული ტელეარხი TVN24, რომელიც ეკუთვნის ამერიკულ მედიაგიგანტ Discovery-ის. 2018 წლის დასაწყისში ტელეარხმა ეთერში გაუშვა სამხედრო დამნაშავე **ᲐᲓᲝᲚᲤ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ** დაბადების დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიების სიუჟეტი პოლონეთში.

2017 წლის აპრილში პროვოკაცია მოაწყო ქალაქ ვოძისლავ-სლიონსკის დაჯგუფება „სიამაყე და თანამედროვეობამ“. ვერმახტის ფორმებში გამოწყობილი ნეონაცისტები ტყეში მღეროდნენ მესამე რაიხისდროინდელ სამხედრო მარშებს, სვამდნენ „ჰიტლერისა და საყვარელი სამშობლო პოლონეთის“ სადღეგრძელოებს, მიირთმევდნენ ნაცისტური სიმბოლოებით მორთულ ტორტსა და ნამცხვრებს, ბოლოს კი ფიცრებისგან შეკრული საკმაოდ დიდი სვასტიკისგან ცეცხლი ააგიზგიზეს.

სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ პოლიციამ დააპატიმრა 7 ადამიანი ნაციზმის რეაბილიტაციის მცდელობის ბრალდებით. სისხლის სამართლის დევნის ობიექტები აღმოჩნდნენ TVN-ის ჟურნალისტებიც. კინოდოკუმენტალისტი **ᲞᲔᲢᲠᲔ ᲕᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘ,** რომელიც ნეონაცისტების ბანაკში იყო ჩანერგილი და რომელმაც ფილმი გადაიღო, ნაციზმის პროპაგანდაში დაადანაშაულეს. სწორედ ჟურნალისტებისთვის წაყენებული პრეტენზიები იყო პოლონეთში აშშ-ის ელჩის, **ᲯᲝᲠᲯᲔᲢ ᲛᲝᲡᲑᲐᲮᲔᲠᲘᲡ,** კრიტიკის საგანი.

ჯორჯეტ მოსბახერი თავდაპირველად გამოვიდა პოლონეთის პარლამენტში (სეიმი) მსუბუქი ულტიმატუმით და განაცხადა, რომ აშშ-ის კონგრესი „ძალიან პოზიტიურია პოლონეთის მიმართ“, მაგრამ თავისუფალ მედიაზე თავდასხმამ შეიძლება ყველაფერი გააფუჭოს. სანამ პოლონელი პოლიტიკოსები განიხილავდნენ დიპლომატის ნათქვამს, ის უფრო შორს წავიდა — მისწერა მკაცრი წერილი პოლონეთის პრემიერ **ᲛᲝᲠᲐᲕᲔᲪᲙᲘᲡ.** პორტალ Do Rzeczy-ის მონაცემებით, ელჩი „ქედმაღლური ტონით“ ითხოვს პოლონეთის კანონებში ცვლილებების შეტანას, რომელთა შედეგად პოლონეთში მოქმედი ამერიკული კომპანიები პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

პოლონეთის მთავრობაში ჯერჯერობით თავს იკავებენ მოსბახერის მიმართვის კომენტირებისგან. მთავრობის პრესსპიკერმა **ᲘᲝᲐᲜᲐ ᲙᲝᲞᲩᲘᲜᲡᲙᲐᲛ** მხოლოდ ის თქვა, რომ „პოლონეთსა და აშშ-ს კვლავ კარგი ურთიერთობა აქვს და მას ვერ გააფუჭებს ერთი ინციდენტი“.

**ᲯᲝᲠᲯᲔᲢ ᲛᲝᲡᲑᲐᲮᲔᲠᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ (ᲡᲔᲘᲛᲘ) ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲣᲛᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ «ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ», ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲛᲔᲓᲘᲐᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐᲛ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲐᲤᲣᲭᲝᲡ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ, ᲛᲝᲡᲑᲐᲮᲔᲠᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲨᲝᲠᲡ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ — ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲠᲐᲕᲔᲪᲙᲘᲡ ᲛᲙᲐᲪᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲐ. ᲞᲝᲠᲢᲐᲚ Do Rzeczy-ᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲔᲚᲩᲘ «ᲥᲔᲓᲛᲐᲚᲦᲣᲠᲘ ᲢᲝᲜᲘᲗ» ᲘᲗᲮᲝᲕᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲔᲑᲘ ᲞᲠᲘᲕᲘᲚᲔᲒᲘᲣᲠ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ**

# National Interest: ᲐᲨᲨ-Ს ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲢᲝᲨᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲩᲐᲤᲚᲐᲕᲓᲐ



**ამერიკული გამოცემა აღნიშნავს, რომ, კიევი სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში რომ ყოფილიყო, ვაშინგტონი იძულებული იქნებოდა, ჩართულიყო მისთვის აბსოლუტურად არასაჭირო ომში მოსკოვთან.**

წერილის ავტორ **ᲓᲣᲒ ᲑᲔᲜᲓᲝᲣᲡ** აზრით, აზოვის ზღვის აკვატორიაში მომხდარი ინციდენტი ხელს აძლევს მხოლოდ უკრაინის პრეზიდენტ **ᲞᲔᲢᲠᲔ ᲞᲝᲠᲝᲨᲔᲜᲙᲝᲡ,** რომელიც კარსმომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებში არ არის ფავორიტი.

**„ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲥᲔᲠᲩᲘᲡ ᲡᲠᲣᲢᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲔᲑᲣᲚ ᲛᲘᲡ ᲮᲘᲓᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲓᲐᲔᲡᲮᲐᲜ... ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲒᲕᲘᲛᲐᲠᲗᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲯᲝᲠᲯ ᲑᲣᲨᲛᲐ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲛᲐ ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲜᲘᲪᲐᲓᲐ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲕᲐᲡ ᲜᲐᲢᲝᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲜᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲣᲙᲘ ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-5 ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ ᲙᲘᲔᲕᲘ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲐᲓ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ“**, — ნათქვამია სტატიაში. ჟურნალისტი ბენდოუ დარწმუნებულია: უკრაინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი რომ ყოფილიყო, პოროშენკო შეეცდებოდა ომის პროვოცირებას ყირიმის დაბრუნების მიზნით და ამ ომში აშშ ავტომატურად იქნებოდა ჩათრეული, მაგრამ, მისი თქმით, ასეთ საომარ მოქმედებაში მონაწილეობის აუცილებლობა ვაშინგტონს ახლა არ აქვს, რადგან უსაფრთხოების გეგმის მიხედვით დასავლეთი კიევისადმი განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენს, უკრაინის პრობლემები კი საფრთხეს არავის უქმნის.

„ნატომ თავი ამოწურა და დღეს მისგან სარგებელი ძალიან ცოტაა. ამ ორგანიზაციამ ამერიკა შეიძლება ჩაითრიოს არასაჭირო ომში, რომელშიც ევროპელი მოკავშირეების უმრავლესობა არაფერს გააკეთებს, დაკვირვების გარდა. ამ ომიდან გამოსვლა გაცილებით რთული საქმეა, ვიდრე მასში ჩართვა. დროა, ვაშინგტონმა შეწყვიტოს ალიანსის გაფართოება მასში ახალი წევრების მიღების ხარჯზე, რომლებიც მისთვის ზედმეტ ტვირთს წარმოადგენს უსაფრთხოების კუთხით“, — წერს დუგ ბენდოუ.

**«ᲜᲐᲢᲝᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲛᲝᲬᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲪᲝᲢᲐᲐ. ᲐᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲗᲠᲘᲝᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲝᲛᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲘ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ, ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲐᲛ ᲝᲛᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲕᲐ. ᲓᲠᲝᲐ, ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲛᲐ ᲨᲔᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲖᲔᲓᲛᲔᲢ ᲢᲕᲘᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ»**

გვერდი მოამზადა
**ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲛ**

ერის საგანძური
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არავის მხარეს არ ვარ, მაგრამ მინდა, რომ ორივე მხარემ წონასწორობა შეინარჩუნოს. ცოტა თავშეკავებით მოეპყრონ ერთმანეთსაც და, შედეგად, ჩვენც — ხალხს. იდეალში ორივე ჩვენი მაყურებელია, ყველას უნდა მიესვლებოდეს თეატრში, ამიტომ პოლიტიკური კატეგორიულობისგან თავი უნდა შევიკავოთ და უფრო ზნეობრივ კატეგორიებზე ვილაპარაკოთ, ორივე მხარეს რომ მოენატროს თეატრში მოსვლა, ისე“.

თემურ ჩხეიძე:

# ყველას ჩვენებურად გვინდა ქვეყნისა და უკეთესი ცხოვრების მოწყობა,

## მაგრამ ამის გამო სამკვდრო-სასიცოცხლოდ არ უნდა დავუპირისპირდეთ ერთმანეთს

**გასულ კვირადღეს, ანუ 25 ნოემბერს ბატონ თემურ ჩხეიძეს — დიდ ქართველ რეჟისორს, საქართველოსა და რუსეთის სახალხო არტისტს, სამეფო უბნის თეატრში მივაკითხე. სამეფოში! 75 წლის გახდა ბატონი თემური და საიუბილეო ტალღაზე ინტერვიუს ჩამოსართმევად მივედი. კვირა დღე იყო-მეთქი, უქმე. იუბილარი მუშაობდა — რეპეტიციას ატარებდა: ძველი წრთობის თაობისაა საქმისადმი ერთგულების თვალსაზრისით. შემოქმედებით — რეფორმატორი, ნოვატორი და ქართული თეატრალური ტრადიციების ერთგული ამავე დროს...**



თეატრალური კაფეს ცარიელ მაგიდასთან დამსვა ქალბატონმა, რომელიც დამხვდა და დაელოდეთ, ახლავე მოვაო, — მითხრა.

დალოდება ვერ მოვასწარი, რადგან გამოჩნდა მაესტრო, თეატრის დიდოსტატი, ხელოვნების ქურუმი, ახალგაზრდა მსახიობთა თანხლებით. ისეთი ჭაბუკური შემართებით მოდიოდა, რომ უცებ სადღაც გაქრა და წაიშალა წელთა ეს პატივმისაგები სიმრავლე, მხცოვანობის მიჯნა... და პირდაპირ „სამუშაო რეჟიმზე“ გადავედით.

ბუნებრივად.

პირველი შეკითხვა, სპონტანური, მოულოდნელი, ვერ გეტყვით, ტვინის რომელ ხვეულში დაიბადა, წამომცდა:

**— ახლა ამ თეატრს ხელმძღვანელობთ, ბატონო თემურ?**

— სულ არ მჭირდება თეატრის ხელმძღვანელობა. აქ *(სამეფო უბნის თეატრში)* ახალგაზრდები არიან, ძალიან მიწყობენ ხელს. აქ მომყავს ჩემი სტუდენტები თეატრალური უნივერსიტეტიდან, ახალგაზრდა რეჟისორები. მაქვს ჩემი სახელოსნო, რომელშიც მომავალ დრამატურგებთან და რეჟისორებთან ვმუშაობ, რაც, მგონი, კარგ შედეგს იძლევა: წინა გამოშვების რეჟისორები უკვე დგამენ სპექტაკლებს სხვადასხვა თეატრში. დიდი აზარტით ვმუშაობთ.

**მაგიდაზე „ფლაერი“ იდო, პატარა აფიშის მსგავსი წარწერით: „ჩვენ აქ ძალიან კარგად ვართ“. ამაზე მივანიშნე და ვუთხარი:**

**— ესე იგი, თქვენ აქ ძალიან კარგად ხართ.**

— ეს აქ გამართული პოლონური დრამის ფესტივალიდან დარჩენილი ერთ-ერთი ატრიბუტია, — მიპასუხებს და ისე იღიმება, რომ საბოლოოდ ვრწმუნდები, — ღიმილიც უწინდელი აქვს, არ შეცვლილა და მაშასადამე, არსად არ წასულა ჩვენი ახალგაზრდობა.

შეგვიძლია არ დავეთანხმოთ გიორგი ლეონიძეს:

**ორმა გუნდმა კიდევაც**
**მდინარეში გასტოპა!**
**ჩქარა, თორემ წასულა**
**ჩვენი ახალგაზრდობა.**

* * *

**ინტერვიუსთვის რომ ვემზადებოდი, გადავწყვიტე, საუბარი წარმემართა თემურ ჩხეიძისთვის ჩამორთმეული იმ ინტერვიუს მიხედვით, რომელიც 2011 წელს „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდა („Чужая душа потемки“) ერთგვარი რეტროსპექტივის პრინციპით.**

**— გახსოვთ?**

— მახსოვს, კი, კი, — **ისეთი „ნახევარტონით“ წარმოთქვა, ვიფიქრე, იმდროინდელი ჩვენი შეხვედრა წამიერად წარმოუდგა თვალწინ.**

**— მაშინ ორთვიანი შვებულებით იყავით ჩამოსული პეტერბურგიდან, სადაც ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრს ედექით სათავეში, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი.**

— კი, ბატონო.

**— იმ ინტერვიუში გაიხსენეთ ერთი მსახიობის ნათქვამი: „ჩვენ საქართველოს მიმართ გენეტიკური სიყვარული გვაქვს“.**

— კი, ასე იყო.

**— იმ თეატრიდან კარგა ხნის წამოსული ხართ. ხომ არ წაეშალათ იქაურებს ეს გენეტიკური კოდი?**

«ტოვსტონოგოვი 28 წელიწადზე მეტი იყო თეატრის ხელმძღვანელი. რამდენმა თაობამ გაიარა მის ხელში. შემდეგ მე დავემატე... უფროსი თაობა, ჩემი თაობა, თანდათან დაიცხრილა, მიდის ხალხი ამ ცხოვრებიდან. აი, ახალგაზრდები რომ არ კარგავენ ურთიერთობის ტრადიციას, ეს მიხარია: დარეკავენ, ჩამოდიან. ძალიან სასიხარულოა»

— მე წამოვედი 2013 წლის აპრილში. ხელშეკრულების მიხედვით, კიდევ სამწელიწადნახევარი უნდა დავრჩენილიყავი. უკვე მთავრდებოდა თეატრის შენობის რეკონსტრუქცია და ვიფიქრე, რომ განახლებულ თეატრში დასი ბარემ იმას შეეყვანა, ვინც ჩემ შემდეგ დარჩებოდა. თეატრისთვის უმჯობესი იქნებოდა. ვიპოვეთ ერთი ნიჭიერი კაცი და ჩავაბარეთ თეატრის დასი.

**— ვინ?**

— **ანდრეი მოგუჩი,** რომელიც ახლაც იქ მუშაობს. მაშინ იქ ჩვენებს ვუთხარი: რა გინდათ ამაზე უკეთესი — Я в могучие руки передаю театр (ძლიერ ხელებს გადავცემ თეატრს). ტოვსტონოგოვის თეატრთან კავშირი დღემდე მაქვს — დარეკვა, მოკითხვა... ამას წინათ ხუთი მსახიობი ორდღე-ნახევრით ჩამოფრინდა. თავისუფალი დრო გამოგვიჩნდა, არც სპექტაკლები გვაქვს, არც რეპეტიციები... ასეო და ისეო...

**— თქვენთან იყვნენ?**

— აბა, სად წავიდოდნენ?! საქართველოსადმი სიყვარული მართლა აქვთ. უცებ გადაწყვეტენ ხოლმე და ჩამოდიან. მიკვირს, ეს მისწრაფება ახალგაზრდებს რომ არ განელებიათ. რატომ მიკვირს? იმიტომ, რომ იმათ საქართველოსთან იმდენი რამ აღარ აკავშირებთ, რაც უფროს თაობებს გვაახლოებდა.

**— გენეტიკური კოდი კი დარჩა...**

— აბა, რა! ტოვსტონოგოვი 28 წელიწადზე მეტი იყო თეატრის ხელმძღვანელი. რამდენმა თაობამ გაიარა მის ხელში. შემდეგ მე დავემატე... უფროსი თაობა, ჩემი თაობა, თანდათან დაიცხრილა, მიდის ხალხი ამ ცხოვრებიდან. აი, ახალგაზრდები რომ არ კარგავენ ურთიერთობის ტრადიციას, ეს მიხარია: დარეკავენ, ჩამოდიან. ძალიან სასიხარულოა.

**— იმ ძველ ინტერვიუში ერთი თემა წამოვწიეთ: მთავრდება თუ არა თეატრის კართან პოლიტიკა? მაშინ შევთანხმდით, რომ არ მთავრდება. ისტორიულად ასე იყო. ერთი ცნობილი მაგალითი დიდი ბრიტანეთის თეატრალური ცხოვრებიდან: როცა ელისაბედ პირველს აუჯანყდა ორი გრაფი — საუთჰამფტონისა ჰენრი საუთჰამფტონი და ესექსისა რობერტ ბევერუქსი, შექსპირის თეატრმა მათ მხარდასაჭერად საგანგებო სპექტაკლი დადგა. დღევანდელ ქართულ თეატრს აქვს ასეთი მუხტი?**

— არაფერს არ ვქადაგებ, მით უმეტეს არ ვამტკიცებ, რომ ჭეშმარიტებას ვღაღადებ. არა, რა თქმა უნდა, მაგრამ მე მაინც ისეთი თეატრი მიყვარს, რომელშიც, თქვენ რომ მოხვალთ, დაესწრებით სპექტაკლს და შეძლებთ იმის ამოკითხვას, თუ რისი თქმა სურდა თეატრს თქვენთვის. ეს არ იქნება შუბლში მოხვედრილი კატეგორიულობა — ვინ ვის მხარეს არის. მე უფრო იმის მომხრე ვარ, სცენაზე განვითარებულ რომელიმე ისტორიას რომ უყურებთ, შეიძლება არაქართულსაც, პროეცირება მოახდინოთ ჩვენს ცხოვრებაზე. ათი, ხუთი წუთი მაინც თუ დაფიქრდება ჩვენი სპექტაკლის მაყურებელი თავის ცხოვრებაზე და თავის ადგილზე ამ ცხოვრებაში, უკვე გამართლებულია თეატრის არსებობა.

აქვს თუ არა თანამედროვე ქართულ თეატრს ეს მუხტი, არ ვიცი. ჩვენთან პოლიტიკა ცოტა სხვანაირად მიდის... არავის მხარეს არ ვარ, მაგრამ მინდა, რომ ორივე მხარემ წონასწორობა შეინარჩუნოს. ცოტა თავშეკავებით მოეპყრონ ერთმანეთსაც და, შედეგად, ჩვენც — ხალხს. იდეალში ორივე ჩვენი მაყურებელია, თუ საერთოდ არის მაყურებელი, თუ დადის თეატრში *(ღიმება).* თუმცა ასეთიც ბევრია. თავს ნუ მოვიტყუებთ. შეიძლება ეს არც ისე საპანიკოა — მოგეხსენებათ, რომ არც ლიტერატურაში არის ყველა თავჩარგული, მაგრამ ყველას, თეატრალია თუ მწიგნობარი, ყველას უნდა მიესვლებოდეს თეატრში, ამიტომ პოლიტიკური კატეგორიულობისგან თავი უნდა შევიკავოთ და უფრო ზნეობრივ კატეგორიებზე ვილაპარაკოთ, ორივე მხარეს რომ მოენატროს თეატრში მოსვლა, ისე. დასასრულ, გავიმეორებ ჩემს პასუხს იმ ძველი ინტერვიუდან: თეატრის კართან პოლიტიკა ვერ დამთავრდება, რადგან პოლიტიკა ქვეყნის ბედია. ყველას ჩვენებურად გვინდა ქვეყნის გადარჩენა და უკეთესი ცხოვრების მოწყობა, მაგრამ ამის გამო სამკვდრო-სასიცოცხლოდ არ უნდა დავუპირისპირდეთ ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით, თეატრს განსაკუთრებული მისია აკისრია. ამ მისიას უნდა ვემსახუროთ.

**— სახარებაშიც ეს წერია: „თუ გულში მწარე შური და მეტოქეობა გაქვთ, ნუ ტრაბახობთ და ნუ ცრუობთ ჭეშმარიტებაზე... რადგან, სადაც შური და მეტოქეობაა, იქ ქაოსი და ყოველგვარი ბოროტმოქმედებაა“** *(იაკ. 3, 14-16).*

— კი, ასეა.

**— „ძალიან თავჩარგული არ არიანო ლიტერატურაში“, — ბრძანეთ. აქედან** ▶

# სოლომონის კუნძულებმა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება უკან წაიღო

**სოლომონის კუნძულების ხელმძღვანელობამ კოსოვოს რესპუბლიკის ნაწილობრივი აღიარება უკან გაიწვია. ამ ინფორმაციას ტელეკომპანია KTV ავრცელებს.**

სოლომონის კუნძულების საგარეო საქმეთა სამინისტრომ კოსოვოს ე.წ. საგარეო უწყებას სპეციალური ნოტა გაუგზავნა, რომელშიც თავისი გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ სერბეთი და კოსოვო დღემდე განაგრძობს გაეროს უშიშროების 1244-ე რეზოლუციის განხილვას კოსოვოს ავტონომიის შესახებ.

კოსოვოელი დიპლომატები აცხადებენ, სოლომონის კუნძულებიდან დოკუმენტი არ მიუღიათ, თუმცა ოკეანეთის რესპუბლიკაში ინფორმაციას ადასტურებენ.

2018 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის შესახებ აღიარება უკან წაიღო გრენადისა და კომორის კუნძულებმაც. ანალოგიური გადაწყვეტილება სხვადასხვა დროს კიდევ 8 ქვეყანამ მიიღო.



„ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲡᲐᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ ᲘᲡᲔ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲤᲚᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲓᲐᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲠᲘᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ: ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲠᲔᲩᲮᲡ ᲐᲠ ᲒᲘᲖᲐᲛᲡ, ᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲕᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲕᲘᲢᲐᲜᲗ: ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡᲐᲪ, ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲣᲠᲡᲐᲪ ᲓᲐ Ა.Შ., ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ! ᲐᲛᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲨᲔᲒᲕᲬᲔᲕᲡ“.

ᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **გამომდინარე, ფრაზა თქვენი ინტერვიუდან: „ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩვენ ვართ ბოლო თაობა, რომელმაც წიგნით მივიღეთ განათლება“. დღესაც ამავე აზრზე დგახართ?**

— კი. იმავე აზრის ვარ, მაგრამ მაინც დრო უნდა გავიდეს, შეიძლება მეც ვერ მოვესწრო იმ დროს, როცა განვსაზღვრავთ, კარგია ეს, თუ ცუდი. საერთოდ ყველაფერი, რაც კომპიუტერთან არის დაკავშირებული, რომ უდიდესი პროგრესია და ინტელექტის განვითარების სრულიად უნიკალური საშუალება, უდავოა. ეს, რაც შეეხება გონებას, ინტელექტს, რომელიც ავტომატურად წარსულია. ცუდი კი არ არის, წარსულია, რადგან აგროვებს უკვე არსებულს. ინტელექტი არის ბაგაჟი — თქვენი, ჩემი, ჩვენი. ყველასი ცალ-ცალკე, მაგრამ იმის მაგივრობას, რასაც, მოდით, პირობითად დავარქვათ გული, ვერ გასწევს. გულს და ინტუიციას ნუ დავაზარალებთ, რადგან ყველა აღმოჩენა გულიდან და ინტუიციიდან მოდის, არა მარტო ტვინიდან.

**— ისევ ციტატა ძველი ინტერვიუდან: „თეატრს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არ უნდა დაეკარგოს — მაყურებელზე ემოციური ზემოქმედების ფუნქცია“, — ბრძანეთ თქვენ. ეკარგება?**

— როგორც ბევრი რამ ჩვენს ცხოვრებაში, ესეც ტალღისებურად ვითარდება. როცა გგონია, რომ ეს ზემოქმედება თუ სულ არ დაიკარგა, ძალიან შესუსტდა, ისეთ სპექტაკლზე მოხვდები (სხვის ან ჩემს დადგმულზე), რომ მაყურებელი მხოლოდ გატრუნული კი არ ადევნებს თვალყურს, რაც სცენაზე ხდება, თითოეულ სიტყვას სანსლავს და ბედნიერი ხდები კაცი! მაყურებელი, ისევე, როგორც მკითხველი, სხვადასხვანაირია. ზოგჯერ ისეთი ხალხი შეიკრიბება დარბაზში, ცოტაც რომ იყოს, მათთვის ღირს თამაში. აბა, როგორ! არიან ისეთებიც, დასხდებიან და პანაშვიდზე მისულებს დაემსგავსებიან, ასეც ხდება, სულო ცოდვილო. კი არ ვლანძღავ, მაგრამ... არც ესმის, არც უნდა და მაინც ზის, მაგრამ, ღვთის მადლით, იშვიათია ასეთი „პანაშვიდები“. კიდევ კარგი, თორემ თეატრი დიდი ხნის წინათ შეწყვეტდა არსებობას.

**— როგორი უნდა იყოს თეატრის რეჟისორი — კონსერვატორი თუ რეფორმატორი? ამ შეკითხვაზე, ბატონო თემურ, ასე მიპასუხეთ: „რებუსი რომ დაგახვედროთ არ მინდა, არც ის მინდა, მთლად პრიმიტიულ სპექტაკლზე რომ მოგიწვიოთ“.**

— რა კარგად მითქვამს *(იცინის).*

**— იგივე პოზიციაზე რჩებით?**

— აბსოლუტურად! მას შემდეგ ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცდა და გამიღრმავდა. რებუსი რას ჰქვია? განა არ მინდა რთული აზრები მოგასმენინოთ! პირიქით, მოგიწვევთ კიდეც. აბა, რა! რთულ საკითხებზე თუ არ ვიფიქრეთ, დავიღუპებით. რებუსზე რომ ვლაპარაკობ, ვგულისხმობ, რომ რთულის გართულება არ ღირს. რთული ისე უნდა მოგაწოდოთ, რომ იოლად აღიქვათ და უშუალოდ იმ რთულზე იფიქროთ. სირთულე ბარიერად არ უნდა დაგახვედროთ მთავარი სირთულის აღქმის გზაზე. ნუ ვმაკვარანცხობთ, თქვენი ჭირიმე, ვითომ ძალიან სერიოზულები ვართ. დაიცა! მარტივად მითხარი, რა გინდა და, ფიქრში რომ ჩამითრევ, შემდეგ თანდათან გამირთულე.

**— დარჩა თუ არა თქვენს კრედოდ მინიმალურით მაქსიმალურის გამოხატვის პრინციპი?**

— კი, ბატონო!

**— „გენიალურია კიოლნის ტაძარი, მაგრამ მე მაინც ჯვრის მონასტრის მოტრფიალე უფრო ვარ, მისი მინიმალიზმი მირჩევნია“, — თქვენი სიტყვებია.**

— მირჩევნია.

**— როგორ ახერხებთ თქვენს სპექტაკლებში ამ პრინციპის მატერიალიზებას?**

— მინდა, რომ დარბაზში მჯდომ მაყურებელს უფრო ვენდო, მინიმუმს რომ მიხვდება და გაშიფრავს, ისეთს. თუ მიხვდება, მე შემდეგზე უნდა გადავიდე, ღეჭვა არ ღირს საერთოდ არაფრის. ადამიანი, რომელიც გამგებია და მიმხვედრი, ჩემთან ერთად რომ იწყებს ფიქრს, ესაა მინიმალურის გზით მაქსიმალური ეფექტის მიღწევის მიზანი.

**— პარალელი: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.**

— რა თქმა უნდა! პარალელი კი არა, გაზრდილები ვართ ამაზე.

**— ტელევიზიაში თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, სატელევიზიო თეატრის გაქრობის პრობლემას როგორ შეაფასებთ?**

— ვხედავ, რომ ტელევიზიაში უკვე მოვიდა თაობა, ორი თაობაც კი, რომლებმაც ტელეკამერასთან ურთიერთობა ჩვენზე უკეთ ისწავლეს. უფრო ლაღი და უფრო თავისუფალი არიან. თუნდაც ამიტომ, სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სატელევიზიო თეატრი თუ ტელეფილმების სტუდია აუცილებლად უნდა არსებობდეს, მოქმედებდეს, ქმნიდეს პროდუქციას. მე თვითონ ველარ გავაკეთებ, დიდი დრო გამიცდა თეატრში სრულად გადაბარგების მიზეზით, ხელს ველარ მოვკიდებ, მაგრამ დღეს არიან ბიჭები და გოგოები, რომლებიც სატელევიზიო სპეციფიკასა და ტექნიკას ისე შესანიშნავად ფლობენ, რომ შეუძლიათ თავი დაადგან ამ საქმეს, თუმცა ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან მარტო ტექნიკის ათვისება საკმარისი არ არის: სადაც სული არ არის და გული რეჩხს არ გიზამს, ის საქმე არ გამოგივა. ყველაფერს ავიტანთ: თურქულ სერიალებსაც, მექსიკურსაც და ა.შ., მაგრამ ჩვენიც უნდა იყოს! ამის ძალა შეგვწევს.

**— მივყვეთ 7 წლის წინათ ჩაწერილ ინტერვიუს: „ღმერთმა არ წამართვას იმის უნარი, რომ დროზე მივხვდე, როდის უნდა გავჩერდე“. თქვენი დღევანდელი აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის შემყურენი, დარწმუნებულები ვართ, რომ გაჩერების დრო არ დამდგარა.**

— გაჩერებას ვერავინ ავცდებით, ბოლოს და ბოლოს გავჩერდებით, აბა რა იქნება! ძალიან ყურადღებით ვართ, რამენაირად არ გამომეპაროს გაჩერების ეს მომენტი. თუ უკვე დადგა და მე ვერ ვამჩნევ, დავლუპულვარ და ეგ არის. სიმართლე გითხრათ, მგონია, რომ ჯერ ცოტა ხანს კიდევ არ უნდა გავჩერდე. შეიძლება, ვცდები...

**— არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაჩერდეთ!**

— თქვენ, აბა, სხვას რას მიპასუხებთ, მეგობარი კაცი ხართ! წადი აქედანო, ხომ არ მეტყვით! *(გულიანად იცინის).*

**— რახან გაჩერებას არ აპირებთ, — მინიშნებით ვეკითხები, — რისი გაკეთება გაქვთ განზრახული უახლოეს მომავალში?**

**ისიც იმავე ტონალდობით მიპასუხებს:**

— ჩემს ასაკში, რა თქმა უნდა, მხოლოდ **ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲖᲔ** შეიძლება ლაპარაკი. ვმუშაობ ერთ ნაწარმოებზე, რომელიც ახალგაზრდობიდან მომწონს და, ისე მოხდა, რომ ახლაღა მოვიცალე მისთვის. ეს არის ჩეხოვის ერთ-ერთი ცნობილი მოთხრობა „დუელი“, რომლის დადგმას ვაპირებ აქ — სამეფო უბნის თეატრის სცენაზე. დიდი მადლობა თეატრს, რომელმაც ამის საშუალება მომცა. ძირითადად ახალგაზრდები შემოვიკრიბე. ორი მსახიობი მყავს მარჯანიშვილის სახელობის თეატრიდან, ზოგი — ამ თეატრიდან, ჩემი ყოფილი სტუდენტებიც არიან.

**— ჩეხოვის დადგმა, როგორც თეატრმცოდნეები ადასტურებენ, რთულია, განსაკუთრებით, არარუსული თეატრალური დასებისთვის.**

— ჩეხოვი იდგმება მთელ მსოფლიოში, არა მხოლოდ რუსულ თეატრებში. შესანიშნავი გერმანული სპექტაკლები მინახავს, მათ შორის, რეჟისორ **ᲨᲢᲐᲘᲜᲘᲡ** დადგმული „სამი და“, ევროპაში ცნობილი იტალიელი რეჟისორის — **ᲡᲢᲠᲔᲚᲔᲠᲘᲡ** სპექტაკლი „ალუბლის ბაღი“, რომელზე უკეთესი რუსეთშიც არ მინახავს.

**ᲩᲔᲮᲝᲕᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲐ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐ. ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ, — ᲩᲔᲮᲝᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲝᲓᲘᲝ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲘᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲠᲐᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲣᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔᲐ. ᲙᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲔᲭᲕᲘ ᲔᲭᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲠᲘᲡᲮᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲠᲘᲡᲮᲔᲑᲐᲐ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲮᲝᲕᲘ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲐ — ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲐ ᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ.**

* * *

**და, როგორც იქნა, მილოცვის დროც დადგა — საუკეთესო ფინალი საუბრის დასასრულისთვის:**

**75 წელს გილოცავთ, ბატონო თემურ, დიდ ქართველ რეჟისორს, რომლის სახელიც უკვე სამუდამოდ არის ჩაწერილი ჩვენი ერის კულტურის ისტორიაში. კვლავაც წარმატებით გევლოთ ხელოვნების ურთულეს გზაზე.**

**ქართველი ერის სიყვარულთან ერთად მიიღეთ ჩვენი რედაქციის გულწრფელი პატივისცემა და საუკეთესო სურვილები.**

**იმრავალჟამიერეთ!**

ესაუბრა
**ᲐᲠᲛᲐᲖ ᲡᲐᲜᲔᲑᲚᲘᲫᲔ**



ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲨᲘ

«ᲩᲔᲮᲝᲕᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲑᲐ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲐ. ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲡ, — ᲩᲔᲮᲝᲕᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ, ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲝᲓᲘᲝ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲘᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ. ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲨᲘ ᲠᲐᲪ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲠᲣᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔᲐ. ᲙᲘ ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲒᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲐ, ᲔᲭᲕᲘ ᲔᲭᲕᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲠᲘᲡᲮᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲠᲘᲡᲮᲔᲑᲐᲐ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲔᲮᲝᲕᲘ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲠᲔᲒᲜᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲠᲔᲐ — ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲐ ᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘᲡ»

**P.S.** **წრე რომ შეიკრას, ლეონიძის ლექსს დავუბრუნდები ისევ — „სიმღერა პირველი თოვლისა“. დღეს (ამ ჩანაწერს რომ ვასრულებ) პირველი დეკემბერია და გოგლას ბრწყინვალე სტრიქონები დროსაც მოუხდება და თემასაც ამ პუბლიკაციის:**

**და როგორც ციცინათელა**
**აბედს არ ეკიდება,**
**სიჭაბუკის გარეშე**
**ლექსს ვინ მისცა დიდება?**

**თეატრსაც! ხომ ასეა? ამიტომ დარჩით ჭაბუკური შემართებით, ბატონო თემურ, ხოლო 75 წელი ანკეტაში ჩასაწერად დაიტოვეთ, ვითარცა იუბილარის სიბრძნისა და სიმდიდრის მაჩვენებელი.**

ა.ს.

## ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

**საჯარო სკოლებში ზამთრის არდადეგები 2018 წლის 29 დეკემბრიდან დაიწყება და 2019 წლის 14 იანვარს დასრულდება. ამის შესახებ განათლების მინისტრის მოადგილემ ირინა აბულაძემ რამდენიმე კვირის წინ თქვა.**

მოსწავლეებისთვის საგაკვეთილო პროცესი 28 დეკემბერს, პარასკევს დასრულდება. რაც შეეხება მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრაციას, როგორც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განმარტავენ, არდადეგები საგაკვეთილო პროცესს ეხება, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ პედაგოგებს სკოლაში გამოცხადება არდადეგების პერიოდშიც მოუწიოთ იმის გათვალისწინებით, აქვთ თუ არა რაიმე საქმე დასასრულებელი. „ამის შესახებ ინფორმაცია მასწავლებელმა სკოლის ადმინისტრაციასთან, დირექტორთან უნდა გაარკვიოს“, — აცხადებენ სამინისტროში. სკოლებში სწავლა 15 იანვარს განახლდება.

ასევე ცნობილია, რომ საბავშვო ბაღებში სწავლა 28 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება, არდადეგები 29 დეკემბრიდან დაიწყება და 14 იანვარს დასრულდება.



ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი ქალაქი მნახველებს აცვიფრებს თავისი ფუტურისტული ნაგებობებით. აქ არის ჩინეთის ყველაზე მაღალი — 121-სართულიანი ცათამბჯენი, რომლის სიმაღლე 632 მეტრია. გაშენებულია მდინარე იანძის დელტაზე. დაარსებულია 751 წელს. მოსახლეობა 24,15 მლნ-ია. ტერიტორია — 6340 კვ.კმ.**

# 10 ყველაზე დიდი ქალაქი მოსახლეობის მიხედვით

ალბათ, იშვიათია ადამიანი, რომელსაც არასოდეს დაუსვამს კითხვა: რომელი ქალაქია დედამიწაზე ყველაზე დიდი? მეხიკო? ნიუ-იორკი? მსოფლიო ისე სწრაფად ვითარდება, რომ ქალაქები, რომლებიც 1980-იან, თუნდაც 1990-იან წლებში ლიდერობდნენ, დღეს პირველ ათეულშიც ვერ შედიან. როგორ გამოიყურება მსოფლიოს 10 ყველაზე დიდი ქალაქის სია?



## 10. დაკა, ბანგლადეში – 12 მლნ

ბანგლადეშის დედაქალაქი და ამ ქვეყნის ყველაზე დიდი ქალაქი მდებარეობს მდინარე განგის დელტაზე. დაკა 1608-1717 წლებში იყო ბენგალიის დედაქალაქი, 1971 წლიდან კი ბანგლადეშის დედაქალაქია. დაარსებულია VII საუკუნეში. მოსახლეობა შეადგენს 12 მლნ კაცს, ტერიტორია — 815,85 კვ.კმ-ს.



## 9. მოსკოვი, რუსეთი – 12,45 მლნ

რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი და ევროპის კონტინენტის ყველაზე დიდი ქალაქი განლაგებულია მდინარე მოსკოვის ნაპირებზე. ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება 1147 წლიდან. ქალაქს ემსახურება 6 აეროპორტი, 9 რკინიგზის სადგური და 3 სამდინარო პორტი. მოსახლეობა 12,45 მლნ კაცია, ტერიტორია — 2561,5 კვ.კმ.



## 8. მუმბაი, ინდოეთი – 12,78 მლნ

მუმბაი, რომელსაც 1995 წლამდე უწოდებდნენ ბომბეის, მდებარეობს ინდოეთის დასავლეთში, არაბეთის ზღვის სანაპიროზე. მეცნიერთა აზრით, დაარსებულია ჩვ.წ. ალ-მდე III საუკუნეში. მოსახლეობა 12,478 მლნ-ია. ტერიტორია — 602 კვ.კმ.





## 7. ლაგოსი, ნიგერია, 13,12 მლნ

საპორტო ქალაქი ნიგერიის სამხრეთ-დასავლეთში, ყველაზე დიდი დასახლებული პუნქტი აფრიკაში. დაარსებულია 1472 წელს. მოსახლეობა 13,12 მლნ, ტერიტორია — 999,5 კვ.კმ.



## 6. გუანჯოუ, ჩინეთი – 14 მლნ

ეს არის სამხრეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, საგანმანათლებლო, კულტურული და სატრანსპორტო ცენტრი. დაარსებულია 862 წელს ჩვ.წ.ალ-მდე. მოსახლეობა — 14 მლნ, ტერიტორია — 7434,4 კვ.კმ.



## 5. სტამბოლი, თურქეთი – 15,0 მლნ

თურქეთის ეს უდიდესი ქალაქი ბოსფორის სრუტის ნაპირებზეა გაშენებული, რომელიც ქალაქს ევროპულ და აზიურ ნაწილებად ჰყოფს. დაარსებულია ჩვ.წ. ალ-მდე 667 წელს. 1930 წლამდე ეწოდებოდა კონსტანტინოპოლი, მოსახლეობა 15 მლნ, ტერიტორია — 5343 კვ.კმ.





## 4. დელი, ინდოეთი – 16,7 მლნ

ეს ქალაქი მდებარეობს ინდოეთის ჩრდილოეთში უტარ-პრადეშისა და ჰარიანას შტატების საზღვარზე. მეცნიერთა აზრით, ეს ქალაქი დაარსებულია ჩვ.წ.ალ-მდე VIII საუკუნეში. მოსახლეობა — 16,7 მლნ, ტერიტორია — 1483 კვ.კმ.



## 3. პეკინი, ჩინეთი – 21,5 მლნ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი. ამ ქვეყნის უდიდესი სარკინიგზო, საავტომობილო და ავიაკვანძი. დაარსებულია დაახლოებით 3 ათასი წლის წინათ.

მოსახლეობა — 21,5 მლნ, ტერიტორია — 16801 კვ.კმ.



## 2. ყარაჩი, პაკისტანი – 23,5 მლნ

საპორტო ქალაქი პაკისტანის სამხრეთში, პროვინცია სინდის ადმინისტრაციული ცენტრი, აგრეთვე, უმაღლესი განათლების უდიდესი ცენტრი ისლამურ სამყაროში.

დაარსებულია XVIII საუკუნეში. მოსახლეობა — 23,5 მლნ, ტერიტორია — 3530 კვ.კმ.

## 1. შანხაი, ჩინეთი – 24,15 მლნ

თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი ქალაქი მნახველებს აცვიფრებს თავისი ფუტურისტული ნაგებობებით. აქ არის ჩინეთის ყველაზე მაღალი — 121-სართულიანი ცათამბჯენი, რომლის სიმაღლე 632 მეტრია. გაშენებულია მდინარე იანძის დელტაზე. დაარსებულია 751 წელს. მოსახლეობა — 24,15 მლნ, ტერიტორია — 6340 კვ.კმ.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

მიულერი ვარჯიშებზე, რომ იტყვიან, მინდორს ცხვირით ხნავდა. ის ძალიან სერიოზულად უდგებოდა წვრთნას და ეს უყურადღებოდ არ დარჩენიათ მწვრთნელებსა და თანაგუნდელებს. მსუქანას მიმართ პატივისცემა არა დღეების განმავლობაში, არამედ ყოველ საათში იმატებდა. ახალგაზრდა სიამოვნებას იღებდა ბურთთან ყოველი შეხებისას, ხოლო თითოეული გოლის შემდეგ, სადაც უნდა გაეტანა ბურთი — ვარჯიშზე, ამხანაგურ მატჩში ან ტურნირზე — ენერგიით ივსებოდა და კვლავ წინ მიიწევდა, მიულერი კოშმარად იქცა მცველებისთვის — მოხერხებულად უმკლავდებოდა 2-3 მცველს და ბურთი მოწინააღმდეგის კარში გაჰქონდა, თანაც გაჰქონდა ძალიან ბევრი.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გერდ მიულერი — ბომბარდირი ღვთისგან ბოძებული ნიჭით

**გერდ მიულერი — გენიალური თავდამსხმელი, მეკარეების რისხვა, ღვთისგან ბოძებული ნიჭით, უამრავი რეკორდის ავტორი. ამ რეკორდებიდან ბევრი დღესაც დაუმხობელია. მაგალითად, გერდ მიულერი რეკორდსმენია გერმანიის ფედერაციული გერმანიის ნაკრების მაისურით გატანილი ბურთებით — 68 გოლი 62 თამაშში. მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე გატანილი აქვს 14 ბურთი. მიუნხენის „ბაიერნის“ შემადგენლობაში გამოსვლისას გერმანიის ჩემპიონატის ერთ სეზონში გაიტანა 40 ბურთი და, საერთოდ, ის ბუნდესლიგის (გერმანიის ჩემპიონატის) ყველა დროის ბომბარდირია, ხუმრობა საქმე ხომ არ არის ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ჩემპიონატში 365 (!) ბურთის გატანა?!**

ამ შესანიშნავი ფეხბურთელის კარიერის დასაწყისი იავარდით არ ყოფილა მოფენილი. გერდ მიულერი 19 წლის იყო, „ბავარიაში“ რომ მოხვდა. „მე ვარ ბომბარდირი ნორდლინგენიდან“, — მორიდებულად წარუდგა ჭაბუკი პარტნიორებს, რომლებმაც ამ სიტყვებზე გულიანად იცინეს. „როდესაც პირველად ვნახეთ, ბევრი ვიცინეთ. მრგვალი თავით, მოკლედ შეკრეჭილი თმით, არაპროპორციული ტანით, დაბრეცილი ფეხებით“, — იხსენებს გერმანიის ნაკრების ყოფილი მეკარე **ზეპ მაიერი.** გასაკვირი არ არის, რომ გერდს მყისვე შეარქვეს დამცინავი მეტსახელი — მსუქანა. აღსანიშნავია, რომ ნორდლინგენი არის სახელწოდება გერმანული სოფლისა, რომელიც მდებარეობს მიუნხენსა და ნიურნბერგს შორის. მიუხედავად ამისა, იქ იყო ერთ-ერთ ადგილობრივ ლიგაში მოთამაშე საფეხბურთო კლუბი და საკმაოდ კარგი სტადიონი, რომელზეც გერდმა დაიწყო ფეხბურთის თამაში.

მიულერი ვარჯიშებზე, რომ იტყვიან, მინდორს ცხვირით ხნავდა. ის ძალიან სერიოზულად უდგებოდა წვრთნას და ეს უყურადღებოდ არ დარჩენიათ მწვრთნელებსა და თანაგუნდელებს. „მსუქანას“ მიმართ პატივისცემა არა დღეების განმავლობაში, არამედ ყოველ საათში იმატებდა. ახალგაზრდა სიამოვნებას იღებდა ბურთთან ყოველი შეხებისას, ხოლო თითოეული გოლის შემდეგ, სადაც უნდა გაეტანა ბურთი — ვარჯიშზე, ამხანაგურ მატჩში ან ტურნირზე — ენერგიით ივსებოდა და კვლავ წინ მიიწევდა, მიულერი კოშმარად იქცა მცველებისთვის — მოხერხებულად უმკლავდებოდა 2-3 მცველს და ბურთი მოწინააღმდეგის კარში გაჰქონდა, თანაც გაჰქონდა ძალიან ბევრი.

მიულერს რთული ბავშვობა ჰქონდა. ის მეექვსე შვილი იყო ოჯახში, რომელსაც ფული იშვიათად ჰყოფნიდა, ამიტომ ვარჯიშის შემდეგ გარბოდა ფაბრიკაში, სადაც დედას ეხმარებოდა და ფულს გამოიმუშავებდა. მამამ კი ოჯახი კარგა ხნის წინათ მიატოვა. ამ სამუშაოსა და ფეხბურთის გამო მიულერს, პრაქტიკულად, არ ჰქონდა დრო სწავლა-განათლებისთვის. მან სკოლაში სიარულს მოუკლო, ბოლოს კი საერთოდ შეწყვიტა.




შესაძლოა, სახელგანთქმულ გერმანელ ფეხბურთელს არ ჰყოფნიდა განათლება, სამაგიეროდ, საფეხბურთო მოედანზე ყველაფერი იცოდა და ყველაფერს ახერხებდა. უცნაურია, მაგრამ „მსუქანა“ არ მოეწონა „ბავარიის“ იმჟამინდელ მწვრთნელს, იუგოსლაველ **ზლატკო ჩაიკოვსკის.** მწვრთნელმა ვერ მიიღო მოუხეშავი, გლეხის გარეგნობის მქონე გოლეადორი, მაგრამ მიულერი განაგრძობდა ბურთების გატანას, ჩაიკოვსკის კი მალე დაატოვებინეს კლუბი. იმ პერიოდში მიულერმა „ბავარიასთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონის ორი ტიტული მოიპოვა და ამით მიიპყრო გერმანიის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ჰელმუტ შიონის,** ყურადღება. გერდი ნაკრებში მიიწვიეს და იქ კიდევ უფრო გაიბრწყინა მისმა ნიჭმა.

გერდ მიულერმა 1970 და 1972 წლებში ევროპის საუკეთესო ბომბარდირის ჯილდო „ოქროს ბუცი“ მოიპოვა, ამასთანავე, ევროპის ჩემპიონის ტიტული (1972 წელს) ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ კარიერის პიკი წინ ჰქონდა — 1974 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში, როცა ანგარიში 1:1 იყო, **იოჰან კროიფის** ჰოლანდიის ნაკრების კარში გაიტანა კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი ბურთი და გერმანიის გმირად იქცა. მუნდიალზე ტრიუმფალურად გამოსვლის შემდეგ 28 წლის გოლვადორმა, მიუხედავად უამრავი თხოვნისა, დაღლილობა მოიმიზეზა და შეწყვიტა ნაკრების მაისურით თამაში, თუმცა „ბაიერნის“ შემადგენლობაში გამოსვლაზე უარი არ უთქვამს. გერდმა „ბაიერნის“ მაისურით მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა 3 თასი, საკონტინენტთაშორისო თასი და, რაც მთავარია, თითქმის ყველა მატჩში და ყველა ფინალში გაჰქონდა ბურთი.

მიულერმა გადაწყვიტა, კარიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაესრულებინა. მან ამერიკის კონტინენტზეც დაამტკიცა თავისი ოსტატობა და 1982 წელს საბოლოოდ დაანება თავი აქტიურ ფეხბურთს.

ყოველდღიურ ცხოვრებაში მიულერმა თავისი ადგილი ვერ იპოვა, გავლენა იქონია განათლების არქონამ. გერდი ალკოჰოლს მიეძალა. „როდესაც ფეხბურთს თავი დავანებე, უცებ მივხვდი, რომ ცხოვრებამ აზრი დაკარგა. ყოველ დილით მივდიოდი ერთსა და იმავე ბარში და ჭიქა ღვინით ხელში ვუყვებოდი გარშემო მყოფებს, როგორ გავიტანე ესა თუ ის ბურთი. საღამოს შინ ვბრუნდებოდი, სადაც მელოდებოდა ვისკი და „კოკა-კოლა“. მიუხედავად იმისა, რომ გერდი გულმოდგინედ მალავდა ალკოჰოლის სიყვარულს, მალე ყველამ შეიტყო, რომ ცოლმა მიატოვა და ცხოვრების ფსკერზე ეშვებოდა, მაგრამ მეგობრებმა „ბავარიიდან“ არ მიატოვეს ბედის ანაბარა. **ფრანც ბეკენბაუერმა** გერდ მიულერი კლინიკაში გაგზავნა. 1995 წელს, როცა ბეკენბაუერის 50 წლისთავი დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა, გერდი კვლავ აღმოჩნდა ალკოჰოლური სასმელით სავსე მდიდრულ სუფრასთან, მაგრამ მოწვეულ სტუმრებს შორის ის ერთადერთი იყო, ვინც მინერალური წყლით იკლავდა წყურვილს.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


ორი მიულერი

**გერდ მიულერმა 1970 და 1972 წლებში ევროპის საუკეთესო ბომბარდირის ჯილდო «ოქროს ბუცი» მოიპოვა, ამასთანავე, ევროპის ჩემპიონის ტიტული (1972 წელს) ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ კარიერის პიკი წინ ჰქონდა — 1974 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალში, როცა ანგარიში 1:1 იყო, იოჰან კროიფის ჰოლანდიის ნაკრების კარში გაიტანა კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი ბურთი და გერმანიის გმირად იქცა**

## მიღწევები

კლუბში:

* გერმანიის ჩემპიონი — 1968/69, 1971/72, 1972/73, 1973/74 წწ.
* გერმანიის თასის მფლობელი — 1965/66, 1966/67, 1968/69, 1970/71 წწ.
* ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი — 197374, 1974/75, 1975/76 წწ.
* თასის მფლობელთა თასის მფლობელი — 1965/67 წწ.
* საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი — 1975 წ.

ნაკრებში:

* მსოფლიოს ჩემპიონი — 1974 წ.
* ევროპის ჩემპიონი — 1972 წ.

პირადი:

* ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზის „ოქროს ბურთის“ მფლობელი — 1970 წ.
* მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი — 1970 წ.
* ევროპის საუკეთესო ბომბარდირის პრიზ „ოქროს ბუცის“ მფლობელი — 1970, 1972 წ.
* გერმანიის საუკეთესო ბომბარდირი — 1966/67, 1968/70, 1971/72, 1972/73, 1973/74, 1977/78 წწ.





# სპეცოპერაციისას დაკავებულ უკრაინის მოქალაქეებთან ერთად თბილისში რადას ერთ-ერთი დეპუტატიც იმყოფებოდა



**თბილისში სპეცოპერაციისას დაკავებული უკრაინის მოქალაქეებთან ერთად პარტია „სამოპომოშის“ დეპუტატი სემიონ სემენჩენკოც იმყოფებოდა, რომელიც მოგვიანებით გაიქცა, — დაწერა სოციალურ ქსელში უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მრჩეველმა იური ბირიუკოვმა.**

„სხვადასხვა სახის კონტაქტი მაქვს და დამიდასტურეს ინფორმაცია, რომ სემენჩენკო თბილისშია, მან ჩაგვითრია დიპლომატიურ სკანდალში, თავისი ხალხი მიატოვა და ბოლო მომენტში გაიქცა“, — დაწერა უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა.

აღნიშნულს ასევე გამოეხმაურა უკრაინელი ჟურნალისტი. მისი თქმით, სემენჩენკო იმის გამო არ დააკავეს, რომ დიპლომატიური პასპორტი ჰქონდა.

შეგახსენებთ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეცოპერაცია თბილისში, ლიხაურის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „გურუსა“ და „ალიანსში“ ჩაატარა. დაკავებულები არიან უკრაინის მოქალაქეები: ო.ნ., რ.მ., დ.კ. ი.კ., ი.ო., ს.კ. და საქართველოს მოქალაქე ლ.ჩ.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სასტუმროს ნომრების ჩხრეკისას ამოღებულია „ბერეტასა“ და „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტები, ხელნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღი და სხვადასხვა სახის საბრძოლო მასალა.

გამოძიება დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით, რაც ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

„უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეები ქვეყანაში 27 ნოემბერს ჩამოვიდნენ. მოცემულ მომენტში მათი საქართველოში ჩამოსვლის კონკრეტულ მიზნებზე და ამოცანებზე გამოძიება აქტიურად მიმდინარეობს. შინაგან საქმეთა სამინისტრო და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური დაადგენს, არის თუ არა კავშირში დაკავებული უკრაინისა და საქართველოს მოქალაქეები ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. ამის შესახებ საზოგადოებას დამატებით მიეწოდება ინფორმაცია“,— ნათქვამია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



# უნგრეთის პრემიერი: იმედია, გაცვეთილ დეპუტატებს ჩაანაცვლებენ პოლიტიკოსები, რომლებსაც ესმით, რომ სულ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ

**უნგრეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ორბანმა ევროპარლამენტი მიგრანტებისთვის ვიზების გაცემის თაობაზე კიდევ ერთი კენჭისყრის დანიშვნის გამო გააკრიტიკა და განაცხადა, რომ „ეს ინსტიტუტი თავის თავს კანონის უზენაესობის მცველს ეძახის, მაგრამ თვითონვე იოლად დაარღვევს ამ კანონის უზენაესობის ნორმებს“.**

მან იმედი გამოთქვა, რომ ევროპარლამენტის არჩევნების შემდეგ „გაცვეთილი დეპუტატები სახლებში წავლენ“ და მათ ჩაანაცვლებენ პოლიტიკოსები, რომლებსაც ესმით, რომ ჩვენ სულ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ.

# ინაშვილი მოითხოვს, ნაციონალების მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებული ხმების ნამდვილობა დაადგინონ

**პარლამენტის ვიცესპიკერმა ირმა ინაშვილმა 3 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე მთავარ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. ის მოითხოვს, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მიღებული 780 ათასი ხმის ნამდვილობა დაადგინონ.**



„25 ნოემბრის აქციის საპირწონედ „ნაციონალური მოძრაობის“ აქცია გაიმართა, სადაც სამი ათასი მხარდამჭერი შეკრიბეს. ჩვენს აქციაში 100 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა, სადაც 85 ათასი ადამიანი თბილისიდან იყო მოსული. აქციაზე 14 ათასი ადამიანი რეგიონებიდან ჩამოვიდა, 80 ათასი დანომრილი მოსაწვევი გავეცით, მაგრამ ათასობით ადამიანი მოსაწვევის გარეშე დარჩა, მთლიანი ტერიტორია გადატვირთული იყო და ათასობით ადამიანი ბარათაშვილის ხიდთან იდგა. 124 მხარდამჭერი აფხაზეთიდან ჩამოვიდა, 85 — ახალგორიდან. თუ პარტიას რეალურად 780 ათასი ამომრჩეველი ჰყავს, მის მიერ ორგანიზებულ აქციაზე სამი ათას ადამიანზე ნაკლები რატომ მოდის? შეუძლებელია, 780 ათასი ამომრჩეველი გყავდეს და ორგანიზებულ მიტინგზე 30 ათასი ადამიანი არ იდგეს. დიდი ფილოსოფია და ანალიზი ამას არ სჭირდება. რეალურად, ნაციონალებს ერთი და იგივე აქტივი ჰყავთ, სამი ათასი ადამიანის ფარგლებში, რომელსაც ვხედავთ ფილარმონიის დარბაზში, შემდეგ პარლამენტის წინ. როგორც დეპუტატი, ვითხოვ, მთავარმა პროკურატურამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყოს 780 ათასი ამომრჩევლის რეალურობის დადგენის მიზნით. ადგილი აქვს აფერისტობას, რომელშიც მონაწილეობენ, როგორც სააკაშვილი და ბოკერია, ასევე „ქართული ოცნების“ თანამდებობის პირები. როგორ ხდება, რომ არჩევნების პირველ ტურზე მილიონ 600 ათასი ამომრჩეველი მოდის, მეორე ტურზე — ორი მილიონი ამომრჩეველი და ამ დროს, სააკაშვილ-ბოკერიას 780 ათას ხმას უწერენ, ხოლო მეორე ტურზე ორი მილიონი მოდის და მათ ისევ 780 ათასი ხმა რჩებათ? ეს ხომ სასაცილო და სამარცხვინოა“, — აღნიშნა ინაშვილმა.



# ტრამპი: ფედერალური სარეზერვო სისტემა უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე ჩინეთი

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ქვეყნის ფედერალური სარეზერვო სისტემა გააკრიტიკა და განაცხადა, რომ ის ჩინეთზე გაცილებით დიდი პრობლემაა.**

„ვფიქრობ, ფედერალური სარეზერვო სისტემა გაცილებით დიდი პრობლემაა, ვიდრე ჩინეთი“, — განაცხადა მან „ვაშინგტონ პოსტთან“ საუბარში და აღნიშნა, რომ არ არის კმაყოფილი ფედერალური სარეზერვო სისტემის ხელმძღვანელ **ჯერომ პაუელის** საქმიანობით.



# ბელგიის ციხეებში რადიკალური ისლამი ვრცელდება და ქვეყანა ჯიჰადიზმის ტალღის წინაშეა

როგორც გავლენიანი ამერიკული საინფორმაციო საიტი Breitbart იუწყება, ბელგიის ნაციონალური უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშის თანახმად, ბელგიის ციხეებში პატიმრებს შორის რადიკალური ისლამი ვრცელდება, რის შედეგადაც ქვეყანა ისლამური ჯიჰადიზმის ტალღის გავრცელების საფრთხის წინაშე დგას.

# მიუნხენში ყველაზე ძვირად ღირებული ნაძვის ხე დადგეს



**გერმანულმა კომპანია Pro Aurum-მა, რომელიც ძვირფასი ლითონებით ვაჭრობს, მიუნხენში ევროპაში ყველაზე ძვირად ღირებული ნაძვის ხე დადგა.**

მისი ფასი 2,3 მილიონ ევროს აჭარბებს. ნაძვის ხე წარმოადგენს პირამიდას, რომელიც 2018 ოქროს მონეტით არის გაწყობილი. მათი საერთო წონა 63 კილოგრამია. კონსტრუქცია Pro Aurum-ის ოფისში 15 დეკემბრამდე იქნება.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894